



კულტურათაშორისი კომუნიკაციები
INTERCULTURAL COMMUNICATIONS
МЕЖКУЛЬТУРНЫЕ КОММУНИКАЦИИ

INTERCULTURAL RELATIONS SOCIETY

ISSN 1512-4363

საერთაშორისო სამეცნიერო-პერიოდული გამოცემა
International scientific periodical edition
Международное научно-периодическое издание

კულტურათაშორისი კომუნიკაციები

INTERCULTURAL COMMUNICATIONS

МЕЖКУЛЬТУРНЫЕ КОММУНИКАЦИИ



№40-41

თბილისი – Tbilisi – Тбилиси

2024-2025

UDC (უკ) 008 (100)

კ-897

მთავარი რედაქტორი

Editor-in-chief

Главный редактор

რედაქტორები

ლირა გაბუნია

ოლღა პეტრიაშვილი

მარინე ტურავა

ირმა ზაკარაია

ანა მოსაშვილი

კომპიუტერული

რედაქტირება

რობერტ მესხი

პასუხისმგებელი

მდივანი

ლიანა გვასალია

ინდირა ძაგანია

Indira Dzagania

Индира Дзагания

Editors

Lira Gabunia

Olga Petriashvili

Marina Turava

Irma Zakaraia

Ana Mosashvili

Computer

Editing

Robert Meskhi

Executive

Secretary

Liana Gvasalia

Редакторы

Ли́ра Габу́ния

О́льга Пе́триашви́ли

Ма́рина Ту́рава

И́рма Зака́рая

А́на Моса́швили

Компьютерное

редактирование

Роберт Месхи

Ответственный

секретарь

Лиана Гвасалия

სარედაქციო საბჭო

ვეინ ჯეიკობი (აშშ), იან კე (ჩინეთი), ბილალ დინდარი (თურქეთი), ენდრიუ ჰარისი (დიდი ბრიტანეთი), მარია კორნელია ბარლიბა (რუმინეთი), დორის ფოგელი (ავსტრია), სვეტლანა ტერ-მინასოვა (რუსეთი), ნილაკში სურანარაიანი (ინდოეთი), გეორგი პოპა (მოლდავეთი), ილონა მანელიდუ (საბერძნეთი), ილიას უსთუნერი (თურქეთი), ანა აგრანატი (ისრაელი), ლალა ახმედოვა (აზერბაიჯანი), აიტენ მუსტაფაევა (აზერბაიჯანი), მიხეილ ბოგუცკი (პოლონეთი), ირენა კუდლინსკა (პოლონეთი), irina matiaSi (ukraiana), ვილემ ჰენდრიკ დე ბოფორტი (ნიდერლანდების სამეფო), ვენტა კოცერე (ლატვია), ჯანა ტოლისბაევა (ყაზახეთი), მერი მადარშაჰი (საფრანგეთი), რობერტო რიჩი (იტალია), იორდან ლუცკანოვი (ბულგარეთი), კამალ მაკილი-ალიევი (შვედეთი), მარია დიმასი (საბერძნეთი), რიტსუკო ინოუე (იაპონია), ალა საინენკო (მოლდავეთი), მანუელ ფილიპე დე კოსტა (პორტუგალია), რომან დიაკონი (ლატვია), რეგინა კარველინე (ლიეტუვა), ალექსანდრე გრუშა (ბელორუსია), მარია ზუნკალი გუტიერეს მანგადო (ესპანეთი), გეორგი აგოსტონი (უნგრეთი), ენრიკე კერო ხორვილია (ესპანეთი).

Editorial Board

Wayne Jacoby (USA), Yang Ke (China), Billal Dindar (Turkey), Andrew Harris (Great Britain), Maria Cornelia Barliba (Romania), Doris Fögel (Austria), Svetlana Ter-Minasova (Russia), Neelakshi Suryanarayan (India), Gheorghe Popa (Moldova), Iiona Manelidu (Greece), Ilyas Ustunyer (Turkey), Ann Agranat (Israel), Lala Akhmedova (Azerbaijan), Ayten Mustafaeva (Azerbaijan), Mikhael Bogutski (Poland), Irena Kudlinska (Poland), Irina Matyash (Ukraine), Willem Hendrik de Beaufort (the Netherlands), Venta Kotsere (Latvia), Jhana Tolisbaeva (Kazakhstan), Mehri Madarshahi (France), Roberto Righi (Italy), Yordan Lyutskanov (Bulgarian), Kamal Makili-Aliyev (Sweden), Maria Dimasi (Greece), Ritsuko Inoue (Japan), Ala Sainenco (Moldova), Manuel Filipe da Costa (Portugal), Roman Dyakon (Latvia), Regina Karvelienu (Lithuania), Alexander Grusha (Belarus), Maria Juncal Gutierrez Mangado (Spain), Gyorgy Agoston (Hungary), Enrique Quero Gervilla (Spain).

Редакционный совет

Вэйн Джекоби (США), Ян Кэ (Китай), Билял Диндар (Турция), Эндрю Харрис (Великобритания), Мария Корнелия Барлиба (Румыния), Дорис Фегель (Австрия), Светлана Тер-Минасова (Россия), Нилакши Сурьянараян (Индия), Георгий Попа (Молдова), Илона Манелиду (Греция), Ильяс Устуньер (Турция), Анна Агранат (Израиль), Лала Ахмедова (Азербайджан), Айтен Мустафаева (Азербайджан), Михаил Богущкий (Польша), Ирэна Кудлинска (Польша), Ирина Матяш (Украина), Виллем Хендрик де Бофорт (Нидерланды), Вента Коцере (Латвия), Жанна Толысбаева (Казахстан), Мери Мадаршахи (Франция), Роберто Ричи (Италия), Йордан Люцканов (Болгария), Кямал Макили-Алиев (Швеция), Мария Димаси (Греция), Ритсуко Иноуэ (Япония), Алла Сайненко (Молдова), Мануэль Филипе де Коста (Португалия), Роман Дьякон (Латвия), Регина Карвелине (Литва), Александр Груша (Белоруссия), Мария Хункал Гутиэрэз Мангадо (Испания), Гиорги Агостон (Венгрия), Энрике Керо Хорвиля (Испания).

EAN 9771512 43 6007

ინდირა ძაგანია, ირმა ზაქარაია
(საქართველო)

საქართველო-ბულგარეთის ურთიერთობების ისტორიისთვის
(უბველესი დროიდან XXI საუკუნემდე)¹

საქართველოსა და ბულგარეთის ურთიერთობები შორეულ წარსულში იღებს სათავეს. ქართველები და ბულგარელები საუკუნეების მანძილზე სისხლხორცეულად იყვნენ დაკავშირებული ისტორიული ბედით; კაცობრიობას ისინი უჩვენებდნენ ვაჟკაცური შემართების, ისტორიული ოპტიმიზმის, ჰუმანიზმისა და განუმეორებელი თვითმყოფადი კულტურის შესანიშნავ მაგალითებს.

ქართველებსა და ბულგარელებს ადრეულ შუა საუკუნეებში უშუალო ურთიერთობა იშვიათად ჰქონდათ. მიუხედავად ამისა, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ბულგარელებმა იცოდნენ „ივერთა“ შესახებ, ხოლო ქართველებმა – „ბოლღართა“ ქვეყანაზე. აქ, პირველ რიგში, უთითებენ ცნობას სლავთა განმანათლებელ კირილეზე. „IX საუკუნის მეორე ნახევარში კონსტანტინე (კირილე) ფილოსოფოსი ვენეციასა და რომში მოგზაურობდა. აქაური კლერიკალური წრეები საყვედურობდნენ სლავური ანბანის შემქმნელს, რომ სლავებს არა აქვთ ანბანის შექმნის უფლებაო. მათი აზრით, მწერლობა დასაშვები იყო მხოლოდ სამ ენაზე: ლათინურზე, ბერძნულსა და ებრაულზე“. კონსტანტინე ფილოსოფოსი სლავთა უფლებას – ჰქონოდათ ეროვნული ანბანი და მწერლობა, იმ არგუმენტით ასაბუთებდა, რომ ბერძნების, რომაელებისა და ებრაელების გარდა სხვა ხალხებსაც ჰქონდათ ანბანი და მწერლობა და ასეთ ხალხებს შორის იყვნენო იბერიელები [1, 58-59].

„ბორღალეთი“ მოხსენიებულია საქართველოს მეფის დავით აღმაშენებლის (1089-1125 წწ.) ისტორიკოსის თხზულებაში „ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი“ (დაწერილია დაახლოებით 1130-იან წლებში).

ქართველთა და ბულგარელთა დაახლოებას ხელს უწყობდა ის ფაქტი, რომ ორივე ქვეყანა იყო მართლმადიდებლური სამყაროს ნაწილი, ბიზანტიის იმპერიის გავლენის ქვეშ.

ქართულ-ბულგარული ურთიერთობების ერთგვარ სიმბოლოს წარმოადგენს პეტრიწონის მონასტერი, რომელიც 1083 წელს დაარსდა ბულგარეთის ტერიტორიაზე გრიგოლ და აბაზ ბაკურიანის ძეთა მიერ. უდიდესია მონასტრის მნიშვნელობა როგორც ქართული, ისე ბულგარული სულიერების, მწერლობისა და მეცნიერებისათვის, ზოგადად, ორი ხალხის კულტურისათვის.

გარდა პეტრიწონისა, მიაჩნიათ, რომ ქართველ და ბულგარელ მოღვაწეებს შეიძლება ურთიერთობა ჰქონოდათ კონსტანტინოპოლის კულტურის ცენტრებში, მაგალითად, მანგანის აკადემიაში. აღსანიშნავია ათონის მთა, სადაც სხვადასხვა ერის წარმომადგენლების სავანეები არსებობდა. მათ შორის იყო ივერთა ლავრა. ათონის მთაზე

¹ ნაშრომი იბეჭდება ბულგარეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული ბულგარეთის განვითარების ფონდის მიერ დაფინანსებული სსუ-ის პროექტის – „ქართულ-ბულგარული ორმხრივი ურთიერთობების განვითარება. სამეცნიერო ალბომი“ – ფარგლებში.

მოდვაწობდნენ ბულგარელებიც. განსაკუთრებით აღსანიშნავია ზოგრაფის მონასტერი. ქართველ და ბულგარელ მწიგნობართა ურთიერთობაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ ივერთა ლავრაში დაცული ყოფილა რამდენიმე ბულგარული ხელნაწერი [1].

ბულგარეთში, „პროვადიის აღმოსავლეთით მდებარე ზეგანზე გაშენებულია ქალაქი ლოკენი, რომლის ახლოსაც შემორჩენილია მიწისძვრის შედეგად ძლიერ დაზარეული კლდეში გამოკვეთილი სამი დიდი სენაკის ნაშთი. სწორედ ერთ-ერთ მათგანში მიაკვლიეს ქართულ ასომთავრულ წარწერებს. მათი შინაარსი შემდეგნაირია:

1. „უ(ფალ)ო ი(ეს)უ ქ(რისტ)ე, დ(მერთ)ო ჩ(უენ)ო, შეგუ(ი)წყ(ა)ლე ჩ(უენ) ა(მენ)ო
2. ესე წმ(ი)დ(ა)ნი მოციქუ(ლ)ნი არიანო
3. მიქ(ა)ე(ლ), მე ცოდვილი, ლოცვასა მომიხსე(ნეთ) ქ(არ)თველიო
4. წ(მიდა)ი გ(იორ)გი“

ოთხივე წარწერა შესრულებულია ერთი კალიგრაფიით, პალეოგრაფიული თავისებურებებით და, შესაბამისად, XI საუკუნით თარიღდება. პროფესორმა ვალერი სილოგავამ გამოთქვა მოსაზრება, რომ წარწერის ავტორები შესაძლოა ის ქართველი ბერები იყვნენ, რომლებიც ახლო აღმოსავლეთის ქართულ სამონასტრო ცენტრებში მოღვაწეობდნენ. გამორიცხული არ არის, ისინი ათონის მთის ან პეტრიწონის სავანის სამოსწავრები ყოფილიყვნენ“ [2, 157].

კირილესა და მეთოდეს სახელობის ბულგარეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულია ქართული ხელნაწერი, რომელიც პეტრიწონის ბიბლიოთეკას ეკუთვნოდა. ეს ხელნაწერი გვიან შუა საუკუნეებშია გადაწერილი, მაგრამ შეიცავს გრიგოლ და აბაზ ბაკურიანის ძეგლს დროინდელ ორიგინალურ ტექსტს.

„სოფიაში დაცული ხელნაწერი უნიკალური ძეგლია, რადგან ხელნაწერის შემქმნელი ქართულ ენაში გაუთვითცნობიერებელი ბერძენი ბერი უნდა ყოფილიყო. ამიტომ ხელნაწერის გარეგანი იერი ძალიან საინტერესოა. ერთი შეხედვით, ის XII საუკუნის ხელს მოგვაგონებს. არადა ფურცელი, რომელზეც ტექსტია დაწერილი, XVIII საუკუნისაა. ამდენად, მას, ვინც ტექსტის კოპირება მოახდინა, შესაძლოა, ხელთ დიდი ქართველი განმანათლებლის გრიგოლ ბაკურიანის ძის დროინდელი დედანიც კი ჰქონდა“ [2, 146].

ქართველი და ბულგარელი ხალხების ისტორიაში ასობით მაგალითი მოიპოვება ძმური მეგობრობისა და ურთიერთდახმარებისა.

XIV საუკუნეში, ოტომანთა იმპერიის გაფართოების შედეგად, ბალკანეთში მომხდარი ცვლილებებისა და დამპყრობთა აგრესიულობის გამო, ბულგარული მოსახლეობა იძულებული გახდა აღმოსავლეთისკენ დაძრულიყო. ამ დროს დამონებული ბალკანელი ხალხები, რომლებსაც განადგურება და ასიმილაცია ემუქრებოდა, ხსნას ეძებდნენ რუსეთში, ბესარაბიაში, საქართველოში... ბულგარელების დიდი ჯგუფი აზოვის ზღვის სანაპიროზე დასახლდა. აქედან კი მათი ნაწილი გადავიდა ჩაქვსა და ქობულეთში (გლახევეები, კოსევეები, ტერეზევეები, შერმენტიევეები, ფრეჟევეები და სხვ.). ბულგარელთა დასახლებები შეიქმნა აფხაზეთშიც. ადგილობრივებსა და გადმოსახლებულებს შორის ურთიერთობა მეგობრობის, გაგებისა და ურთიერთდახმარების საფუძველზე შენდებოდა.

არაერთგზის დამსგავსებია ერთმანეთს საქართველოსა და ბულგარეთის ისტორია. არაერთგზის მოუწიათ ქართველებსა და ბულგარელებს დამპყრობლების წინააღ-

მდეგ ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის. ამიტომაც ედგნენ ერთმანეთს გვერდიგვერდ.

აქ უნდა ვახსენოთ ქართველების მონაწილეობა ბულგარელების ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში XIX საუკუნეში. არაერთმა ქართველმა სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი ბულგარეთისა და ბულგარელების მეგობრების პანთეონში.

განსაკუთრებით გამოვყოფთ ალექსი წერეთლისა და ალექსანდრე ბაგრატიონ-იმერეტინსკის სახელებს.

რუსეთ-ოსმალეთის ომის (1877-1878 წწ.) დროს ქალაქ ტირნოვოს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ბალკანეთის მთებზე გადასასვლელად. ტირნოვოსთვის ბრძოლაში მიიღო მანაწილეობა კონსტანტინოპოლში რუსეთის საელჩოს ყოფილმა მდივანმა და შემდგომ რუსეთის ვიცე-კონსულმა ბულგარეთში ალექსი წერეთელმა.

სწორედ ალექსი წერეთელმა შემოახაზა მომავალი თავისუფალი ბულგარეთის საზღვრები ჯერ კიდევ 1877-1878 წლების განმათავისუფლებელ ომამდე. ის ყოველთვის იცავდა ბულგარელი ხალხის ინტერესებს.

ალექსი წერეთელი გახდა ბულგარეთის სახალხო გმირი. პლოვდივის მხარეში არის სოფელი წერეთელეო, რომელსაც ადრე დუშანლი ერქვა. სახელი კი ქართველი თავადისა და დიპლომატის ალექსი წერეთლის პატივსაცემად გადაერქვა. მის სახელს ატარებს პლოვდივის ერთ-ერთი ქუჩაც.

ქართველი ბატონიშვილი, გენერალ-ადიუტანტი და ინფანტერიის გენერალი ალექსანდრე ბაგრატიონ-იმერეტინსკი იმერეთის უკანასკნელი მეფის, დავითის შვილიშვილი იყო.

1877 წელს რუსეთის არმიის საგანგებო რაზმმა ალექსანდრე ბაგრატიონ-იმერეტინსკის მეთაურობით, მძიმე ბრძოლების შედეგად, გაათავისუფლა ქალაქი ლოვეჩი. ქართველი გენერალი დაჯილდოვდა წმ. გიორგი მე-4 ხარისხის ორდენით. რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წწ. ომის დროს ყველაზე მძიმე ბრძოლები მოხდა პლევენასთან. ალექსანდრე ბაგრატიონ-იმერეტინსკიმ დიდი სამხედრო ხელოვნება გამოიჩინა – მის მიერ დამუშავებული გეგმით პლევენა გაათავისუფლდა. სწორედ მაშინ დაიმსახურა ალექსანდრე ბაგრატიონ-იმერეტინსკიმ ოქროს ხმალი წარწერით – „სიმამაცისთვის“ და გენერალ-ლეიტენანტის წოდება.

ოსმალებისაგან ბულგარეთის გაათავისუფლებისათვის ბრძოლაში, კერძოდ, შიპკის უღელტეხილის დაცვაში მონაწილეობდა ნიკო დადიანი – სამეგრელოს უკანასკნელი მთავარი, რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი.

ნიკო დადიანზე საუბრისას ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 1886 წელს, ბატენბერგის ჩამოგდების შემდეგ, რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე II-მ ბულგარეთის მთავრად ნიკო დადიანის კანდიდატურა წარადგინა. მართალია, სამეგრელოს უკანასკნელი მთავარი ბულგარეთის მთავარი ვერ გახდა, მაგრამ ის ისტორიაში ჩაეწერა როგორც ბულგარეთის გაათავისუფლებისათვის მებრძოლი.

შიპკაში დგას მავზოლეუმი-ტაძარი, რომელზეც, სხვებთან ერთად, ამოტვიფრულია იმ ქართველი მებრძოლების სახელები, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს ბულგარეთის გაათავისუფლებას. კერძოდ, საარტილერიო ბრიგადის კაპიტნის, თავად ლეონ ვაჩნაძის, მაიორ ჭილაშვილის, კორნეტ სუმბათაშვილისა და პორუჩიკ გრიგორაშვილის სახელები.

სოფიისათვის გამართულ ბრძოლაში მონაწილეობდა გიორგი გრემელი (გ. ჯორჯაძე). ომის დასასრულს კი მან დარბევისგან გადაარჩინა პეტრიწონის მონასტერი. გიორგი გრემელი, ფაქტობრივად, გაზეთ „დროების“ კორესპონდენტი იყო სოფიაში. თბილისელი ჟურნალისტი „დროების“ მკითხველს დაწვრილებით აცნობდა ქალაქის ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყველა საინტერესო საკითხს; განსაკუთრებულ ადგილს თავის წერილებში უთმობდა ბულგარელი ხალხის ისტორიას, ბულგარელების თავგანწირვას დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში.

ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ინახება ალბომი – „ბალკანეთის იქით ლაშქრობა. 1877-1878 წწ.“ მასში მოთავსებული ყველა მასალა (ისტორიული ძეგლების, ცალკეული ქალაქების ღირსშესანიშნავი ადგილების, გამოჩენილი გენერლების, საბრძოლო ეპიზოდების სურათები და ა.შ.) უნიკალურია როგორც ბულგარელებისთვის, ასევე ქართველებისთვის, რადგანაც, როგორც ვნახეთ, არაერთმა ქართველმა მიიღო მონაწილეობა ბულგარეთის გათავისუფლებისათვის ბრძოლაში და სოცოცხლედ შესწირა.

ეს ალბომი ზუგდიდში პეტერბურგიდან ნიკო დადიანმა ჩაიტანა. ალბომს მიაკვლია მუზეუმის თანამშრომელმა ნელი მიქაია.

ქართველებისა და ბულგარელების ბედი საოცრად ჰგავს ერთმანეთს. მსგავსად ბულგარელებისა, ქართველებს ხშირად უწევდათ ბრძოლა თავიანთი სამშობლოს დამპყრობლებისგან გასათავისუფლებლად. ეს გარემოება განაპირობებდა ერთმანეთის მიმართ ინტერესს. ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურები ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, ერთი მხრივ, თანაგრძნობას გამოხატავდნენ თავისუფლებისათვის მებრძოლი ბულგარელების მიმართ, მეორე მხრივ კი, ამით დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის, თავისუფლების, ეროვნულობისა და დამოუკიდებლობის იდეებს ქადაგებდნენ.

ბულგარეთის თავისუფლებისათვის მებრძოლთ რაფიელ ერისთავმა 1876 წელს ლექსი მიუძღვნა სახელწოდებით „მოძმეთადმი“.

ქართულ ჟურნალ-გაზეთებში („ივერია“, „დროება“, „მოამბე“) ხშირად იბეჭდებოდა მასალა ბულგარეთში განვითარებულ მოვლენებზე, პოლიტიკურ, კულტურულ სიტუაციაზე; ითარგმნებოდა ცნობილ ბულგარელ მწერალთა ნაწარმოებები. აღსანიშნავია, რომ ბულგარული ლიტერატურის პატრიარქის ივანე ვაზოვის რომანი „უღელქვეშ“, რომელშიც ასახულია ბულგარელი ხალხის ბრძოლა დამპყრობთა წინააღმდეგ, თარგმნა პუბლიცისტმა, ფოლკლორისტმა და პედაგოგმა თედო სახოკიამ და „დამონებულნის“ სათაურით გამოაქვეყნა ჟურნალ „მოამბეში“ 1898, 1899, 1900 წლებში. რომანმა ქართული საზოგადოებრიობის დიდი მოწონება დაიმსახურა. აკაკი წერეთელს თედო სახოკიასთვის მადლობა უთქვამს „ესოდენ მნიშვნელოვანი, სასარგებლო საქმისთვის“. „დამონებულნი“ ცალკე წიგნად გამოიცა 1900 წელს.

იმავე წელს, პარიზში მყოფ თედო სახოკიას, ივანე ვაზოვისთვის გაუგზავნია მის მიერ ქართულად თარგმნილი წიგნი. პასუხად მადლობის წერილი მიიღო. მოგვიანებით, პირისპირ შეხვედრაც შედგა [4].

აღსანიშნავია წარმოშობით ბულგარელი რუსი მოხელის ალექსანდრე სტოიანოვის მოღვაწეობა საქართველოში XIX ს-ის მეორე ნახევარსა და XX ს-ის დასაწყისში.

ალექსანდრე სტოიანოვი, როგორც პედაგოგი, რომელიც სხვადასხვა დროს იყო ქუთაისისა და ბათუმის გიმნაზიების დირექტორი, იბრძოდა ქართული ენის დასაცავად, მოითხოვდა ქართული ენის სავალდებულო სწავლებას; როგორც მკვლევარი და არქეოლოგი ქმნიდა არქიტექტურულ პროექტებს, წერდა სამეცნიერო გამოკვლევებს. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული კულტურული მემკვიდრეობის შესწავლაში.

1901 წელს სტ. ბობჩევის ჟურნალში „ბულგარული კრებული“ (№3) გამოქვეყნდა ივ. ვაზოვის წერილი საქართველოს შესახებ – „ქართველი ერის ისტორიის მოკლე მიმოხილვა“, რომელიც თედო სახოკიამ თარგმნა და 1901 წელსვე დაბეჭდა გაზეთ „ცნობის ფურცელში“.

ბულგარული ნაწარმოებების თარგმნას საქართველოში დიდი ყურადღება ექცეოდა და ექცევა. განსაკუთრებით ნაყოფიერი ამ მხრივ იყო XX საუკუნე. ინტერესი ცალმხრივი არ ყოფილა. არაერთი ქართული ნაწარმოები აქედრდა ბულგარულ ენაზე. რა თქმა უნდა, ყველა თარგმანს ვერ ჩამოვთვლით; ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ რამდენიმე მათგანზე.

1955 წელს განახლებული ტექსტით გამოიცა თედო სახოკიას მიერ თარგმნილი „დამონებულნი“ (რედაქტორი – ო. გვინჩიძე). იმავე წელს გამოქვეყნდა ხრისტო ბოტევისა და ივანე ვაზოვის ლექსების ირაკლი აბაშიძისა და გრიგოლ აბაშიძისეული თარგმანი. გარდა ამისა, 1950 წელს გამოიცა „ბულგარული მოთხრობები“ (მთარგმნელი – ო. გვინჩიძე); 1954 წელს – ბულგარული ხალხური ზღაპრები სახელწოდებით „ნატვრის-თვალნი“ (მთარგმნელი – ქ. ნადირაძე); 1963 წელს – „ბულგარული მოთხრობები“ ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის (თარგმნეს ნ. ზაუტაშვილმა და ნ. სულხანიშვილმა).

1964 წელს საქართველოში რამდენიმე თვე გაატარა და ქართული პოეზიის ანთოლოგია მოამზადა ბულგარელმა პოეტმა ნიკოლო კინჩევმა.² თავად მისი ლექსები არაერთხელ ითარგმნა და გამოიცა ქართულ ენაზე.

1974 წელს „თანამედროვე ბულგარული პოეზიის ანთოლოგია“ გამოსცა ქართველმა პოეტმა მუხრან მაჭავარიანმა.³

² მასში შესულია ბადრი გუგუშვილის, ბათუ დანელიას, ვაჟა ოთარაშვილის, ვაჟა ხორნაულის, გივი სულაკაურის, დათო მადრაძის, ლალი თოღაძის, ლაშა ნადარეიშვილის, მაყვალა გონაშვილის, მანანა ჩიტიშვილის, მიხეილ ქურდიანის, ომარ თურმანაულის, თამაზ ბაძაღუას, შადიმან შამანაძის ლექსების თარგმანები.

³ გამოიცა 1982 და 1989 წლებშიც. ანთოლოგიაში შესულია ელისავეტა ბაგრიანას, ბანჩო ბანოვის, ვლადიმერ ბაშევის, ბიუილარ ბოჟილოვის, დორა გაბეს, მარკო განჩევის, ანდრეი გერმანოვის, ალექსანდრ გეროვის, ვლადიმერ გოლევის, ივან დავიდკოვის, ატანას დალჩევის, დამიან დამიანოვის, ლიანა დასკალოვას, ბლაგა დიმიტროვას, დიმიტრი დუბლევის, ევტიმ ევტიმოვის, ნიკოლაი ზიდაროვის, ნიკოლაი ინჯოვის, მლადენ ისაევის, პეტრ კარაანგოვის, სლავ ხრისტოვ კარასლავოვის, ნიკოლაი კინჩევის, ლამარ (ლალიუ) მარინოვის, ლუბომირ ლეჟნევის, ნიკოლა მარანგოზოვის, პაველ მატევის, დიმიტრი მეტოდოევის, ალექსანდრ მილანოვის, ალექსანდრ მურატოვის, დავიდ ოვადიას, კონსტანტინ პავლოვის, ივან პეინევის, სტანკა პენჩევას, ვალერი პეტროვის, დობრი ჟოტკევის, ხრისტო რადევსკის, ივან რადოევის, ვიტო რაკოვსკის, რადოი რალინის, გეორგი სვეჟინის, ხრისტო სტანიშევის, ლილიანა სტეფანოვას, ნევენა სტეფანოვას, პირვან სტეფანოვის, ანასტას სტოიანოვის, ხრისტო ფოტკევის, ნიკოლა ფურნაჯიევის, ვესელინ ხანჩევის, გეორგი ჯაგაროვის ლექსების თარგმანები.

ამ თარგმანებისთვის, 1989 წელს, ბულგარეთის მთავრობის გადაწყვეტილებით, მუხრან მაჭავარიანი დაჯილდოვდა კირილესა და მეთოდეს ორდენით.

1975 წელს გამოვიდა „ბულგარული ზღაპრები“ (მთარგმნელები – ნ. არჯევანიძე, ქ. ნადირაძე და მ. ზუბადალაშვილი).

ბულგარულ ენაზე თარგმნილია „ვეფხისტყაოსანი“. თარგმანი 1975 წელს შეასრულა პოეტმა სტოიან ბაკირჯიევმა. მას ეხმარებოდა ბულგარელი ქართველი, ლიტერატურათმცოდნე ივანე ბიწაძე. წინასიტყვაობა დაწერა ცნობილმა ბულგარელმა მეცნიერმა, პროფესორმა ველჩო ველჩოვმა.

1981 წელს სოფიაში გამოიცა ქართული ხალხური ზღაპრები სახელწოდებით „ჯადოსნური ქუდი“ (მთარგმნელი – დონა მინჩევა).

1983 წელს ბულგარულად ითარგმნა გურამ რჩეულიშვილის „რჩეული მოთხრობები“ და ბესიკ ხარანაულის ლექსების წიგნი.

ქართულ-ბულგარული ლიტერატურული კავშირები თარგმანებით არ ამოიწურებოდა. ხშირი იყო ქართველი მწერლების ვიზიტი ბულგარეთში და ბულგარელი მწერლების სტუმრობა საქართველოში. იბეჭდებოდა წიგნები როგორც ბულგარულ ლიტერატურაზე, ასევე ქართულ-ბულგარულ ლიტერატურულ-კულტურულ კავშირებზე. განსაკუთრებით გამოყოფთ რამდენიმეს:

1. კვესელავა მ., ბულგარული ლიტერატურა, თბ., 1953;
2. ჭილაია ს., ჩვიდმეტი დღე ბულგარეთში, თბ., 1957;
3. ჯულაბაშვილი ლ., ვაზოვი და ბულგარეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობა, თბ., 1961;
4. ურუშიაძე ა., ქართული კულტურის კერა ბულგარეთში, თბ., 1969;
5. შანიძე ა., პეტრიწონის ქართული მონასტერი, თბ., 1971;
6. კანდელაკი ნ., ბულგარული დღიურები, თბ., 1972;
7. მემველიანი კ., სამხრეთ და დასავლეთ სლავების ისტორია. ბულგარეთი (XIX – 1917 წ. ოქტომბერი), თბ., 1977;
8. ბარამიძე ალ., ბულგარულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, წიგნში: ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, წ. 7, თბ., 1978;
9. სირაძე რ., ძველ ბულგარულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობათა საკითხები, წიგნში: რ. სირაძე, წერილები, თბ., 1980;
10. ცამციშვილი ა., ბულგარეთ-საქართველოს ურთიერთობა და თანამეგობრობა, თბ., 1980.

აქვე აღვნიშნავთ, რომ გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ 1965 წლის 25 ივნისის ნომერში დაიბეჭდა ამირან აბშილაგას ლექსი „ბულგარეთი“, რამდენიმე სტრიქონი ლექსიდან:

... ცაც ჩვენებურია, –
თბილი და ანკარა,
კრიალა გუმბათი
ვარსკვლავებს ახელებს,
დახუნძლულ ვაზებში
ღვთის თვალი ჩამდგარა
და თითქოს რთველი აქვთ

კარდენახს კახელებს.

...

აქ ძმობა იციან,
აქ მტრობაც იციან,
აქ ბროძლაც იციან
ლაღად და თამამად!

...

აქ, როგორც ჩვენთან,
სიცოცხლით თვრებიან,
სამშობლოს გულისთვის
სიმღერით კვდებიან!

XX საუკუნეში ინტენსიური იყო კულტურული კავშირები. ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დაცვით, განსაკუთრებით საინტერესო მოვლენებს გამოვყოფთ.

ცნობილი ფაქტია, რომ 1909 წელს კონსტანტინე მარჯანიშვილი დათანხმდა სოფიის სახელმწიფო თეატრის მთავარ რეჟისორობასა და პროვინციული თეატრების ინსტრუქტორებას. მაგრამ მოვლენები ისე განვითარდა, რომ დიდი ქართველი რეჟისორი ბულგარეთში არ წასულა. თუმცა აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ბულგარული თეატრით დაინტერესებას ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ვხედავთ. მაგალითად, გაზეთ „ივერიის“ 1898 წლის 7 ნოემბრის ნომერში ალექსანდრე მენთემაშვილი წერდა ბულგარეთის თეატრის რეპერტუარზე, მსახიობებზე.

1921-1927 წლებში ბალკანეთის ქვეყნებში იმოგზაურა ქართველმა მოხეტიალე მუსიკოსმა ილიკო (ილია) ქურხულმა და სოფიაში ბულგარულ ენაზე გამოსცა წიგნი ქართული ხალხური სიმღერების შესახებ. მიანჩიათ, რომ ქართულ-ბულგარული მუსიკალური კონტაქტების სათავე სწორედ მის სახელთან არის დაკავშირებული. ეს კონტაქტები შემდგომში განვითარდა და გაღრმავდა.

1948 წელს, ახალი ქართული საკომპოზიტორო სკოლის ფუძემდებელმა ანდრია ბალანჩივაძემ ბულგარეთში პირველი სიმფონია შეასრულა.

1953 წელს ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის თეატრში წარმატებით დაიდგა ბულგარელი დრამატურგის ორლინ ვასილიევის პიესა „ამქვეყნიური სამოთხე“. თითქმის იმავე პერიოდში ბულგარეთის თეატრებში (ადრიაანა ბუდევსკაიას სახელობის სახალხო თეატრში, სოფიის სახალხო არმიის თეატრში, ქალაქ რაზგრადის სახალხო თეატრში), ასევე წარმატებით იდგმებოდა ქართველი მწერალი ქალის – მარია ბარათაშვილის პიესა „მარინე“, სახელწოდებით „ლუდეტინატა“, რაც ნიშნავს „ჩხუბის-თავს“.

1963 წელს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სპექტაკლ „ბოჰემაში“ მიმის პარტია შეასრულა სოფიის საოპერო თეატრის პრემიერმა, ბულგარეთის დამსახურებულმა არტისტმა კატია პოპოვამ.

1967 წელს ბულგარეთის ქალაქ პლოვდივში ჩატარდა საესტრადო სიმღერის მეორე საერთაშორისო კონკურსი „მეგობრობა“. პირველი პრემია, უნგრელ გიორგი კორდასთან ერთად, მიენიჭა ვენერა მაისურაძეს.

1974 წელი აღსანიშნავი იყო იმით, რომ ქართველებმა აღიარება პოვეს მოდის სფეროში. ქალაქ პლოვდივში გაიმართა საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობა. მონაწილეობის მისაღებად საბჭოთა კავშირიდან მიწვეული იყო თბილისის მოდელების სახლი (დირექტორი – გრ. ბერიძე, სამხატვრო ხელმძღვანელი – ლ. ხვედელიძე). საქართველოს ცალკე პავილიონი დაეთმო. ქართველმა მოდელებმა აჩვენეს გამოსასვლელი, სპორტული და ყოველდღიური ტანსაცმლის 80 კომპლექტი, რომლებმაც დიდი მოწონება დაიმსახურეს (მხატვარ-დიზაინერები – ნ. ბაქრაძე, ს. კალანდაძე, ი. აცვლიშვილი, გ. ნანუკაშვილი, ლ. ბაღდასაროვა, ნ. კობალაძე).

კონკურსში მონაწილეობდნენ ექვსი ქვეყნის – იტალიის, იუგოსლავიის, ბულგარეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და საქართველოს წარმომადგენლები. თბილისის მოდელების სახლის მიერ წარდგენილი ნიმუშებიდან ოთხმა დაიმსახურა პრიზი – სამსპირველი პრიზი მიენიჭა საუკეთესო მოდელისათვის, მეოთხეს კი – თანამედროვე კოსტუმში ფოლკლორული მასალის საუკეთესო გამოყენებისთვის. გამარჯვებული ნიმუშების ავტორი იყო მხატვარი, დიზაინერი ომარ სააკაშვილი.

1977 წელს ბულგარეთში საბჭოთა დრამატურგიის ფესტივალი გაიმართა. ამ ფესტივალისთვის შერჩეული პიესების დასადგმელად რეჟისორები საბჭოთა კავშირიდან მიიწვიეს. სხვებთან ერთად იყო ახალციხის თეატრის დირექტორი და მთავარი რეჟისორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ნანა დემეტრაშვილი. ის მუშაობდა ქალაქ კირჯალის თეატრში აკაკი გეჭაძის პიესაზე – „გზა, ყარამანს ცოლი მოჰყავს“. დაიდგა იმავე ავტორის მეორე პიესაც – „წმინდანები ჯოჯოხეთში“. ადგილობრივმა პრესამ ორივე სპექტაკლი სეზონის საუკეთესო დადგმად მიიჩნია. სპექტაკლი „გზა, ყარამანს ცოლი მოჰყავს“, რომლის პრემიერაც 5 ნოემბერს შედგა (მონაწილეობდნენ ადგილობრივი მსახიობები), ფესტივალზე ბულგარეთის კულტურის სამინისტროს საპატიო სიგელით დაჯილდოვდა.

1977 წელს ბულგარეთის ქალაქ გაბროვოში ჩატარებულ იუმორისა და სატირის საერთაშორისო ფესტივალზე, სხვა მრავალ ღონისძიებასთან ერთად, გაიმართა ახალი მხატვრული კომედიური ფილმების ჩვენება-კონკურსი. ამ ფესტივალზე წარდგენილი იყო სტუდია „ქართულ ფილმში“ რეჟისორ ირაკლი კვირიკაძის მიერ საკუთარი სცენარის საფუძველზე შექმნილი კომედია „ქალაქი ანარა“, რომელიც მთავარი პროზის მფლობელი გახდა. ფესტივალის პრიზი დაიმსახურა, ასევე, მთავარი როლის შემსრულებელმა რეზო ესაძემ.

1977 წელს, ბულგარეთის ქალაქ ბურგასში, მოეწყო ცნობილი ქართველი ჟურნალისტისა და ფოტოხელოვანის სიმონ კილაძის პერსონალური გამოფენა „საქართველოს მოტივები“, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა.

აღსანიშნავია ვოკალურ ინსტრუმენტული ანსამბლის – „აისის“ (ხელმძღვანელი – ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. ქართველიშვილი) წარმატება ბულგარეთში 1977 წელს, 18 დღიანი ტურნეს დროს. ვია „აისის“ კონცერტები გაიმართა სოფიაში, პლოვდივში, ბურგასში, ვარნაში, ველიკო-ტარნოვოში, ბლაგოევგრადში. სცენაზე ექვსი ვოკალისტისა და ექვსი დამკვრელის გამოჩენას მაყურებელი ყოველთვის მქუხარე ტაშით ხვდებოდა. ბულგარეთის პრესამ ანსამბლ „აისის“ კონცერტებს ქვეყნის კულტურული ცხოვრების ღირშესანიშნავი მოვლენა უწოდა, ხოლო თვითონ მუსიკალურ კოლექტივს – თანამედროვე ქართული ხელოვნების ღირსეული წარმომადგენელი.

70-იან წლებში ერთგვარ ტრადიციად დამკვიდრდა ქართველი და ბულგარელი სკოლის მოსწავლეების გაცვლითი ვიზიტები ბლავოევგრადის ოლქსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, სადაც ერთმანეთს თავიანთ ოსტატობას აცნობდნენ სიმღერასა და ცეკვაში.

1978 წელს საქართველომ უმასპინძლა ბულგარეთის კულტურის დღეებს, რომელიც ოსმალეთის უღლისგან ბულგარელების გათავისუფლების 100 წლისთავს ეძღვნებოდა. ეს დღეები იყო ერთგვარი ნაბიჯი ქართველი და ბულგარელი ხალხების კიდევ უფრო დაახლოების გზაზე.

ქართველთა და ბულგარელთა კულტურული ურთიერთობის განვითარებაში თავისი წვლილი შეიტანა ლენტეხის რაიონული კულტურის სახლის ანსამბლმა „ლილემ“ (ხელმძღვანელი – საქართველოს დამსახურებული არტისტი ჯ. მეშველიანი, ქორეოგრაფი – შ. ბედელიანი), რომელიც გასტროლებით იმყოფებოდა ბულგარეთში 1980 წელს და კონცერტები ჩაატარა სოფიაში, ბლავოევგრადში, პლოვდივსა და გაბროვოში.

აქტიური ურთიერთკავშირი იყო ქართველ და ბულგარელ კონემატოგრაფისტთა შორის.

ბულგარეთში კარგად იცნობენ ქართულ კინოხელოვნებას. სხვადასხვა დროს დიდი წარმატება ხვდა წილად ისეთ ფილმებს, როგორებიცაა „ჯარისკაცის მამა“, „არან-კეულებრივი გამოფენა“, „ფოთოლცვენა“, „მიმინო“, „მონანიება“...

1981 წელს შეიქმნა ერთობლივი ფილმი – „ყოჩაღად, პაპებო!“ რეჟისორები არიან ნელი ნენოვა და გენო წულაია (სცენარისტები – ძმები მორმარევეები, ლ. ჭელიძე, ე. მაჭავარიანი, გ. წულაია; ოპერატორი – ი. კიკაბიძე; მხატვრები – ჯ. მირზაშვილი, ი. აპოსტოლოვი; კომპოზიტორები – ჯ. კახიძე, ა. ბრიზცოვი; როლები – ვასილ კახნიაშვილი (ლაპიკო თოხაძე), შალვა ხერხეულიძე (ავქსენტი აბიშარია), მიხეილ ვაშაძე (ბარნაბა ბარამიძე), აკაკი დობორჯგინიძე, დიმიტრი პანოვი, პეტრ პეტროვი, ასპარუხ სარიევი, ინა სიმონოვა (კასიმირა), ლევან უჩანეიშვილი (ბიჭიკო თოხაძე), ბორის წიფურია (კლუბის გამგე, იმპრესარიო), ანგელ ლამბევი, ილია პენევი, ბადრი კაკაბაძე, სვეტლანა ხარლაპი, ვლადიმერ წულაძე, განი სტაიკოვი).

ორიოდე სიტყვით შეგხერდებით ნელი ნენოვაზე. ბულგარული წარმოშობის ქართველი კინორეჟისორი, სცენარისტი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დაიბადა სოფიაში. დაამთავრა მოსკოვის კინემატოგრაფიის საკავშირო სახელმწიფო ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი. 1957 წლიდან მუშაობდა კინოსტუდია ქართულ ფილმში. მეუღლესთან, გენო წულაიასთან, ერთად გადაღებული აქვს არაერთი ფილმი („ლადო გუდიაშვილი“, „წარსული ზაფხული“, „ცეროდენა რაინდები“, „დრო იწურება განთიადისას“, „ორერა-რერო“, „მოვიდვართ და მოვიმდერთ“, „პეპელა“, „ქორწინება იმერულად“, „ჩიორა“). მიღებული აქვს სხვადასხვა ფესტივალის ჯილდო.

მეგობრობა და შემოქმედებითი კონტაქტები აკავშირებდათ ქართველ და ბულგარელ მულტიპლიკატორებს. მათ ერთობლივად გადაიღეს „ყველაფერი ყარყატისთვის“ (1982 წ.; სცენარის ავტორი – გ. პოპოვი; რედაქტორები – ვ. სამუილოვი, დ. თოფურია; დამდგმელი მხატვარი – ბ. ხიდაშელი; კომპოზიტორი – ბ. კარადიმჩევი; ოპერატორი – ნ. იანჩევა; რეჟისორი – მ. სარალიძე; მთავარი მულტიპლიკატორი – ი. დოიაშვილი; მულტიპლიკატორები – ც. კუიუმჯიევა, ვ. კრისტოვი, ნ. პეტკოვი) და „ყარყატის შვილობი-

ლი“ (1985 წ.; სცენარის ავტორები – მ. სარალიძე, დ. ბოლიაროვი; რედაქტორები – ბ. ანგელოვი, დ. თოფურია; კომპოზიტორი – თ. შავლოსაშვილი; ოპერატორი – ვ. ქაროსანიძე; რეჟისორი და დამდგმელი მხატვარი - დ. პეტკოვი; მულტიპლიკატორები – დ. პეტკოვი, ა. ნერსესოვი, მ. დეკანოსიძე, შ. რაზმაძე, ნ. შენგელია, ნ. პადალაკა, კ. მაცაბერიძე).

ბულგარელი მულტიპლიკატორები ჩამოდიოდნენ თბილისში, ქართული მულტიპლიკაციური სტუდიის წარმომადგენლები კი სტუმრობდნენ ბულგარეთს. ეს შემოქმედებითი შეხვედრები მიზნად ისახავდა ახალი სცენარების განხილვას, ანიმაციური ფილმების სტუდიების საქმიანობის გაცნობას და ა.შ. ასე, მაგალითად, 1982 წელს თბილისში იმყოფებოდნენ კინოკრიტიკოსი კრასიმირა გერჩევა და ბულგარეთის წამყვან რეჟისორ-მულტიპლიკატორთა ჯგუფი სტუდიის მაშინდელი დირექტორის ორდინ ფილიპოვის მეთაურობით. მათ ნახეს კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მულტგაერთიანების პროდუქცია, მოეწონათ და შესთავაზეს ქართველ მულტიპლიკატორებს ერთად გადაედლოთ ფილმები.

იმავე წელს, ვარნის ფესტივალზე, დაიდო ორმხრივი ხელშეკრულება ქართულ-ბულგარული ერთობლივი ფილმების გადაღების შესახებ და ქართველი მულტიპლიკატორები – მერაბ სარალიძე, ილია დოიაშვილი და ბესო ხიდაშელი რამდენიმე თვით გაემგზავრნენ ბულგარეთში. იქ საფუძვლიანად გაეცნენ წარმოებას, ბულგარულ მულტიპლიკაციას და გადაიღეს ფერადი ერთნაწილიანი ფილმი „ყველაფერი ყარყატისათვის“, ბულგარელი დრამატურგის გიორგი პოპოვის სცენარის მიხედვით.

თბილისში ჩამოსულები იყვნენ⁴ ბულგარული მულტიპლიკაციური სტუდიის წარმომადგენლები – სტუდიის დირექტორი ხრისტო ცაჩევი, სცენარის ავტორი რუმენ მარკოვი და რეჟისორი ანტონ ტროიანოვი, რომლებმაც განსახილველად ჩამოიტანეს ლიტერატურული სცენარი ახალი ნახატი ფილმისათვის „მეთევზეები“ და ქართველ მულტიპლიკატორებს ფილმის ერთობლივად გადაღება შესთავაზეს. ბულგარელი მეგობრები ესტუმრნენ ახალი სტუდიის ბაზას; დაათვალიერეს „ქართული ფილმის“ მუზეუმი; დიდი ინტერესით გაეცნენ ქართული ეროვნული კინოს წარმატებას და საინტერესო ჩანაწერი შეიტანეს მუზეუმის შთაბეჭდილებათა წიგნში: „ჩვენ მოხიბლულნი ვართ თქვენი მშვენიერი მუზეუმის დათვალიერებით, საინტერესო სანახაობით, დიდი აზრით და შინაარსით. სწორედ ასეთი მუზეუმის ღირსია თქვენი აღიარებული ქართული კინო“.

სოფიის თეატრალური საზოგადოებრიობა 1983 წელს პირველად გაეცნო შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის (სამხატვრო ხელმძღვანელი – რობერტ სტურუა) შემოქმედებას, კერძოდ – ბრესტის „კავკასიური ცარცის წრისა“ და შექსპირის „რინარდ მესამის“ ორიგინალურ წაკითხვას. „ქართული თეატრის ძალა, – წერდა ბულგარული გაზეთი „ნაროდნა კულტურა“ [11], – სწორუპოვარი არტისტულობაა. თავის კონკრეტულ გამოხატულებას ეს პოულობს სცენური თავისუფლებით, ხალხური ხელოვნების უნივერსალურობისადმი მისწრაფებით“. გასტროლები გაიმართა 1989 წელსაც. ამჯერად ქართულმა თეატრმა ბულგარულ მაყურებელს წარუდგინა შექსპირის „მეფე ლირი“. სპექტაკლის წარმატების ყველაზე ნათელი მაჩვენებელი იყო ხანგრძლივი ტაში, რომელიც ხალხით სავსე დარბაზში ისმოდა.

⁴ 1988 წელს.

1983 წელს საქართველოს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ტერიტორიაზე, ბულგარეთის ეროვნულ დღესასწაულთან დაკავშირებით, გაიხსნა ბულგარული გრამფირფიტების დეკადა. თბილისს ეწვივნენ ბულგარეთის გრამფირფიტების ფირმა „ბალკანტონისა“ და გაერთიანება „ვნეშტორგ-ხემუსის“ წარმომადგენლები, რომლებმაც ქართველ მუსიკის მოყვარულებს გრამფირფიტების ფართო არჩევანი შესთავაზეს. მათ ჩამოიტანეს თავიანთი ხალხური მუსიკის ჩანაწერები, კლასიკური ნაწარმოებები ბულგარული ხელოვნების ოსტატთა შესრულებით, საესტრადო და საბავშვო რეპერტუარის მდიდარი ასორტიმენტი.

1983 წელი მნიშვნელოვანი იყო იმით, რომ 900 წელი შესრულდა პეტრიწონის მონასტრის დაარსებიდან. ეს თარიღი აღინიშნა ორივე ქვეყანაში.

ბულგარული თეატრების რეპერტუარში იყო ალექსანდრე ჩხაიძის პიესები. 1984 წელს ქალაქ სილისტროს დრამატულ თეატრში გაიმართა პიესა „ჩინარის მანიფესტი“ პრემიერა, რომელსაც ავტორი ესწრებოდა. სპექტაკლი დადგა თეატრის მთავარმა რეჟისორმა რეჯებ სადიკოვმა. მთავარი როლი შეასრულა სტოიან ხალაშევიამ.

ალ. ჩხაიძის პიესა „სამიდან ექვსამდე“ შედიოდა სოფიის ახალგაზრდული თეატრისა და ქალაქ რუსეს „სავა ოგნიანოვის“ თეატრის რეპერტუარებში. „ჩინარის მანიფესტი“ დადგეს ბლაგოვეგრადის თეატრშიც. უფრო ადრე კი, ამავე თეატრში იდგმებოდა „ხიდი“.

ალ. ჩხაიძის ნაწარმოებებით დაინტერესება განპირობებული იყო იმით, რომ ისინი ერთ-ერთ საუკეთესო პიესებად მიიჩნეოდა იმ პერიოდის დრამატურგიაში და ამასთან, ითვლებოდა მაგალითად იმისა, თუ როგორ უნდა ყოფილიყო გადმოცემული თანამედროვე პრობლემები, როგორ უნდა შთაგენერგა ადამიანებისათვის მოვალეობის გრძნობა და მოქალაქეობრივი ზნეობა.

1986 წელს ფოლკლორული ანსამბლი „წინანდალი“ (ხელმძღვანელი – ლევან აბაშიძე) გასტროლებით ბულგარეთში იმყოფებოდა, სადაც მისი წევრები საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ.

1987 წელს კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა ბულგარეთში სამი სპექტაკლი წარადგინა: შექსპირის „ოტელო“, მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“, ლალი როსებას „პროვინციული ამბავი“. ეურნალში „თეატრალური მოამბე“ (1988, №1) დაიბეჭდა ბულგარული თეატრმცოდნის სნეჟინა ზაპრიანოვას რეცენზია „ადამიანის სული სინათლის სხივსა და ჩრდილში“. მასში ნათქვამია: „... დადებითმა შეფასებამ, რომელიც მოიპოვეს „ოტელომ“, მიხეილ ჯავახიშვილის მიხედვით შექმნილმა „ჯაყოს ხიზნებმა“ და ლალი როსებას „პროვინციულმა ამბავმა“ ქართული სცენური ხელოვნების ავტორიტეტი განამტკიცეს. რუსთაველის თეატრისაგან განსხვავებულმა სტილისტიკამ, კლასიკური ქმნილებების თანამედროვე წაკითხვამ, მარჯანიშვილის თეატრს დაუმკვიდრა საკუთარი გზა, საკუთარი შემოქმედებითი კრედიტ... მარჯანიშვილის თეატრის შემოქმედებითი კოლექტივის ამოსავალი წერტილია თავისი ხალხის მუსიკა, პლასტიკა, საღებავებით მდიდარი არტისტული სამყარო, რისი მეშვეობითაც მაყურებლის აღქმას აათქვამს და მხოლოდ ამის შემდეგ შეუმჩნევლად მიმართავს მათ ფიქრსა და გონებას ზოგადკაცობრიულისკენ. ეს არ გახლავთ ინტუიციის ნაყოფი, იგი სცენური შემოქმედების ღმა წვდომის შედეგია“ [23].

საინტერესოა, რომ დამეგობრებული თეატრებიც იყვნენ. გორის გ. ერისთავის სახელობის და ბულგარეთის ქალაქ დიმიტროვგრადის აპოსტოლ კარამიტევის სახელობის თეატრების მეგობრობას საფუძველი ჩაეყარა მწერალ ვაჟა დადიანის ბულგარეთში მოგზაურობით. რადგან ის პიესებსაც წერდა, ბულგარელმა თანამოკალმეებმა და დიმიტროვგრადის თეატრის მთავარმა რეჟისორმა პეტრე კარაპეტკოვმა შესთავაზეს საკუთარი პიესის დადგმა ბულგარულ თეატრში. 1988 წლის დეკემბერში დიმიტროვგრადის თეატრმა თავის პრემიერაზე „მგლების მომწვედვეა“ (რეჟისორი – პ. კარაპეტკოვი) მიიწვია გორელები. საპასუხო ვიზიტით ბულგარელები გორში ჩავიდნენ 1989 წლის იანვარში. მათ შორის, რეჟისორი პ. კარაპეტკოვი, რომელიც გორის თეატრში მუშაობდა ბულგარელი კლასიკოსის პეტკო დოდლოვის „გველეშაპის ქორწინების“ დადგმაზე (ქართულად თარგმნა ვ. დადიანიძემ).

დამეგობრებულები იყვნენ ბლაგოვეგრადის დრამატული თეატრისა და ბათუმის თეატრის შემოქმედებითი კოლექტივები. გოგი ქავთარაძემ (ბათუმის თეატრის მთავარმა რეჟისორმა) ბლაგოვეგრადის დრამატულ თეატრში დადგა ნ. დუმბაძის „ნუ გემინია, დედა“, ხოლო ბულგარელმა რეჟისორმა ანდრეი კალუდოვმა ბათუმის თეატრში განახორციელა მ. სტოიანოვის „ოსტატების“ დადგმა.

შეიძლება ვისაუბროთ რუსთავისა და ხასკოვოს თეატრების მეგობრობაზეც. ქალაქ რუსთავში მეტალურგთა კულტურის სასახლე 1988 წლის ოქტომბერში, ერთი კვირის მანძილზე, მასპინძლობდა ბულგარეთის ქალაქ ხასკოვოს ივანე დიმიოვის სახელობის დრამატული თეატრის ახალგაზრდულ დასს. წარმოადგინეს ი. რადიჩკოვის „აურზაური“, ი. იოვკოვის „აღბენა“ და ვ. პეტროვის „მთვარით განათებულ ოთახში“. პირველი ორი სპექტაკლი დადგა ი. დობჩევემ, მესამე – ვ. ვიხიროვამ.

რამდენიმე თვეში, ქალაქ ხასკოვოში თ. ჭილაძის პიესით „ჩიტების ბაზარი“ დაიწყო გასტროლები რუსთავის დრამატულმა თეატრმა (სამხატვრო ხელმძღვანელი – თ. მესხი). სპექტაკლები წარადგინეს, ასევე, ქალაქებში – კირჯალასა და სტარიზაგორაში. საგასტროლო პროგრამაში იყო, აგრეთვე, სპექტაკლები – ვ. გუბარევის „სარკოვაგი“ და რ. როლანის „მგლები“.

1989 წელს კიდევ ერთი ქართული თეატრალური დასი გაემგზავრა ბულგარეთში. ამჯერად სოფიისა და სლივენის სასცენო ხელოვნების მოყვარულების წინაშე ქართულმა მოზარდ მაყურებელთა თეატრმა წარადგინა სპექტაკლი „კუკარაჩა“ (თეატრის მთავარი რეჟისორი – შალვა გაწერილია).

საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის შემოქმედებითი კომერციული ფორმის – „მეგობრობის თეატრის“ მოწვევით, 1989 წელს თბილისში ჩამოვიდა ბულგარეთის დრამატული თეატრი „სოფია“ (დირექტორი – ილია რაევი), რომელმაც გასტროლები დაიწყო შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის შენობაში. სტუმრებმა ჩამოიტანეს ერთი სპექტაკლი – ნიკოლოზ ერდმანის „თვითმკვლელი“ (თარგმანი ივან ნიკოლოვისა), რომლის სცენური რედაქცია და დადგმა ეკუთვნის თეატრის მთავარ რეჟისორსა და სამხატვრო ხელმძღვანელს კრიკორ აზარიანს, სცენოგრაფია – ვეჩესლავ პარაპანოვს, ცეკვები და მუსიკალური გაფორმება – ალექსანდრე ჩობანოვსა და პანაიოტ სლავჩევს.

1990 წელს სამცხე-ჯავახეთის თოჯინების თეატრი „ვარძია“ გასტროლებით იყო ბულგარეთში, სადაც სოფიაში, გაბროვოში, პლოვდივსა და ველიკო-ტარნოვოში წარმოადგინა სპექტაკლი „რწყილი და ჭიანჭველა“ (მთავარი რეჟისორი – თამაზ ნემსაძე).

ჩვენი ხალხების კულტურული კავშირები ამდიდრებდა და ამრავალფეროვნებდა როგორც ქართულ, ისე ბულგარულ კულტურას.

თვალსაჩინო იყო კონტაქტები მეცნიერების სხვადასხვა დარგში.

მეცნიერებაზე საუბრისას, პირველ რიგში, ბულგარეთში მოღვაწე მეცნიერი – ქართველოლოგი ივანე ბიწაძე უნდა გავიხსენოთ.

ივანე ბიწაძე დაიბადა 1924 წელს, იუგოსლავიაში, ბელგრადში. მისმა მშობლებმა საქართველო 1919 წელს დატოვეს. მამის გარდაცვალების შემდეგ ივანე და დედამისი სოფიაში ერთადერთ ქართულ ოჯახად დარჩნენ. 1950 წელს, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ი. ბიწაძემ მუშაობა დაიწყო ბულგარეთ-საბჭოთა მეგობრობის საზოგადოებაში. სხვადასხვა დროს იყო რუსული ენის მასწავლებელი, ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიისა და ლიტერატურის ინსტიტუტების თანამშრომელი; მოღვაწეობდა ჟურნალებში, ბულგარეთ-საბჭოთა მეგობრობის საზოგადოების ხაზით კითხულობდა ლექციებს ქართულ-ბულგარულ ლიტერატურულ და კულტურულ კავშირებზე. პრესაში ბეჭავდა სტატიებს შოთა რუსთაველის, დავით გურამიშვილის, იოანე პეტრიწის, სულხან-საბა ორბელიანის შესახებ. მონაწილეობდა სამეცნიერო სიმპოზიუმებში. 1981 წელს სოფიაში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც ბულგარეთის სახელმწიფოს დაარსების 1300 წლისთავს მიეძღვნა და ბულგარისტიკის პირველ საერთაშორისო კონგრესზე გამოვიდა მოხსენებებით: „ქართული ელემენტები ბიზანტიურ კულტურაში“, „ბულგარული და ქართული ეროვნულ-განმანათლებლებელი ბრძოლების ურთიერთინტერესი“ და „ქართულ-ბულგარული ლიტერატურულ-კულტურული და საზოგადოებრივ-ისტორიული კავშირები“. ივანე ბიწაძე იყო 1975 წელს სოფიაში ბულგარულ ენაზე გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ რედაქტორი და კომენტარების ავტორი. მისი რედაქციით, შესავალი წერილითა და კომენტარებით გამოიცა ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების მთლიანი თარგმანი სათაურით „მერანი“. ბულგარეთისა და საქართველოს მეცნიერული საზოგადოებები მაღალ შეფასებას აძლევდნენ ივანე ბიწაძის საქმიანობას ორი მოძმე ქვეყნის ერთა ურთიერთგაცნობის საქმეში.

ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, პროფესორი გიორგი უზუნოვი 60-იან წლებში ხშირად სტუმრობდა საქართველოს. ის ცნობილ ქართველ მეცნიერთან, ნევროპათოლოგ, აკადემიკოს პეტრე სარაჯიშვილთან ერთად მუშაობდა თემაზე – „კაროტიდული სინუსის გავლენა თავის ტვინის ელექტრულ აქტივობაზე ნორმაში და ეპილეპტოგენური გაღიზიანების პირობებში“.

რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტს 1972 წლის ივნისში სამეცნიერო მივლინებით ეწვია ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ლიტერატურათმცოდნე გიორგი ცანევი. 1973 წლის 10 ოქტომბერს, იმავე ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე, მოხსენება თემაზე „თანამედროვე ბულგარული ლიტერატურის პრობლემები“ წაიკითხა ბულგარეთის ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ, პროფესორმა გიორგი დიმოვმა.

1973 წელს ფილოლოგი რევაზ სირაძე ერთი წლით მიავლინეს ბულგარეთში, სადაც შეისწავლა ძველი ქართული და ძველი ბულგარული კულტურული ურთიერთობების საკითხები.

სხვადასხვა დროს ბულგარეთში სამეცნიერო ექსპედიციაში იმყოფებოდნენ ქართველი მეცნიერები – აკაკი შანიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, ნიკო ბერძენიშვილი, აკაკი ურუშაძე, ოთარ გიგინეიშვილი.

70-იან წლებში ბულგარეთის სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტისა და საქართველოს ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სპეციალისტები ერთობლივად აწარმოებდნენ კვლევებს ჰიდროტექნიკისა და ჰიდროენერგეტიკის საჭიროებებისთვის სხვადასხვა პოლიმერიული კომპოზიციის შემუშავება-გამოყენების დარგში.

1977 წელს საქართველოში გაიმართა ბულგარეთის მეცნიერებისა და ტექნიკის დღეები, რომელმაც კიდევ ერთხელ ცხადყო, თუ როგორ ვითარდებოდა და რა სიმაღლეებს აღწევდა ბულგარელი ხალხის მეცნიერულ-ტექნიკური აზროვნება.

1977-1978 წლებში, ქართველმა ინჟინერმა ა. კარბელაშვილმა, საქართველოსა და ამიერკავკასიაში კავშირგაბმულობის განვითარების ისტორიის საკითხების შესწავლის დროს, სსრ კავშირის ცენტრალურ სახელმწიფო ისტორიულ არქივსა და საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო არქივში მიაკვლია მასალებს, რომლებიც ბულგარეთში 100 წლის წინათ სატელეგრაფო ხაზების მშენებლობას შეეხებოდა. ამ მასალების საფუძველზე კარბელაშვილის მიერ დაწერილი სტატიები ბულგარულ პრესაში გამოქვეყნდა. ქალაქ ტირნოვოს გაზეთმა „ბორბამ“ დაბეჭდა თბილისელი ინჟინრის სტატია „უნიკალური რუკა“, რომელიც მკითხველს უამბობდა, თუ როგორ იყო მოწყობილი 1878 წელს სატელეგრაფო კავშირი ტირნოვოსა და შიპკას შორის. გაზეთ „ნაროდნა მლაჟეს“ სტატიაში აღნიშნულია, თუ როგორ „მოგზაურობდნენ“ დეპეშები ბულგარეთიდან საქართველოში და ტექნიკურად როგორ განხორციელდა დეპეშების გაცვლა თბილისსა და სოფიას შორის [7].

ა. კარბელაშვილის ვრცელი გამოკვლევა „ბულგარეთის სატელეგრაფო ქსელი“ დაიბეჭდა ეროვნული სამხედრო ისტორიული მუზეუმის სპეციალურ კრებულში, რომელიც მიეძღვნა ბულგარეთის გათავისუფლების 100 წლისთავს.

თბილისელი ინჟინრის გამოკვლევები კიდევ ერთხელ ადასტურებს საქართველო-ბულგარეთის ტრადიციულ მეგობრობას და იმ დიდ ყურადღებას, რასაც იქაური გაზეთები უთმობდნენ ყოველგვარ სიახლეს.

ბულგარელი ხალხის ეროვნულ დღესასწაულთან დაკავშირებით, 1980 წელს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის შენობაში ბულგარეთის აკადემიური წიგნის გამოფენა მოეწყო, სადაც წარმოდგენილი იყო მეგობარი ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიის მიერ უკანასკნელ წლებში გამოცემული წიგნები, ჟურნალები, მეცნიერების, ტექნიკის, ლიტერატურის, ფილოსოფიის, მედიცინის სხვადასხვა დარგის ლექსიკონები. გამოფენის დახურვის შემდეგ, მასზე წარმოდგენილი ყველა წიგნი საჩუქრად გადაეცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკას.

საინტერესო იყო ქართულ-ბულგარული ეკონომიკური ურთიერთობები. რამდენიმე მომენტს გამოვყოფთ.

ბულგარეთი თამბაქოს ნაწარმის ერთ-ერთი წამყვანი ექსპორტიორი იყო – ქვეყანა აწარმოებდა 37 დასახელების სიგარეტს. ბულგარეთში წარმოებული თამბაქოს ნაწარმის 60 პროცენტზე მეტი საბჭოთა კავშირში შეჰქონდათ. 1969 წელს თბილისში ჩამოვიდნენ ბულგარელი მეთამბაქოეები, რომელთა შორის იყვნენ „ბოლგარტაბაკის“ ტრესტის კომერციული დირექტორის მოადგილე ტ. ტრინდეფილოვი და ბულგარეთის სავაჭრო წარმომადგენელი სსრ კავშირში კ. კეტოვი. 2 ივნისს გაიმართა ბულგარეთის თამბაქოს ნაწარმის დეგუსტაცია. მასში მონაწილეობდნენ ქართველი სპეციალისტები. გაისინჯა რვა დასახელების სიგარეტი. ყველა მათგანმა დადებითი შეფასება მიიღო, მაგრამ განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად „ტუ-134“-სა და „მზეს“.

1974 წელს ბულგარეთის ქალაქ პლოვდივში გაიმართა 30-ე საერთაშორისო ბაზრობა, რომელშიც 46 ქვეყანასთან ერთად მონაწილეობდა საქართველო, როგორც სსრკ-ის ერთ-ერთი რესპუბლიკა. საქართველოს განყოფილებაში წარმოდგენილი იყო 2500 ექსპონატზე მეტი: გამომთვლელი მანქანა, წყალქვეშა ფრთიანი კატარღები, მანგანუმის საბადოების ნიმუშები, ავეჯი, მუსიკალური ინსტრუმენტები, ხალიჩები, საიუვილერო ნაწარმი და ა.შ. საქართველომ აღნიშნულ ბაზრობაზე 5 ოქროს მედალი მიიღო.

ბულგარეთის განთქმული კურორტი მზიანი სანაპირო 1976 წელს მასპინძლობდა ღვინისა და კონიაკის მე-3 საერთაშორისო კონკურსს. მთავარი ჯილდო – დიდი ოქროს მედალი მიიღეს ქართულმა ღვინოებმა – „წინანდალმა“, „კარდანახმა“, „ახაშენმა“. ოქროს მედლები მიენიჭა კონიაკებს – „ვარძიას“, „საქართველოს“, „ენისელსა“ და „საბჭოთა შამპანურს“.

პლოვდივში, 1981 წელს, მოეწყო მესამე სამონადირეო მსოფლიო გამოფენა, რომელშიც მონაწილეობდა 61 ქვეყანა 12000-მდე ექსპონატით. ექსპოზიციათა დევიზი იყო – „ნადირობა, ადამიანი და ბუნება“, რაც მიანიშნებდა პლანეტის ყოველ კუთხეში ბუნების დაცვის, ტურიზმის, ნადირობის, თევზჭერის შემდგომ განვითარებაზე.

საქართველოს ექსპონატებიდან ოქროს მედლები დაიმსახურეს ნიამორისა და ჯიქის რქებმა, დაჯილდოვდა დათვისა და ფოცხვერის თავის ქალები და სხვა ექსპონატები.

ბრინჯაოს მედლით დაჯილდოვდა თბილისელი მონადირის პ. სარქისოვის პოინტერის ჯიშის ძუ ძაღლი „კაპური“. საინტერესო ფაქტია, რომ ტუნჯის ხეობაში ფუნქციონირებდა კოლხური ხოხბის გასამრავლებელი საინკუბატორო მეურნეობა, რომელიც დაათვალიერა ქართულმა დელეგაციამ.

1981 წელსვე თბილისში გაიმართა ბულგარეთის ეკონომიკის დღეები, რომელიც ორგანიზებული იყო ბულგარეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის, გაერთიანება „ეკსპოცენტრისა“ და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ. ამ ღონისძიების ფარგლებში მოეწყო პარფიუმერულ-კოსმეტიკური და ფარმაცევტული პროდუქციის გამოფენები; ჩატარდა ლექციების ციკლი ბულგარეთის სოფლის მეურნეობის მიღწევებზე.

1987 წელს, სოფიაში, თანამშრომლობის ხელშეკრულება გაფორმდა მარნეულის საცდელ-ექსპერიმენტულ სასურსათო კომბინატსა და სოფიის უალკოჰოლო სასმელებისა და მინერალური წყლების საწარმოო გაერთიანებას შორის, რომლის თანახმადაც, მარნეულელები ბულგარელ პარტნიორებს აწვდიდნენ ლიმონს, ფორთოხალს, მანდა-

რინს, პიტნის ნაყენს. თავის მხრივ, ბულგარელი მეგობრები აგზავნიდნენ უაღკოპოლო სასმელების ჩამოსასხმელ ხაზებს, წყლის ბიოქიმიური დამზადების მოწყობილობას.

80-იან წლებში გაფართოვდა კოოპერაციული კავშირურთიერთობა ბულგარეთის ასოციაციას „ყველაფერი ადამიანისათვის“ და საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებს შორის.

80-90-იან წლებში თბილისის ჩარხსაშენებელ ფირმა „დიას“ მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა ევროპის ქვეყნების, მათ შორის, ბულგარეთის საწარმოებთან.

ცალკე თემაა ქალაქების დაძმობილება, რომელსაც სწორედ XX საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი. დაძმობილებულმა ქალაქებმა არაერთხელ გაცვალეს დელეგაციები. ასე, მაგალითად, 1977 წელს აჭარაში გაიმართა ბლაგოვეგრადის ოლქის დღეები; 1979 და 1987 წლებში კი – აჭარის დღეები ბლაგოვეგრადის ოლქში. ამ დღეების ფარგლებში გამართულ ღონისძიებებში მონაწილეობდნენ – სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების, პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები.

XX საუკუნეში, მას შემდეგ, რაც საქართველო, თავისი ნების წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შეიყვანეს, ხოლო ბულგარეთი სოციალისტური ქვეყნების ბანაკის წევრი გახდა, ურთიერთობა ამ ჭრილში განვითარდა. აღნიშნულ პერიოდში პოლიტიკური, და არამხოლოდ, ურთიერთობები კონტროლდებოდა მოსკოვის მიერ, მაგრამ ქართველებმა და ბულგარელებმა შეძლეს მჭიდრო თანამშრომლობა კულტურის, განათლების, მეცნიერებისა თუ ეკონომიკის სფეროში.

საქართველოსა და ბულგარეთის თანამშრომლობა სხვადასხვა სფეროში ამდიდრებდა და ამრავალფეროვნებდა ორივე ხალხის კულტურას, მეცნიერებას, ეკონომიკას...

1991 წლის 9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი.

1992 წლის 5 ივნისს საქართველოსა და ბულგარეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობა დამყარდა. ამ დროიდან ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის სრულიად ახალი ეტაპი დაიწყო, რომელმაც მოიცვა პოლიტიკის, სავაჭრო-ეკონომიკური და სატრანსპორტო, საპარლამენტთაშორისო, თავდაცვის, მეცნიერების, განათლების, კულტურის და სხვა სფეროები. ბულგარეთი და საქართველო ყოველთვის იყვნენ და დღესაც არიან ერთმანეთის საიმედო პარტნიორები; ბულგარეთი მტკიცედ უჭერდა და დღესაც უჭერს მხარს საქართველოს სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობასა და ქვეყნის ევროკავშირში ინტეგრაციას.

ლიტერატურა:

1. სირაძე რ., ძველ ბულგარულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობათა საკითხები, წიგნში: რ. სირაძე, წერილები, თბ., 1980;
2. კალანდია გ., ქართველები მსოფლიო ისტორიაში, ტ. 1, თბ., 2020.

3. ბარამიძე აღ., ბულგარულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, წიგნი: აღ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, წ. 7, თბ., 1978;
4. ჯულაბაშვილი ლ., ვაზოვი და ბულგარეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობა, თბ., 1961.
5. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1965, 25 ივნისი.
6. გაზ. „თბილისი“, 1977, 18 მაისი.
7. გაზ. თბილისი, 1978, 9 მარტი.
8. გაზ. „სამშობლო“ 1977, 9 სექტემბერი.
9. გაზ. „სამშობლო“ 1977, 12 დეკემბერი.
10. გაზ. „სამშობლო“ 1983, 20 ივლისი.
11. გაზ. „კომუნისტი“, 1983, 15 ნოემბერი.
12. გაზ. „კომუნისტი“, 1988, 28 ოქტომბერი.
13. გაზ. „კომუნისტი“, 1989, 27 იანვარი, 26 ოქტომბერი.
14. გაზ. „ქართული ფილმი“, 1988, 4 მაისი.
15. გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1974, 31 ოქტომბერი.
16. გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1974, 3 დეკემბერი.
17. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1987, 7 აგვისტო.
18. გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 1979, 12 ივნისი.
19. გაზ. საბჭოთა აჭარა, 1984, 29 ივნისი.
20. გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 1987, 14 ნოემბერი.
21. ჟურნ. „საქართველოს პოლიგრაფია“, 1980, N3.
22. ჟურნ. „ახალი ფილმები“, 1983, N6.
23. ჟურნ. „თეატრალური მოამბე“, 1988, N1.
24. ჟურნ. საბჭოთა ხელოვნება, 1984, N11.
25. ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1988, N2.
26. გაზ. «Вечерний Тбилиси», 1967, 5 июня.
27. გაზ. «Вечерний Тбилиси», 1974, 4 мая.
28. გაზ. «Заря Востока», 1981, 15 ноября.
29. გაზ. «Заря Востока», 1990, 25 октября.

Indira Dzaganja, Irma Zakaraia
For the history of Georgian-Bulgarian relations
(from ancient times to the XXI century)
Summary

The relations between Georgia and Bulgaria date back to the distant past. Georgians and Bulgarians have been connected by blood and history for centuries; they have shown humanity excellent examples of bravery, historical optimism, humanism, and a unique and original culture.

The fact that both countries were part of the Orthodox world, under the influence of the Byzantine Empire, contributed to the proximity of Georgians and Bulgarians. Religious and cultural ties were quite close.

The history of the Georgian and Bulgarian people contains hundreds of examples of brotherly friendship and mutual assistance. The history of Georgia and Bulgaria has been similar many times. Georgians and Bulgarians have repeatedly had to fight for freedom and independence against the invaders. That is why they stood side by side.

The work discusses the relationship between Georgians and Bulgarians from ancient times to the 21st century.

Индира Дзаганя, Ирма Закаря
К истории грузино-болгарских отношений
(С древнейших времен до XXI века)
Резюме

Отношения между Грузией и Болгарией уходят корнями в далекое прошлое. Грузины и болгары на протяжении столетий были кровно связаны исторической судьбой. Они продемонстрировали человечеству прекрасные примеры храбрости, исторического оптимизма, гуманизма, а также уникальной и самобытной культуры.

Сближению грузин и болгар способствовало и то, что обе страны входили в православный мир, находились под влиянием Византийской империи. Религиозные и культурные связи были довольно тесными.

История грузинского и болгарского народов содержит множество примеров братской дружбы и взаимопомощи. Историю Грузии и Болгарии сравнивали много раз. Им неоднократно приходилось бороться за свободу и независимость против захватчиков, поэтому они стояли бок о бок.

В статье рассматриваются взаимоотношения грузин и болгар с древнейших времен до сегодняшних дней.

Emma Kilanava
(Georgia)

**ATTRIBUTES OF THE PASSIVE DIATHESES IN MODERN ENGLISH
LITERARY DIALOGUE**

Abstract

Компоненты ситуации принуждения пассивных диатезов
Резюме

В статье описываются выделенные компоненты ситуации воздействия (ситуации пассивных диатез). Помимо центрального компонента – предиката, который может быть каузативным и не-каузативным, выделяются первичные актанты (субъекты), вторичные актанты (объекты), атрибуты и циркумстанты.

სოფიო მუჯირი
(საქართველო)

მოსმენის კომპეტენცია ლინგვისტურ და დიდაქტიკურ ზრილში

მოსმენა უცხოენოვანი ტექსტის საბაზისო უნარ-ჩვევაა, რომლის გარეშე შეუძლებელია უცხო ენის შესწავლა. ეს რეცეფციული უნარი წარმოადგენს წინაპირობას პროდუქტიული უნარ-ჩვევების, პირველ რიგში, მეტყველებისა და წარმოთქმის უნარ-ჩვევების განვითარებისათვის. თუ გადავხედავთ მოსმენის უნარ-ჩვევების განვითარების ისტორიას, დავინახავთ, რომ გერმანულის, როგორც უცხო ენის, სწავლების სხვადასხვა მეთოდში, უცხოენოვანი ზეპირი ტექსტის მოსმენასა და გაგებას ყოველთვის არ ეთმობოდა ჯეროვანი ყურადღება. ასე მაგალითად, „გრამატიკისა და თარგმნის“ მეთოდში (XIX ს.) მოსმენის უნარ-ჩვევის განვითარება უტოლდებოდა მასწავლებლის მიერ ხმა-მაღლა წაკითხული უცხოენოვანი ლიტერატურული ტექსტის მოსმენასა და მიბადვას. მასწავლებელი ენობრივი მიბადვის ნიმუშს წარმოადგენდა „პირდაპირი“ მეთოდის დროსაც (XIX ს. 80-იანი წლები). ამ მეთოდის ყურადღების ცენტრში მოექცა ზეპირი, ყოფითი მეტყველების მოსმენა და გამეორება. „აუდიო-ლინგვალურ“ მეთოდში (XX ს. 40-იანი წლები) მოსმენის, წარმოთქმისა და მეტყველების უნარ-ჩვევათა განვითარებას დომინანტური მნიშვნელობა მიენიჭა. ტექნიკური საშუალებების გამოყენება ზეპირმეტყველების ლაბორატორიაში ენის შემსწავლელებს საშუალებას აძლევდა მოესმინათ სხვადასხვა დიქტორის მიერ წარმოთქმული ავთენტიკური ტექსტები, მიეზიარებინათ ენობრივი მოდელისათვის და გაეცნობიერებინათ ენობრივი მასალის სტრუქტურული ნიმუშები გასამეორებელი და საწარმოთქმო სავარჯიშოების დახმარებით. „კომუნიკაციურმა დიდაქტიკის“ (XX ს. 70-იანი წლები) მეთოდის თანახმად, ენის შემსწავლელებს მოეთხოვებოდათ ენობრივად მიზანშეწონილი კომუნიკაციური ქმედება ყოფით და პროფესიულ სიტუაციებში. ამ მოთხოვნის შესაბამისად, ყურადღება გამახვილდა სხვადასხვა თემატიკისა და ტიპის ავთენტიკური ზეპირი ტექსტის მოსმენაზე [3, 37].

როგორც ცნობილია, ერთიან ვეროპულ სარეკომენდაციო ჩარჩოში მოცემულია ენობრივი კომპეტენციის ცალკეული აქტივობებისა და პარამეტრების სკალები. მათ შორის უცხოური ენის შემსწავლელთათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ზეპირი მეტყველების მოსმენისა და გაგების კომპეტენცია, რადგან მოსმენილი ზეპირი მეტყველების აღქმა-გაგებისა და მასთან დაკავშირებული ფონეტიკურ-ფონოლოგიური კომპეტენციის გარეშე, ისინი ვერ გაართმევენ თავს უცხოენოვან სამყაროში ელემენტარულ დონეზე კომუნიკაციასაც კი, რადგან: მოსმენა, პერცეფცია წარმოადგენს საფუძველს პროდუქციისათვის, მეტყველებისათვის, ენის რეცეფციული აღქმა წარმოადგენს ენის შესწავლის უმთავრეს წინაპირობას. გამოკვლევებით დადასტურებულია, რომ „მოსმენას“ წამყვანი ფუნქცია აკისრია ენის ყოველდღიური გამოყენების დროს – 42%. მას მოსდევს „მეტყველება“ – 32%, „კითხვა“ – 15% და „წერა“ – 11% [2, 17; 4, 893; 3, 37]. ის ფაქტი, რომ ზეპირი მეტყველების რეცეფციული აღქმისა და გაგების უნარი წარმოადგენს კომუნიკაციაში წარმატებული მონაწილეობის წინაპირობას, განსაკუთრებითაა გასათვალისწინებელი უცხო ენის გაკვეთილზე. უცხო ენის გაკვეთილზე, ერთი მხრივ, საჭიროა ვიზრუნოთ მოსმენის უნარ-ჩვევის ჩამოყალიბებისათვის აუდიო- და კომპიუტერუ-

ლი ტექნიკისა და უახლესი მეთოდოლოგია-დიდაქტიკის გამოყენებით, მეორე მხრივ კი, აუცილებელია ზეპირი მეტყველების გაგებასთან დაკავშირებული სირთულეების გათვალისწინება როგორც სწავლების პროცესში, ასევე „მოსმენის“ ტექსტის შედგენისა და შეფასების დროს. ეს სირთულეები მრავალფეროვან ხასიათს ატარებს:

1. *მოსმენილი ტექსტის გაგება აქტიური და სუბიექტური პროცესია.* ენის სხვადასხვა შემსწავლელმა მოსმენილი ტექსტი შეიძლება სხვადასხვაგვარად გაიგოს, რაც დამოკიდებულია მის ინდივიდუალურ მიზნებზე, თეზაურუსზე და მოტივაციაზე. უცხო ენის შემსწავლელთა მიერ მოსმენილის გაგება მრავალრიცხოვან ფაქტორზეა დამოკიდებული, როგორებიცაა: *დისტანცია მშობლიურ და უცხოენოვან ქვეყანას შორის და ამ ქვეყნების კულტურათა ფონური ცოდნა*, ტექსტის ტიპებისა და სუპერსტრუქტურების მეტაკოგნიტიური ცოდნა, გაგების კომპეტენცია მშობლიურ ენაში, ზოგადი ენობრივი და სტრატეგიული კომპეტენციები და ა.შ.

2. თუ მსმენელმა ტექსტის ნაწილი არაადეკვატურად გაიგო (მაგალითად, სპონტანური მეტყველებისათვის ტიპური ლექსიკის გამო), მას გაუჭირდება შემდეგი ტექსტის გაგება, ვინაიდან აუდიტორული/აკუსტიკური არხის სპეციფიკა ზღუდავს მოსმენილის კოგნიტიურ აღქმას (განსხვავებით ვიზუალური არხისაგან, სადაც მაგალითად, კითხვის დროს შესაძლებელია ტექსტის ვერგაგებული მონაკვეთის ხელახლა წაკითხვა). *მოსმენილი და გაგებული ინფორმაციები, რომლებიც უნდა დავიმახსოვროთ, წარმოადგენენ ბაზისს ტექსტის მომდევნო ნაწილის გაგებისათვის.*

3. უცხო ენის შემსწავლელებს მოსმენის დროს უმთავრესად აქვთ უფრო ცუდი გაგებისა და დამახსოვრების უნარი, ასევე *დამახსოვრების ოპტიმალური გამოყენების უნარი*, ვიდრე ეს მათ თავიანთ მშობლიურ ენაში აქვთ. ლიტერატურაში აღინიშნება, რომ ენის შემსწავლელთა 65%-ს აქვს დამახსოვრების პრობლემები მოსმენილი ინფორმაციის მენტალური გადამუშავების პროცესში. რაც უფრო მეტი ლექსიკური და გრამატიკული კომპეტენცია გააჩნია უცხო ენის შემსწავლელს, მით უფრო მეტი დამახსოვრების უნარი აქვს მას ტექსტის შინაარსობრივი დამუშავების პროცესში.

4. ბევრითი სტიმულის აღქმა-გაგებისათვის შემსწავლელს უნდა ჰქონდეს განვითარებული *პერცეფციული აღქმის უნარი*. უცხო ენის შემსწავლელები ამ სფეროში ხშირად ჩამორჩებიან, ამის შედეგად მათ ნაცნობი სიტყვების იდენტიფიკაციაც კი უჭირთ.

5. გასათვალისწინებელია *აუდიო-ტექსტისა და თანხლები დაგალებების სირთულე* (მაგ., შინაარსობრივად პოლივალენტური ტექსტები არ უნდა შევარჩიოთ მოსმენის უნარ-ჩვევის შესამოწმებლად).

ა) მოსმენის *თანხლები დაგალებების სირთულეს განაპირობებს ტექსტის შინაარსის კონცეპტუალური სირთულე*. ბრაუნი ასახელებს მოსასმენი ტექსტების კოგნიტიურ-კონცეპტუალური სირთულის მახასიათებელ თვისებებს. ტექსტები კანდიდატისათვის შედარებით ადვილი გასაგებია, თუ ამ ტექსტებში:

- რეფერენტების (ინდივიდების, ობიექტების) მცირე რაოდენობაა მოცემული;
- რეფერენტები ერთმანეთისაგან მკაფიოდ არიან გამიჯნული;
- ლოკალური მიმართებები ნაკლებად კომპლექსურია.
- რეალური თხრობის თანმიმდევრობა მოვლენათა თანმიმდევრობას შეესაბამება;

– მოსმენილის გაგებისათვის არაა საჭიროა რთული ლოგიკური დასკვნებიდან გამომდინარე „გაგება“;

– შინაარსი ფორმულირებულია მკაფიოდ და ტექსტში მოცემული ინფორმაციები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია.

ბ) მოსმენილის გაგების თანმხლები დავალებების სიძნელეს განაპირობებს, ასევე, შემდეგი ფაქტორების ურთიერთქმედება: ტექსტისა და აკუსტიკური სტიმულის მახასიათებლები, ინსტრუქციების სპეციფიკა და პიროვნებისათვის ტიპური თვისებები.

ტექსტისა და მისი თანმხლები დავალებების დამახსოვრება აუცილებელია ტექსტის გამიზნული სტილით მოსმენისა და დავალებათა შესრულებისათვის. იმ შემთხვევაში, როდესაც დავალებები ტექსტის მოსმენის შემდეგაა გასაკეთებელი, უცხო ენის შემსწავლელის მესხიერება შეიძლება ძალიან გადაიტვირთოს. ასეთ შემთხვევაში, გარდა თავად მოსმენის უნარ-ჩვევის შემოწმებისა და შეფასებისა, ფაქტობრივად, ჩვენ ვამოწმებთ ამ პირის დამახსოვრების უნარსაც.

6. მოსმენის დროს აუდიტორული შთაბეჭდილება ხანმოკლე და სწრაფად წარმატდება, უწყვეტი აკუსტიკური სიგნალის დროში შეზღუდვის გამო. ეს იწვევს მოსმენილი ინფორმაციის გადამუშავების პროცესში ენის შემსწავლელის კოგნიტიურ გადატვირთვას. ამასთან, ტექსტის ნაკადის ავთენტური სისწრაფე, რომელიც დამოკიდებულია აუდიო სიგნალზე/მეტყველ პირზე, ართულებს მსმენელის მიერ აუდიო ტექსტზე კონტროლის განხორციელებას.

7. ენის შემსწავლელთა მიერ მოსმენილი ტექსტის ადეკვატურ გაგებას მნიშვნელოვნად ართულებენ ზეპირი, სპონტანური მეტყველების სპეციფიკური თავისებურებები. სპონტანურობის მზარდი ხარისხის მიხედვით განასხვავებენ: არასპონტანურ ყოფით მეტყველებას, მომზადებულ ყოფით მეტყველებას, სპონტანურ ყოფით მეტყველებას. სპონტანური ყოფითი მეტყველების მაგალითია საუბარი ლუდხანაში. არასპონტანურ ყოფითი მეტყველების კატეგორიას მიეკუთვნებიან მოსასმენი ტექსტები, რომლებიც ჯერ წერილობით არიან ფორმულირებული, შემდეგ კი – სიტყვა-სიტყვით წაკითხული ან ზეპირად გადმოცემული (ე.წ. ტექსტების ტრანსკრიფცია). მომზადებულ ყოფით მეტყველებას შესაძლოა მივაკუთვნოთ ლექცია ან პოლიტიკური კომენტარი რადიოსა და ტელევიზიაში. სპონტანური ყოფითი მეტყველება ხასიათდება პარატაქსებით, ელიფსებით, შეწყვეტილი წინადადებებით, გამეორებებით, „შევსებული“ პაუზებით, კავშირების (weil, obwohl) გამოყენების დროს ზმნის არაფინალური პოზიციით, ვულგარიზმებით, დიალექტური გამონათქვამებით, კოარტიკულაციის ტენდენციით, რედუქციით, ხმოვანთა რედუცირებით და სხვ. ბევრი აუთენტური აუდიო ტექსტი ავლენს ზეპირი მეტყველების თვისებებს, რაც ტექსტის მოსმენისა და გაგების, ასევე ტესტირების დროს, გასათვალისწინებელია როგორც პოტენციური სირთულის ფაქტორი.

8. განსხვავებით წერითი ტექსტისაგან, რომელიც წარმოადგენს დისკრეტული ერთეულებისაგან (ასოებისაგან, სიტყვებისაგან და ა.შ.) შემდგარ სისტემას, მოსასმენი ტექსტი გარკვეულ დროში რეალიზებული ბგერათა ნაკადია, რომელსაც მსმენელი ანაწევრებს პაუზების მეშვეობით. წერილობითი ტექსტისაგან განსხვავებით, ზეპირ ტექსტში სიტყვათა საზღვრები ნაკლებადაა გამოკვეთილი. ამიტომ ტექსტის გაგებისათვის მსმენელი იძულებულია ბგერათა ნაკადში გამოჰყოს ცალკეული სიტყვები და ფრაზები. უცხოენოვანი აუდიო ტექსტის სიტყვებად და ფრაზებად დანაწევრება მოსმენის პრო-

ცესში, ასევე, ერთ-ერთ სირთულეს წარმოადგენს, განსაკუთრებით მაშინ, თუ მოსასმენ ტექსტში აღინიშნება კოარტიკულაციის, რეგრესული ან პროგრესული ასიმილაციის, რედუქციის თუ ხმოვნის რედუცირების ტენდენცია. ემპირიული გამოკვლევები ცხადყოფს, რომ ძალიან გრძელმა პაუზებმა წინადადებებს შორის, ან წინადადებათა ნაწილებს შორის, ისევე როგორც ძალიან ნელი მეტყველების ტექსტმა, შეიძლება შეაფერხოს მოსმენილის გაგება.

9. უცხო ენის შემსწავლელს განსაკუთრებულ სირთულეს უქმნის *აუდიოტექსტის თანმხლები ფონური ხმაური* მოსმენის პროცესში.

10. ზეპირი მეტყველების გაგების დროს *შეუძლებელია ენის შემსწავლელის აღქმა-გაგების პროცესზე უშუალო დაკვირვება*. ეს ფაქტი მოსმენას ძირეულად განასხვავებს მეტყველებისა და წერის უნარ-ჩვევებისაგან, რომლებზე დაკვირვებაც შესაძლებელია. მოსმენის უნარ-ჩვევის ტესტირების დროს ჩვენი დაკვირვება ენის შემსწავლელზე უმთავრესად მდგომარეობს მხოლოდ მისი რეაქციის გაკონტროლებაში, მაგ., შემოხაზავს თუ არა იგი მოსმენილი ტექსტის თანმხლებ დავალებაში რამდენიმე მოცემული ალტერნატივიდან სწორ ვარიანტს.

ჩამოთვლილი პრობლემების გამო, ბუნებრივია, რომ უცხო ენის შემსწავლელს უჩნდებათ მოსმენილი უცხო ტექსტის გაგებისადმი სპეციფიკური შიში, რომელიც გაგების პროცესის ბლოკირებას იწვევს.

კომუნიკაციურმა დიდაქტიკის და სხვადასხვა *ალტერნატიული* მეთოდის დანერგვამ შეცვალა სასწავლო მასალის ფორმატი და სწავლების პარადიგმა, რომლის მიხედვითაც: მოსმენის პროცესში პედაგოგს შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა მიზანი: მაგალითად, ტესტის გლობალური, სელექციური გაგება ან ტექსტის დეტალურ ინფორმაციებზე ყურადღების გამახვილება. ყოველი მოსმენის მიზანი განსაზღვრავს მოსასმენი ტექსტის გაგებისა და დამუშავების რაგვარობას. ამიტომ სწავლებისა და ტესტის შედგენის პროცესში, მხედველობაშია მისაღები მოსმენის სტილის შერჩევა: დეტალური მოსმენა, სელექციური მოსმენა თუ გლობალური მოსმენა (გარდა მოცემული ტერმინებისა, ხმარობენ, ასევე, ტერმინებს: ორიენტაციური მოსმენა, კურსორული მოსმენა, ტოტალური მოსმენა [2, 57]).

მოსმენის ეტაპები მჭიდროდაა დაკავშირებული აუდიოტექსტის თანმხლები დავალებების სპეციფიკურ გამოყენებასთან. მაგალითად, *მოსმენის წინ უნდა გამოვიყენოთ*: ასოციოგრამა, ილუსტრაცია, ტექსტისა და სურათის მისადაგება და სხვ.; *მოსმენის პროცესში*: ანტიციპაცია, სურათებითა და ბარათებით მუშაობა, ვიზუალური კარნახი, ინფორმაციის ცხრილში შეტანა, საკვანძო სიტყვების მარკირება და ა.შ.; *მოსმენის შემდეგ*: აუდიოტექსტის გაგებასთან დაკავშირებული შეკითხვები, ვერბალური და არავერბალური დავალებები, შეცდომებიანი ტექსტის გასწორება და სხვ.). მოსმენა იქცა კომპლექსური ქმედებების მომცველ ასპექტად, ენის შემსწავლელთა „აქტიური და კრეატიული კომუნიკაციური ქმედებების სტიმულად“. *ალტერნატიულ* მეთოდებში, როგორებიცაა *სუგესტოპედია* და *სუპერლერნინგი*, პრიორიტეტი ენიჭება მოსმენის უნარ-ჩვევის განვითარებას სხვა უნარ-ჩვევებთან (წარმოთქმა, მეტყველება, წერა) ინტეგრაციაში. სუგესტოპედიური მეთოდის მიზანია ენის შემსწავლელთა აქტიური კომუნიკაციური ქმედება „თავით, ხელითა და გულით“, ტვინის ორივე ნახევარსფეროს კოგნიტიური და ემოციური შესაძლებლობების გამოყენებით [4, 893].

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მონოლოგური და დიალოგური, სხვადასხვა ტიპის აუთენტიკური ზეპირი ტექსტების მოსმენა-გაგებას, ემოციური ფაქტორების მხედველობაში მიღებით, მუსიკალური ფაზებისა და ფონური ხმაურის თანხლებით, რაც უცხო ენის გაკვეთილზე როლური თამაშების ინიცირებისათვისაა გამოყენებული. რეალური კომუნიკაციური სიტუაციის ასეთი სიმულაცია ენის შემსწავლელს ესმარება ზემოთ ჩამოთვლილი მეთოდების ათვისებაში, გერმანულენოვან სამყაროში ზეპირი ტექსტის უკეთ აღქმასა და დამახსოვრებაში და აქტიური კომუნიკაციური ქმედების განხორციელებაში.

ბუნებრივი მიდგომის მეთოდს საფუძვლად უდევს ექვსი პრინციპი (პერცეფციული სწავლების, გაცნობიერებული აღქმის, ინტერაქციული, ემოციური, ინტერკულტურული და დექსიკური), რომელთა შორის პერცეფციული სწავლების პრინციპს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. ზეპირი მეტყველება უნდა ისწავლებოდეს მხოლოდ აუთენტიკური ზეპირი ტექსტებით, რომელთა მოსმენის სტრატეგიები უზრუნველყოფენ სტიმულის სემანტიკურ გადამუშავებას. ეს კი ხელს უწყობს უცხო ენის ბუნებრივ შესწავლას. მოსმენის უნარ-ჩვევების განვითარება ითვალისწინებს როგორც იმიტაციურ, ასევე კოგნიტიურ მიდგომას. იმიტაციური მეთოდი მოსმენის სფეროში დღესაც დომინირებს გერმანული ენის თანამედროვე სახელმძღვანელოებში. როგორც ჩანს, ეს იმით აიხსნება, რომ უცხო ენაში ვერბალური კომუნიკაციის ყველაზე მნიშვნელოვანი საშუალებების ათვისება, პირველ რიგში, მოსმენითა და მიბაძვით უნდა მოხდეს.

მეტი ყურადღება უნდა გავამახვილოთ მოსმენილი აუთენტიკური ტექსტის შინაარსის გაგებაზე. შესრულებული სამუშაოს კონტროლის ფორმად, სასურველია, შემოვიღოთ ტექსტში გამოტოვებული ინფორმაციის შევსება და მოსმენილი ტექსტის ზეპირი ან წერითი სახით კომენტირება. საგარჯიშოებში გათვალისწინებული უნდა იყოს მოსმენის სტილები და მოსმენის კომპეტენციის ინტეგრაცია სხვა უნარ-ჩვევებთან (მეტყველება, კითხვა, წერა). მოსასმენ ტექსტებში წარმოდგენილი უნდა იყოს ყოფითი მეტყველების, მისი სტილისტიკური და ემოციური კონოტაციების, ასევე სხვადასხვა სოციოლექტების ნიმუშები, ანუ ის ენა, რომელიც ენის შემსწავლელს ესმით გერმანულენოვან სამყაროში. გათვალისწინებული უნდა იყოს, ასევე, ზეპირი მეტყველების თანმხლები ფაქტორები: მეტყველების ტემპი, ყოფითი მეტყველების თავისებურებები, ემფაზა და ა.შ. უახლესი მეთოდიკა-დიდაქტიკის თანახმად, სასურველია, საგარჯიშოებს ფონად ახლდეს აუთენტიკური მუსიკა ან ზეპირი მეტყველების თანმხლები ხმაური. ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე დიდ ზეგავლენას ახდენს მედიალური აკუსტიკა, კომპიუტერი, ფილმები. ბუნებრივ, ზეპირ კომუნიკაციას თან ახლავს ფონური ხმაური, რომელიც ჩვენი გარესამყაროს მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს. შესაბამისად, საჭირო ხდება მოსმენის, როგორც მედიალური აღქმის კომპეტენციის განმავითარებელი ტრენინგიც. ბადშტიუნბერი-კიზიკი მიუთითებს მოსმენის პროცესში ინსტრუმენტალური მუსიკისა და აუთენტიკური ფონური ხმაურის საჭიროებაზე. მისი აზრით, მუსიკის მოსმენის პროცესში ყალიბდება სტრატეგიები უცხო კულტურასთან მიმართებაში. მუსიკას აქვს უნარი შექმნას პოზიტიური განწყობა მოსასმენი ტექსტის აღქმისათვის, გაზარდოს ენის შემსწავლელთა ფანტაზია, კრეატიულობა და ვერბალური აქტივობა. მუსიკალური ნაწარმოების რეცეფცია და რეფლექსია, ბადშტიუნბერის მიხედვით, უცხო კულტურის აუთენტიკური აღქმის საშუალებას წარმოადგენს. მუსიკა ენობ-

რივი აქტივობის სტიმულატორია, რადგან „მუსიკალური ნაწარმოების მოსმენის დროს აქტუალიზდება ენის აღქმისა და გადამუშავების ინდივიდუალური პროცესები, რომლებიც სუბიექტურად აღქმული ემოციების, მოგონებების, ასოციაციების ბაზაზე, ახალი ტექსტების პროდუცირების წინაპირობას ქმნიან“ [1, 11-12].

გარდა ზემოთქმულისა, მოსმენის უნარ-ჩვევის ჩამოყალიბების პროცესში უნდა გამოვიყენოთ ისეთი ზეპირი აუთენტიკური ტექსტის ტიპები, რომელთა თემატიკა ითვალისწინებს როგორც გერმანული ენის მატარებლის, ასევე გერმანული ენის შემსწავლელის პერსპექტივიდან დანახულ გერმანული კულტურის თავისებურებებს, პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების წესს. ეს ინტერკულტურული შედარების და კონფლიქტურ სიტუაციათა მოსმენა-გაგებისა და ვერბალიზაციის საშუალებას მოგვცემდა. სასურველია, ზეპირი ტექსტები შეიცავდნენ როგორც გერმანულ, ასევე არაგერმანულ პერსონაჟთა, სხვადასხვა ასაკისა და სქესის დიქტორთა საწარმოთქმო ნიმუშებს. მოსასმენი ტექსტები და მათი თანმხლები საგარჯიშოები სირთულის პროგრესიის მიხედვით უნდა დალაგდეს და მიესადაგოს საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მოთხოვნებსა და დონეებს.

ლიტერატურა:

1. Badstübner-Kizik C., Wortschatzarbeit, Schreiben, Hörverstehen und was noch? Anmerkungen zur Rolle von Kunst und Musik im Fremdsprachenunterricht. In: ÖDaF-Mitteilungen 1, 2004.
2. Brückner M., Zur Mehrdimensionalität literarästhetischer Erfahrungsräume im Deutschunterricht. Norderstedt: GRIN Verlag, 2010.
3. Neuner G., Hunfeld H., Methoden des fremdsprachlichen Deutschunterrichts. Eine Einführung, Berlin: Fernstudieneinheit 4, 2007.
4. Solmecke G., Hörverstehen. Berlin, New York: Helbig, Gerhard u.a. (Hrsg.), Deutsch als Fremdsprache, 2001.

Sophie Mujiri

The Competencies of Listening in Linguistic and Didactic Field **Summary**

The paper analyzes methods of listening and latest trends in this field. It is mentioned that at this stage priority is given to communicative, alternative methods and the use of diverse styles of listening as well as imitation. Special emphasis is made on the comprehension of the content of authentic texts and their oral and written reproduction, using the exercises accompanying audio-texts. The teaching material envisages common European recommendation framework and latest methodological-didactic requirements. The oral audio texts embrace the themes reflecting the fields of interests of language learners. Intercultural issues are viewed from diverse perspectives. Reception and reflection of fragments of musical pieces are used as a stimulus for linguistic activity of language learners as well as verbalization of their subjective emotions and associations.

Софио Муджири
Компетенции аудирования в лингвистико-дидактической области
Резюме

В статье анализируются методы аудирования и новейшие тенденции в этой области. Отмечается, что на данном этапе приоритет отдается коммуникативным, альтернативным методам и использованию различных стилей аудирования, а также имитации. Особое внимание уделяется пониманию содержания аутентичных текстов и их устному и письменному воспроизведению с использованием упражнений, сопровождающих аудиотексты. Учебный материал предусматривает общеевропейскую рекомендательную структуру и новейшие методические и дидактические требования. Устные аудиотексты охватывают темы, отражающие сферы интересов, изучающих язык. Межкультурные вопросы рассматриваются с разных точек зрения. Прием и отражение фрагментов музыкальных произведений используются в качестве стимула для языковой деятельности изучающих язык, а также вербализации их субъективных эмоций и ассоциаций.

Maia Aghaia
(Georgia)

ABOUT ABBREVIATION AS A WAY OF WORD FORMATION IN ENGLISH LANGUAGE

Abbreviation is an elliptical form of speech and it occurs naturally, both in writing and in oral speech. The idea of briefly conveying a thought and the need to use time as efficiently as possible provides the foundation for the creation and establishment of new abbreviated forms of words in the language. The use of abbreviations has become common in medicine, in the media, in magazines and newspapers, in scientific-technical, economic or political literature, in military and naval works, in radio and television broadcasts, in geographical maps and in fiction as well. The way of shortening words and word combinations, abbreviation is one of the ways of word formation. The first abbreviation dictionary was published in London in 1886. Today, dictionaries of this type are widely used. The need for abbreviations dates back to the 7th century and it has begun to develop actively in parallel with the development of language. They were used on inscriptions and medals. They found widespread use in epigraphy as well. Initially, there were only initials, which were used by the Greeks, although the Romans played a major role in their spread. As it turned out, word abbreviation is an ancient tradition of literary languages. From the very beginning, it served to save writing material and time. The most frequently used words were chosen for abbreviation and standard abbreviations were developed among the literary circles. In fact, an abbreviation is a social phenomenon and does not exist without people and accordingly people do not exist without language.

The ongoing processes within the framework of globalization, in particular the widespread use of international information language and the general trend of linguistic or information economy, have raised the issue of mastering abbreviations. Accordingly, nowadays, in the language of scientific, technical, medicine, economic literature such as English there are a large number of different types of abbreviations. The growth in the number of abbreviations used in modern English is completely natural. The development of science and technology, international integration processes in different fields has resulted in the emergence of more and more new concepts and terms. Most new concepts in English are expressed via using phrases or compound words, since these types of terms make it possible to reflect the necessary and sufficient features of a particular concept with the greatest completeness and accuracy. Therefore, there is a desire to shorten them in one way or another. It is quite natural that scientific and technological progress and social shifts influence the emergence of new terms, including abbreviations. The creation of abbreviated neologisms, which have significantly expanded the vocabulary of the English language in recent decades, demonstrates the need and necessity of this type of word formation and the economical use of language resources by native speakers. Vocabulary is a language system that most quickly and adequately responds to changes in society. A change in the social situation entails a logical update of the language. Abbreviations, becoming widespread in specialized areas, enter into common speech as equal words. The speed of the appearance of new abbreviation nominations in modern English is incredibly high. Abbreviations penetrate deeper into the vocabulary, which makes them not random words, but with full lexical units recorded in the dictionaries of abbreviations. Despites

this very fact the serious study of this method and bringing it to a common denominator has begun relatively late and it can be said that abbreviation "has come out of the shadows" and has taken a worthy place among one of productive methods of word formation in the English language. The very article highlights and examines the role and the main issues related to the process of abbreviation in modern English language. It presents the points of view of different linguists on the process of abbreviation and its importance in the language. The widespread use of various abbreviations is a kind of response to the intensively developing formation of multicomponent terminological combinations in all specialized languages. Abbreviation is a way of replenishing and enriching the language. In this regard, the issue of abbreviation is increasingly becoming a subject of research for linguists. Recently, several dissertations have been written and many articles have been published in which individual aspects of the problem of abbreviation are considered.

Different scholars have different opinions about abbreviation. Nicoll [1] has mentioned that abbreviation may be considered the umbrella term for all cases when the original word or phrase is shortened. Thus, the original version becomes "shortened", "truncated", or "contracted". Soyer [2] has remarked that while a few abbreviations are considered to have a professional air, the majority of scholars agree that they are rather informal, belonging to the "conversational use". Cenderamata & Sofyan [3], have stated that abbreviation is the process of cutting part or some part of a word that forms a new word without changing the meaning of the word. Lee & Clontz [4] have indicated that the use of abbreviations is connected with both linguistic and extra-linguistic factors that to a great extent determine a variety of discourse under consideration and ways of decoding certain linguistic units of abbreviated form, where context plays the most important role.

Due to the fact that each language has a limited amount of root elements and affixes today, together with traditional methods of word formation, such methods of replenishing the vocabulary as semantic word formation, borrowing and abbreviation play an increasingly important role. In this case, a special advantage of abbreviation is the creation of new root words and cornea elements. It should also be noted that word formation through abbreviation is possible in conjunction with other methods of replenishing the vocabulary. The number of abbreviated words is constantly growing, expanding, penetrating the terminology of all fields and becoming established in the language like a simple word, and their active use in everyday life is a contemporary process of the modern world and a manifestation of linguistic potential. The main goal of linguistic economy is to achieve quick access to the text and instant information content at the expense of text abbreviation. The fact is that the idea of word abbreviation very quickly established itself in the linguistic space. As we have already mentioned, abbreviations of words have acquired a technical style in the modern era. The press, television and Internet, advertisements, inscriptions displayed on signs, legislative language, official-business documents, scientific works or projects in various fields present us with a whole system of word abbreviations. Unfortunately, there are some cases when some journalists and specialists in other fields create abbreviations spontaneously, without respecting grammatical rules, unsystematically and chaotically. This very fact, itself requires the development of spelling rules for abbreviations and shortened words in accordance with spelling norms.

The study has shown that the role of abbreviations in today's society is quite large and we encounter both professional and general abbreviations at almost every step. It can be freely said that it has become an integral part of today's society and over time it is developing more and more and its area of use is expanding. As a result of the studied material and the conducted research, it

can be said that the spread of abbreviation and its penetration into society has been going on for many years. In addition, the Internet and media have further contributed to its spread and interpretation. According to [5] the number of abbreviations began to increase considerably in the nineteenth century with the development of telegraph, as this means of communication demanded contractions to lower the price of the message transfer. At that time, they were recognized as independent lexical units. However, they were few in comparison with the avalanche of abbreviations at the turn of the century. David Crystal [6] has remarked that: "Abbreviations, one of the most noticeable features of present-day English linguistic life, would form a major part of any super dictionary. Often thought to be an exclusively modern habit, the fashion for abbreviations can be traced back over 150 years". A considerable amount of abbreviations appeared in the twentieth and the twenty first centuries in various types of discourse, for example, in business, public relations, politics, etc. Abbreviations break existing stereotypes of the lexical syntactic structures and create the new ones by the replacement of the long lexical units by their short forms that may sometimes carry even more information than the conventional lexical units, though being regarded as units of secondary nomination.

In our article we have shared a short list of the most common abbreviations regarding language teaching, methodology, testing, and international teaching qualifications. We hope educators will find this guide useful and it will help them enrich their teaching vocabulary.

- **EL:** English Learner(s)
- **ICQ:** Instruction Checking Question
- **CCQ:** Concept Checking Question
- **PW:** Pair-work
- **GW:** Group-work
- **LP:** Lesson Plan
- **HO:** Handout
- **FB:** Feedback
- **ELL:** English Language Learner/Learning
- **L1:** Someone's first language
- **L2:** The language learnt by someone
- **MT:** Mother Tongue
- **TL:** Target Language
- **SLA:** Second Language Acquisition
- **CBT:** Computer Based Teaching
- **CLIL:** Content and Language Integrated Learning
- **CLT:** Communicative Language Teaching
- **PPP:** Presentation, Practice, Production/Performance/Publishing
- **TB(L)L:** Task Based (Language) Learning
- **ICT:** Information and Communications Technology
- **CELTA:** Certificate in Teaching English to Speakers of Other Languages
- **DELTA:** Diploma in Teaching English to Speakers of Other Languages
- **TESOL:** Teaching English to Speakers of Other Languages
- **TKT:** Teaching Knowledge Test

Nowadays every person understands that in the 21st century, there are a large number of different abbreviations in all languages of the world. Therefore, modern lexicology itself needs abbreviations. Abbreviations help to minimize speech efforts, language means and time, while remaining understandable and intelligible. Words with a complex structure inside have a compressed form of external structure, which allows them to be used both in colloquial speech and in scientific works. Abbreviations, receiving mass distribution in specialized areas, enter the common speech as equal words. We can say that abbreviations do not lead to the degradation of people's lexicon, but on the contrary, make it even more diverse and simpler in structure. The English language has already absorbed a large number of abbreviations of words and phrases that are used all over the world. The tendency to the formation via abbreviations is one of the main features of the development of modern English. The universal need for their use is due to an increase in the flow of information, the desire for language compression and the emergence of new concepts and terms, transiting from the scientific and journalistic sphere into the conversational and written speech of the broad masses. Since English is the language of international relations and science, it is most actively replenished with new words, including abbreviations. Each year, more and more dictionaries of abbreviations are published. Despite the regular release of specialized dictionaries, the search for decoding for some abbreviations can be a difficult task due to the fact that the new abbreviations are formed continuously and at high speed, and it takes some time to be included in the dictionary. Meanwhile, studying abbreviation is becoming an obvious necessity today, without which it is impossible to imagine the general picture of word formation, since abbreviation serves almost all spheres of human activity. Undoubtedly, language is sensitive to all changes occurring in society, therefore, the linguistic reasons for the intensive use of abbreviations include the desire for compression and linguistic economy. English, as a language at the forefront of modern scientific research and international relations, is characterized by a rapidly expanding vocabulary. The wide use of various abbreviations is a kind of response of the language to the scientific and technological revolution taking place in the world. The essence of the abbreviation process lies in the rationalization of the use of material elements of language for communicative purposes, that is, its sound and graphic shell.

Literature:

1. Nicoll Leslie H., Abbreviations, initialisms, and acronyms: guidance for authors. Nurse Author & Editor, 2016, 26 (4), 1-9.10.1111/j.1750-4910.2016.tb00230.xSearch in Google Scholar.
2. Soyer P., Acronyms, initialisms, and abbreviations. Diagnostic and Interventional Imaging, 2018, 99 (10), 589-90.10.1016/j.diii.2018.10.002Search in Google Scholar.
3. Cenderamata R. C. & Sofyan A. N., Abreviasi dalam percakapan sehari-hari di media sosial: Suatu kajian Morfologi. Metahumaniora, 2018, 8.
4. Lee H. Y.-H. & Clontz J., Reviewing the prehistoric linguistic relationships of the Tai-Kadai language family and its putative linguistic affiliations: a meta-analysis study and abbreviation edition. Journal of Liberal Arts Prince of Songkla University, 2012, 4 (1), 48.
5. González F. R. & Cannon G., Remarks on the Origin and Evolution of Abbreviations and Acronyms, 1994, March.
6. Crystal D., The Cambridge Encyclopedia of the English Language. English-Russian Dictionary, 2003. Retrieved from <http://translate.academic.ru/MLE/en/ru>

მაია აგაია

ინგლისურ ენაში აბრევიატურის, როგორც სიტყვათწარმოების საშუალების შესახებ რეზიუმე

ინგლისური, როგორც თანამედროვე სამეცნიერო კვლევებისა და საერთაშორისო ურთიერთობების წინა პლანზე მყოფი ენა, ხასიათდება სწრაფად მზარდი ლექსიკით. სხვადასხვა აბრევიატურის ფართო გამოყენება არის ენის ერთგვარი პასუხი მსოფლიოში მიმდინარე სამეცნიერო და ტექნოლოგიურ რევოლუციაზე. აბრევიატურები უფრო ღრმად აღწევენ ინგლისური ენის ლექსიკაში, რაც მათ აქცევს არა შემთხვევით სიტყვებად, არამედ სრულ ლექსიკურ ერთეულებად. კვლევამ აჩვენა, რომ დღევანდელ საზოგადოებაში აბრევიატურების როლი საკმაოდ დიდია და მათ თითქმის ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით. შეიძლება ითქვას, რომ ის გახდა დღევანდელი საზოგადოების განუყოფელი ნაწილი და დროთა განმავლობაში სულ უფრო და უფრო ვითარდება და ფართოვდება მისი გამოყენების არეალი.

Майя Агаиа

Об аббревиатуре как средстве словообразования в английском языке

Резюме

Английский язык – как язык, находящийся на переднем крае современных научных исследований и международных отношений, характеризуется быстро растущим словарным запасом. Широкое использование различных аббревиатур является своеобразным языковым ответом на происходящую в мире научно-техническую революцию. Аббревиатуры глубже проникают в лексику английского языка, делая их не случайными словами, а полноценными лексическими единицами. Исследования показали, что роль аббревиатур в современном обществе достаточно велика и мы встречаем их практически на каждом шагу. Можно сказать, что он стал неотъемлемой частью современного общества, и с течением времени область его использования развивается и расширяется.

ნონა კობალიანი
(საქართველო)

**ფრაზეოლოგიური სისტემა რეგორც სამხაროს ენობრივი სუბათის
მნიშვნელოვანი ნაწილი**

სამყაროს ენობრივ კონცეპტუალიზაციაში უდიდეს როლს ასრულებენ ფრაზეოლოგიური ერთეულები, როგორც გარესამყაროსთან ეთნიკური ცნობიერების ურთიერთობის ერთგვარი ობიექტივირებული გამოცდილება. ფრაზეოლოგიური ერთეულების ბუნება მჭიდროდაა დაკავშირებული ადამიანის კოგნიტურ მოღვაწეობასთან – ადამიანის მიერ სამყაროს შემეცნებასა და ამ პროცესში დაგროვებულ გამოცდილებასთან.

კონცეპტუალიზაციის, სამყაროს ენობრივი სურათის ფორმირების კოგნიტური, დერივაციული და სემანტიკური მექანიზმების კვლევის ფარგლებში, რომელიც თანამედროვე ლინგვისტიკის ერთ-ერთი აქტუალური მიმართულებაა, ფრაზეოლოგიური ერთეულები განიხილება როგორც ეთნოკულტურული კონსტანტები. ასეთი მიდგომა ფრაზეოლოგიზმებისადმი, მათი ეთნოლინგვისტური და კულტურული სპეციფიკიდან გამომდინარე, სრულიად ადეკვატურად და რელევანტურად მიგვანჩნია: ფრაზეოლოგიზმები კულტურულად განპირობებული მენტალური წარმონაქმნებია, რომლებსაც უშუალო მიმართება აქვთ ეთნოსის ფასეულობებთან, იდეალებთან, მსოფლმხედველობრივ შეხედულებებთან და რომლებშიც მკაფიოდ აისახება ნაციონალური ხასიათისა და სამყაროს აღქმის თავისებურებები.

ფრაზეოლოგიური ერთეულების მნიშვნელობის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი არა მარტო ასახელებენ აღსანიშნს, არამედ იძლევიან მის დახასიათებას, ენის ნომინაციურ ელემენტებს ავსებენ და ამდიდრებენ ექსპრესიული საშუალებებით, აგრეთვე კომპონენტებით, რომლებიც აღწერენ აღსანიშნის ისეთ დეტალებს, სემანტიკურ ნიუანსებს, რომლებიც ვერ გადმოიცემა ლექსიკური ნომინაციის ფარგლებში. ფრაზეოლოგიზმების კულტურულ-ეროვნული კონტაცია მოიცავს ეტიმოლოგიურად განპირობებულ წარმოდგენას მათ მიერ აღნიშნულ ცხოვრებისეულ სიტუაციებზე, ექსტრალინგვალურ გარემოებებზე; იგი ავლენს და ადასტურებს ფრაზეოლოგიური ერთეულის კავშირს გარკვეულ კულტურულ კოდთან.

ფრაზეოლოგია ფართოდ, „კრეატიულად“ იყენებს ენის მატარებელთათვის კულტურის თვალსაზრისით მნიშვნელოვან მატერიალურ და სულიერ რეალიებსა და ფასეულობებს. სამყაროს კონცეპტუალიზაციის მორალურ-ფასეულობრივი პრიორიტეტები ნაციონალურ ლინგოკულტურებში შეესაბამება ეთნოსის წარმომადგენელთა მსოფლმხედველობისა და ქცევის სულიერ და ეთიკურ პარამეტრებს.

უდავოა, რომ სწორედ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში აისახება ეთნოსის მიერ სამყაროს შემეცნებისა და მასში ორიენტაციისკენ მიმართული სულიერი ძალისხმევა, რის შედეგად მასში მკაფიოდ ჩანს ხალხის მსოფლმხედველობა და ფასეულობათა სისტემა. ვ. ა. მასლოვა, ჩვენი აზრით, მართებულად და სრულად გამოკვეთს ნაციონალურ-კულტურული თავისებურების იმ კონკრეტული ასპექტების ერთობლიობას, რომლებიც ფრაზეოლოგიზმებში აისახება. ესენია:

1. ბუნების სამყაროს დამკვიდრებული სახეობრივ-მითოლოგიური ხედვის ფორმების ფრაგმენტები;

2. ადამიანის, მისი სოციალური და კულტურული კავშირების, შინაგანი სამყაროს გარკვეული კონცეფცია;

3. ხალხური აზროვნების გარკვეული ტიპური ფორმები; ცნებების, სამყაროს რაოდენობრივი დაყოფისა და ამა თუ იმ მოვლენის ნიშან-თვისებებისა და მიმართებების სახეობრივ-ასოციაციური ურთიერთდაკავშირების ტიპები;

4. ამა თუ იმ მოვლენის შეფასების ხერხები, საშუალებები;

5. იდეალებისა და ღირებულებების, მორალური ნორმებისა და მოდელის სისტემა;

6. ხალხური წარმოდგენები სილამაზის შესახებ;


7. რელიგიურ და მითოლოგიურ წარმოდგენათა სისტემა;

8. სოციოკულტურული განვითარების გარკვეული ეტაპები, ისტორიული მოვლენები, სოციალური ინსტიტუტები, ყოველდღიური წეს-ჩვეულებები, რიტუალები [4, 164].

ი. ვ. ზიკოვა ფრაზეოლოგიური ერთეულის მნიშვნელობაში ორ დონეს გამოჰყოფს: ზედაპირულს (ანუ სემანტიკურს) და სიღრმისეულს (ანუ კონცეპტუალურს). ნაშრომში, რომელიც კონცეპტოსფეროსა და ფრაზეოლოგიის მიმართებას ეძღვნება, მეცნიერი აღნიშნავს, რომ ფრაზეოლოგიური მნიშვნელობის სიღრმისეული დონის უშუალო წყაროს ეთნოსის კულტურის კონცეპტოსფერო წარმოადგენს. სწორედ ამ დონეზე წარმოიქმნება ფრაზეოლოგიური ერთეულების ხატოვანი სახეები. ამ მიმართებებს ავტორი სქემატურად შემდეგი სახით გამოხატავს [5, 185]:

სქემა 1.

ფრაზეოლოგიური
მნიშვნელობა



რეალობის ობიექტები სხვადასხვა ხალხის მიერ განსხვავებულად არის გააზრებული და სემანტიზირებული; სამყაროს ფრაზეოლოგიური სურათის ფრაგმენტი, რომელიც დამახასიათებელია ერთი ხალხისთვის, შეიძლება სრულიად იგნორირებული იყოს სხვა ხალხის სამყაროს ფრაზეოლოგიურ სურათში, ან, შესაძლოა, განხილული იყოს ენობრივი გამოსატვის სხვა საშუალებებით.

ენაში სწორედ იმ ხატოვანი გამოთქმების დამკვიდრება და ფრაზეოლოგიზაცია ხდება, რომლებიც დაკავშირებულია კულტურულ და ეროვნულ ეტალონებთან, სტერეოტიპებთან, მითოლოგიებთან და რომლებიც მეტყველებაში გამოყენებისას ასახავს კონკრეტული ლინგვოკულტურული ერთობისათვის დამახასიათებელ მენტალიტეტს [3, 87].

ფრაზეოლოგიური ერთეულების უმეტესობა შინაფორმაში შეიცავს ეროვნული კულტურის „კვალს“, რომელიც კულტურულ და ეროვნულ კოლორიტს ანიჭებს მათ. გარესამყაროს შეცნობა განაპირობებს მისი ელემენტების გარდაქმნას აზროვნებისა და მეტყველების პროცესში აზრობრივ კომპონენტებად, რომლებიც ნაციონალურ ენობრივ ცნობიერებაში მდიდრდება ეროვნულ-კულტურული მნიშვნელობებით და გარდაიქმნება ენობრივი სემანტიკის კულტურულ-პრაგმატულ კომპონენტებად, რომლებიც ასახავს სამყაროს ნაციონალურ-ენობრივი სურათის შესაბამის ფრაგმენტებს. მაგალითად, ქართულ ფრაზეოლოგიაში სიზარმაცის, უდარდებლობის გაკიცხვა ხდება ისეთი ფრაზეოლოგიური ერთეულების მეშვეობით, როგორებიცაა: *მხართეძოზე (გვერდზე) წამოწოლა (წოლა), არხეინად ყოფნა, ბუზის (ბუზების) ყლაპვა...*; ინგლისურ ენაში ამ ერთეულების ანალოგიური მნიშვნელობისაა ფრაზეოლოგიზმები: *to sit twiddling one's thumbs, to sit on one's hands* და ა.შ. შიშის გრძნობის, შეშინების გადმოსაცემად ვიყენებთ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს: *ანგელოზების დაფრთხობა, თმების ყაღყზე დადგომა, ენის (მუცელში) ჩავარდნა, ენის ჩაგდება, ელეთმელეთის მოსვლა, გულის გასკდომა, გულის გახეთქვა, გულის გადმოტრიალება (გადატრიალება), გულის გადმობრუნება, გულის გადაქანება, ცივი ოფლის დასხმა*; ინგლისურ ენაში: *to make someone's blood run cold, to break out in a cold sweat, heart skips a beat, to quake in someone's boots, to jump out of someone's skin, someone's heart in their mouth, someone's heart in their throat, to send shivers down someone's spine, to be afraid of your own shadow* და ა.შ.

სამყაროს ფრაზეოლოგიური სურათი, როგორც სამყაროს ენობრივი სურათის ნაწილი, იქცევა ხალხის ერთგვარ ეთნოსპეციფიკურ კანონთა კოდექსად, ახდენს მორალური სფეროს ეროვნული მახასიათებლების ექსპლიცირებას და ასახავს არა მხოლოდ სემანტიკური სივრცის აგების პროცესსა და შედეგს, არამედ სოციალურ ეთიკურ აქსიოლოგიასაც: რა არის კარგი და რა არის ცუდი, რა არის მორალური და ამორალური და ა.შ. მორალური ღირებულებები, რომლებიც დაფიქსირებულია ნორმატიულ წარმოდგენებში სიკეთისა და ბოროტების შესახებ, ათასწლეულების წინაა ჩამოყალიბებული და ნაკლებად ექვემდებარება ცვლილებას.

ე. მ. ვერეშნაგინის და ვ. გ. კოსტომაროვის აზრით [1, 85], ფრაზეოლოგიური ერთეულები შეიძლება ასახავდნენ ეროვნულ კულტურას როგორც არადიფერენცირებულად, ანუ თავიანთი მნიშვნელობებით, ასევე დიფერენცირებულად დანაწევრებულად, ანუ თავისი შემადგენელი ელემენტების – კომპონენტების მნიშვნელობებით. ეს შეიძლება იყოს ვერეთ წოდებული „უნიკალური კომპონენტები“ (უმეტესად, არქაიზმები), უეკვივალენტო ლექსიკა (კულტურული და ეთნიკური რეალიები, ტოპონიმები, ეგზო-

ტიზმები და ა.შ.). სემანტიკის ნაციონალურ-კულტურული ელემენტები შეიძლება აისახოს იმ ერთიანი ლექსიკური კომპლექსის პირდაპირ მნიშვნელობაში, რომელიც საფუძვლად უდევს ფრაზეოლოგიურ ერთეულს. ამგვარ ფრაზეოლოგიზმებში უამრავი ხალხური წეს-ჩვეულება და ტრადიციაა „კოდირებული“.

ეროვნული თავისებურება, ასევე, შეიძლება გამოვლინდეს ფრაზეოლოგიური ერთეულის ამა თუ იმ კომპონენტის, ამა თუ იმ სტრუქტურულ-სემანტიკური მოდელის გამოყენების სისწორეში. ფრაზეოლოგიური ერთეულების ეროვნულ-კულტურული სპეციფიკის გამოვლენის ფორმებში შედის, აგრეთვე, მათ სემანტიკაში წარმოდგენილი ხალხური იუმორის თავისებურებები, აგრეთვე, ფრაზეოლოგიური ფონდის ზოგადი იდეოლოგიური მიმართულება.

ფრაზეოლოგიური ერთეულის შინაფორმისა და ეროვნულ-კულტურული კონოტაციის გარდა, ფრაზეოლოგიური ერთეულის ეროვნულ-კულტურული სპეციფიკა ვლინდება, ასევე, მისი ლექსიკური შემადგენლობის თავისებურებებში, მასში შემავალი სიტყვების მორფოლოგიურ და სინტაქსურ თვისებებში – ფრაზეოლოგიის სპეციფიკა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ის მეტ-ნაკლებად ასახავს ენის სხვა დონეთა ყველა ძირითად მახასიათებელს. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ფრაზეოლოგიური ერთეულების დისკურსული ვარიანტების გათვალისწინებაც, აგრეთვე, მათი სემანტიკური და/ან პრაგმატული ტრანსფორმაციის შესაძლებლობა.

თუმცა იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ გამოკვეთილად ნაციონალური სპეციფიკის მიუხედავად, ფრაზეოლოგია, თვით მისი არსებობის ფაქტი ლინგვისტურ უნივერსალიას წარმოადგენს, რადგან არ არსებობს ენა, რომელშიც არ გვხვდება ფრაზეოლოგიზმები. არსებობს ცნებები, რომლებიც უნივერსალურია ყველა ენისთვის და, შესაბამისად, მათი ამსახველი ფრაზეოლოგიური ერთეულებიც უნივერსალურია – როგორც შინაარსის, ასევე გამოხატვის თვალისაზრისით.

ამრიგად, ფრაზეოლოგიის კვლევისადმი მიძღვნილი მრავალი ნაშრომის ანალიზის საფუძველზე იკვეთება სამყაროს ფრაზეოლოგიური სურათის შემდეგი ძირითადი ნიშნები: უნივერსალურობა (მსოფლიოს ნებისმიერ ენაში არის მყარი ერთეულები, რომელთა მნიშვნელობა არ გამოიყვანება მათი კომპონენტების მნიშვნელობებიდან); ანთროპოცენტრიზმი (სამყაროს ენობრივი სურათის ცენტრში დგას ადამიანი, რომელიც შეიმეცნებს სამყაროს, მისი შეხედულებები; სამყაროს ფრაზეოლოგიურ სურათში ღირებულებების მთავარი საზომი თავად ადამიანია, მისი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებებით); ექსპრესიულობა (ფრაზეოლოგიური ერთეულები შეიცავენ კონოტაციურ კომპონენტს, რომელიც მნიშვნელოვანია მათ სემანტიკურ სტრუქტურაში).

ფრაზეოლოგიური ერთეულების, როგორც ლინგვისტური ფენომენის უნივერსალურობა და, ამავედროულად, მათთვის დამახასიათებელი ენობრივ-კულტურული ინდივიდუალურობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს საბაზისო კულტურულ-ენობრივი ცნებების ფრაზეოლოგიური კონცეპტუალიზაციის შეპირისპირებით კვლევას, ფრაზეოლოგიური ერთეულების წარმოქმნის საერთო კანონების, მოდულების გამოკვეთას და, ამ უნივერსალურობასა და მსგავსებასთან ერთად, უნიკალური ენობრივი მოვლენების გამოვლენას.

ლიტერატურა:

1. Верещагин Е. М., Костомаров В. Г., Лингвострановедческая теория слова. М.: Русский язык, 1980.
2. Телия В. Н., Коннотативный аспект семантики номинативных единиц / В. Н. Телия; отв. ред. А. А. Уфимцева. М.: Наука, 1986.
3. Телия В. Н., Метафоризация и ее роль в создании языковой картины мира // Роль человеческого фактора в языке: Язык и картина мира / отв. ред. Б.А. Серебренников. М.: Наука, 1988.
4. Маслова В. А., Лингвокультурология / В. А. Маслова. М.: Издательский центр «Академия», 2007.
5. Зыкова И. В. Концептосфера культуры и фразеология: теория и методы лингвокультурологического изучения. М., 2015

Nona Kopaliani

Phraseological System as an Important Part of the Linguistic Picture of the World

Summary

Phraseological units play the greatest role in the linguistic conceptualization of the world as a kind of objectified experience of the relationship of ethnic consciousness with the outside world. Within the framework of the study of cognitive and semantic mechanisms of conceptualization, which is one of the current directions of modern linguistics, phraseological units are considered as ethnocultural constants.

Нонна Копалиани

Фразеологическая система как важная часть языковой картины мира

Резюме

В языковой концептуализации мира важную роль играют фразеологические единицы, как своеобразный объективированный опыт взаимоотношения этнического сознания народа с окружающим миром. В рамках изучения когнитивных и семантических механизмов концептуализации – одного из актуальных направлений современной лингвистики, фразеологизмы рассматриваются как этнокультурные константы.

შორენა კუპატაძე
(საქართველო)

კონცეპტის სტრუქტურირების საკითხისათვის

კონცეპტი მრავალგანზომილებიანი, რთული არქიტექტონიკის მქონე სტრუქტურულ-აზრობრივი ერთეულია. კონცეპტის სტრუქტურის საკითხი დისკუსიის საგანია სამეცნიერო ლიტერატურაში – სხვადასხვა მკვლევარი მის შემადგენლობაში განსხვავებული რაოდენობისა და სახელწოდების კომპონენტებს გამოყოფს, კონცეპტის სტრუქტურირებას სხვადასხვა პარამეტრების საფუძველზე გვთავაზობს.

ასეთ პარამეტრებს შორის, ძირითადად, გამოყოფენ ცნებით, ხატ-სახეობრივ, დირეზულებით, ქცევით, ეტიმოლოგიურ და კულტურულ „განზომილებებს“, რომელთაგან კვლევაში თითქმის ყველას შეიძლება პრიორიტეტული სტატუსი.

გ. გ. სლიშკინი კონცეპტის ასოციაციურ მოდელს გვთავაზობს [8, 51-67]. ავტორი აღნიშნავს, რომ კონცეპტის ფუნქციონირება ხდება უწყვეტი ობიექტების ნომინაციისა და რენომინაციის პროცესში; ენობრივ ერთეულებსა და ობიექტებს შორის არსებული ძველი კავშირები შეიძლება ირღვეოდეს და მათ ადგილას წარმოიქმნებოდეს ახალი კავშირები.

ი. ა. სტერნინისა და ზ. დ. პოპოვას მიერ შემოთავაზებული მოდელი [5] კონცეპტის სტრუქტურას ველის სახით წარმოადგენს, რომელშიც გამოიყოფა ბირთვი და პერიფერია. ბირთვი – ძირითადი, მკაფიო, თვალსაჩინო და კონკრეტული სახეებია. მარტივი კონცეპტები შეიძლება მხოლოდ ბირთვისგან შედგებოდეს. პერიფერია უფრო აბსტრაქტულია, შეიცავს დამატებით კონცეპტუალურ ნიშან-თვისებებს, რომლებიც შეიძლება წარმოქმნიდნენ ცალკეულ კონცეპტუალურ შრეებს (რომელთაც შეიძლება გააჩნდეთ გარკვეული ავტონომია). კონცეპტის პერიფერია გახსნილია ინტერპრეტაციისთვის, იგი წარმოადგენს კონცეპტის ინტერპრეტაციულ ველს. ამრიგად, კონცეპტი მოიცავს საბაზისო სახე-ხატს, მის კოგნიტურ ნიშან-თვისებებს და კონცეპტუალურ შრეებს.

სხვაგვარ სტრუქტურას გვთავაზობს ს. გ. ვორკანოვი. იგი ლინგვოკულტურული კონცეპტის შემადგენლობაში გამოყოფს სამ კომპონენტს: ცნებითს (რომელიც ასახავს თვისობრივ და დეფინიციურ სტრუქტურას), ხატ-სახეობრივს (რომელიც აფიქსირებს კოგნიტურ მეტაფორებს) და მნიშვნელობითს (რომელსაც განსაზღვრავს ადგილი, რომელიც კონცეპტის სახელს უკავია კონკრეტული ენის ლექსიკურ-გრამატიკულ სისტემაში); ამ უკანასკნელში შედის აგრეთვე ამ სახელის ეტიმოლოგიური და ასოციაციური მახასიათებლები [1, 115-124].

ვი.კარასიკის თანახმად, კონცეპტი სამი კომპონენტისგან შედგება; ესენია: ცნებითი, ხატ-სახეობრივი და ფასეულობითი კომპონენტები [2, 3-16]. როგორც ვხედავთ, ყველა ავტორთან, კონცეპტის განსხვავებულ სტრუქტურებში აუცილებლად არის წარმოდგენილი ცნება. კონცეპტი მოიცავს ცნებას, რომელიც, თავის მხრივ, კონცეპტის აუცილებელი ბირთვული კომპონენტია.

ი. ს. სტეპანოვი კონცეპტის სტრუქტურას ასე აღწერს: „ერთი მხრივ, მას მიეკუთვნება ყველაფერი, რაც მიეკუთვნება ცნების აგებულებას...; მეორე მხრივ, კონცეპტის სტრუქტურაში შედის ყველაფერი, რაც მას კულტურის ფაქტად აქცევს – საწყისი ფორმა (ეტიმოლოგია); შინაარსის ძირითად ნიშან-თვისებებამდე შეკუმშული ისტორია; თა-

ნამედროვე ასოციაციები; შეფასებები და ა.შ...“. ავტორის აზრით, კონცეპტი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- 1) ძირითადი, აქტუალური ნიშანი;
- 2) დამატებითი ან რამდენიმე დამატებითი, პასიური ნიშანი, რომლებიც აღარაა აქტუალური, ისტორიულია;
- 3) შინაფორმა (რომელიც, ჩვეულებრივ, არ არის გაცნობიერებული), რომელიც აისახება სიტყვის გარეგნულ ფორმაში [9, 40-43].

პირველი კომპონენტი – კონცეპტის ძირითადი, აქტუალური ნიშანი – მნიშვნელოვანია, „ცნობილია“ ამა თუ იმ ენის, ამა თუ იმ კულტურის ყველა მატარებლისათვის. იგი გარკვეული ეთნიკური ერთობის, ხალხის, ერის წარმომადგენელთა კომუნიკაციის საშუალებაა. მისგან განსხვავებით, მეორე კომპონენტს – კონცეპტის დამატებით, პასიურ ნიშანს – აქტუალობა ეთნოსის მხოლოდ გარკვეული ნაწილისთვის გააჩნია; იგი გასაგები, მისაწვდომია მხოლოდ გარკვეული სოციალური ჯგუფის, კონკრეტული მიკროსოციუმისათვის. და ბოლოს, მესამე კომპონენტი – ეტიმოლოგიური ნიშანი ანუ შინაფორმა – ყველაზე ნაკლებად აქტუალურია ნებისიერი ენისა და კულტურის მატარებლისათვის, რადგან სიტყვების ისტორიით მეტწილად მხოლოდ კონკრეტულ მეცნიერებათა სპეციალისტებია დაკავებული. ი. ს. სტეპანოვის მიდგომა ეფუძნება კონცეპტის ფორმირების ისტორიის განხილვას. შეიძლება ითქვას, რომ ეს კონცეპტის კვლევის ისტორიული მოდელია.

ი. ვ. კონონოვა განაზოგადებს არსებულ მიდგომებს კონცეპტის სტრუქტურირებისადმი და გამოყოფს: ხატ-სახეობრივ, ასოციაციურ, ცნებით, ღირებულებრივ, ეტიმოლოგიურ და ისტორიულ კომპონენტებს [3, 91-104]. კონცეპტის ეტიმოლოგიურ კომპონენტს, ავტორის აზრით, განსაზღვრავს იმ სიტყვის შინაფორმა, რომელიც კონცეპტის საკვანძო რეპრეზენტატორს და მისი ღირებულებრივი კომპონენტის დამატებითი მოტივაციის საშუალებას წარმოადგენს. ასოციაციური კომპონენტი წარმოდგენილია იმ სახელთა ყველაზე დიდი სიხშირის ასოციაციური მიმართებებით, რომელთაც არაკონტექსტური კავშირი აქვთ კონცეპტთან. კონცეპტის ცნებითი კომპონენტი გადაიკვეთება ასოციაციურთან, თუმცა მის შინაარსს საფუძვლად უდევს ძირითადი, დომინანტური ნიშნები, ხოლო ეროვნულ-კულტურული კონოტაციები მასში არ შედის. კონცეპტის ხატ-სახეობრივი შემადგენელი, ავტორის აზრით, მოიცავს გრძობა-მხედველობით წარმოდგენას, აგრეთვე კონცეპტუალურ მეტაფორათა კომბინაციას, რომლებიც ენის მატარებელს „გამოჰყავს“ კონცეპტის სახელის სემანტიკური ვალენტობისა და ასოციაციური კავშირებისგან. კონცეპტის ღირებულებრივი მდგენელი გ. გ. სლიშკინის [8] მიერ მოიაზრება, როგორც კომპონენტი, რომელიც ორ ასპექტს მოიცავს – აქტუალობასა და შეფასებითობას. შეფასებითობა გამოიხატება ენობრივი ერთეულის (კონცეპტის სახელის) მნიშვნელობაში, შეფასებითი მდგენელისა და ამ ერთეულის კავშირის არსებობაში შეფასებით ეპითეტებთან.

აქვე შევნიშნავთ, რომ საფოს შემოქმედების ძირითადი კონცეპტები – პოეტური სამყარო, რომელშიც საფო ტრიალებდა – გრძობადია. მასში ასახულია ადამიანური განცდები და ემოციები, ბუნების სიმშვენიერე, ანუ ის, რაც მარადიულია და გარდაუვალია. საფოს შემოქმედებაში შეინიშნება როგორც დადებითი, ასევე ნეიტრალური და უარყოფითი აქცენტები, თუმცა დადებითობა – უპირატესია. პოეტი ქალი ხშირად მიმართავს მითოლოგიურ სიუჟეტებს, რომლებშიც წარმოჩენილია მშვენიერებისა და სიყვარულის სამყარო. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საფომ არაჩვეულებრივად იგრძნო და გადმოსცა თავისი ეპოქის სული და, ამავე დროს, შეძლო ყოველდღიურობაში დაენახა *ამბლექტული/არაორდინალური*. საფოს ყველა ლექსსა თუ ფრაგმენტში იგრძნობა ქალი, თუმცა იგი ახერხებს ამ ხედვის განზოგადებას მაღალი პოეზიის დონემდე. საფო არაჩვეულებრივი მაგალითია იმისა, თუ როგორ მოახერხა ქალმა საკუთარი ხედვების, გრძობების, ემოციების გამოხატვა პოეზიაში [5, 85].

მეთვე საუკუნის დასასრულსა და მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისში სეფექტალმა *მურასაკი შიკიბუ* დაწერა იაპონური ლიტერატურის მწვერვალად აღიარებული ნაწარმოები უფლისწულ გენჯის შესახებ (მურასაკის ნამდვილი სახელი უცნობია), რომელშიც გადმოცემულია ბედისწერით განპირობებული სამიჯნურო თავგადასავალი. ნაწარმოებს ზოგიერთები მიიჩნევენ პირველ რომანად მსოფლიო ლიტერატურაში [1, 429]. აქვე შევნიშნავთ, რომ ყველაზე ადრეულ ვეროპულ რომანს, მიგელ დე სერვანტესის „დონ კისოტს“, შიკიბუს ტექსტმა ექვსი საუკუნით დაასწრო. აღნიშნული რომანის დედანს ჩვენამდე არ მოუღწევია; ამბავს მოულოდნელი დასასრული აქვს, რაც მკვლევრებს აფიქრებინებს, რომ ბოლო თავები დაკარგულია. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ორიგინალის ენა იმდენად განსხვავებულია თანამედროვე იაპონურისგან, რომ ავტორებმა ტექსტის გათანამედროვეება დაიწყეს. პირველი ვერსია პოეტ *აკიკო იესანოს* ეკუთვნის. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ნაწარმოების ვეროპულ ენაზე თარგმანმა დაიგვიანა. მე-19 საუკუნის ბოლოს ინგლისურად ნათარგმნი ტექსტი იმდენად უხარისხო იყო, რომ იგი, ფაქტობრივად, წაუკითხავი დარჩა. მე-20 საუკუნის დასაწყისში ინგლისურად პირველი დამაკმაყოფილებელი თარგმანი გაკეთდა;⁸ რუსული თარგმანი მხოლოდ 1993 წელს გამოიცა;⁹ ხოლო ქართული – 2019 წელს („ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“). მართალია, რომანის ორმოცდაათოთხმეტი თავიდან ქართულ თარგმანში მხოლოდ თხუთმეტია წარმოდგენილი, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი ნაბიჯია საქართველოში იაპონური ლიტერატურის გასაცნობად. მურასაკი შიკიბუ იაპონური ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელია; მისი ნაწარმოებები სავალდებულო სასწავლო ლიტერატურაშია შეტანილი. საინტერესო სიახლეა ისიც, რომ იაპონიაში წიგნის დაკარგული ნაწილიც იპოვეს, რაც მკვლევართათვის უთუოდ წინ გადადგმული ნაბიჯია.

⁸ Emmerich, Michael (08.13.2013) *The Tale of Genji: Translation, Canonization and World Literature*. Columbia University Press. ISBN 9780231534420. Shikibu, Murasaki; Waley, Arthur (1960) *The Tale of Genji*. Modern Library. Vintage.

⁹ Повесть о Гэндзи (Гэндзи-моногатари): в 2 ч. / Перевод с яп. Соколова-Делюсина Т. Л.; Москва: Восточная литература, 1993.

მე-12 საუკუნეში მოღვაწეობდა ანა კომნენე იგივე ანა კომნენოსი, რომელიც ბიზანტიის იმპერიაში მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენდა; იგი იმპერატორ ალექსი I კომნენოსის ქალიშვილი გახლდათ. მისი ძმის, იოანეს დაბადებამდე, ანას ტახტის მემკვიდრედ მიიჩნევდნენ, თუმცა ალექსი კომნენოსის გარდაცვალების შემდეგ ტახტი იოანემ დაიკავა. ანა თავისი ქმრის, ნიკიფორე ვრიენოსის (ან ნიკიფორე ბრიენის) დახმარებით შეეცადა ტახტიდან საკუთარი ძმის ჩამოგდებას, მაგრამ მეუღლემ ამ განზრახვის აღსრულებაზე უარი თქვა და შეთქმულება ჩაიშალა. ნიკიფორეს გარდაცვალების შემდეგ, პოლიტიკაში ხელმოცარული და იმედგაცრუებული ანა მონასტერში წავიდა და მამის ბიოგრაფია – „ალექსიადა“ – დაწერა. ეს არის ისტორიული ტექსტი, რომელიც ჯვაროსნული ომების ყველაზე ცნობილ წყაროდ ითვლება და მაღალმხატვრულობის გამო, ბიზანტიური ლიტერატურის ძალზე მნიშვნელოვან, ღირებულ ტექსტს წარმოადგენს [2, 12].

ანა კომნენეს ისტორიული ნაწარმოები შესავლისა და თხუთმეტი თავისგან შედგება. ჩვენთვის საინტერესოა, რომ ტექსტში ნახსენებია ნახევრად ქართველი უფლისწული, მიხეილ VII დუკასის და ბაგრატ IV-ის ქალიშვილის – მართას ძე, კონსტანტინე პორფიროგენეტი. ანა მასზე წერს: „უბადლო სილამაზისა იყო. ამდენი წლის შემდეგ ვიგონებ იმ ყმაწვილს, ცრემლებით ვივსები, მაგრამ ვიკაეებ ცრემლებს და ხელსაყრელი შემთხვევისათვის შევინახავ, რათა ჩემი პირადი ჰანგების შერევით საისტორიო მოთხრობებში, თვით ისტორიაში არ შევიტანო არეუ-დარევა... ის ჰგავს ციურ სილამაზეს და არა მიწიერს; ვინც მას დაინახავდა, უთუოდ იტყოდა, რომ ასე ხატავენ ეროსს“ [8, 60]. აღნიშნულმა ინფორმაციამ ჩვენამდე მოაღწია XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწე ბერძენი პოეტის, კონსტანტინე კავაფისის შემოქმედების წყალობით, რომელმაც 1917 წელს დაწერა ლექსი „ანა კომნენე“. კავაფისის ხელნაწერებიდან ირკვევა, რომ იგი „ალექსიადას“ 1914 წლიდან იცნობდა და ამ ისტორიული ძეგლის ერთ-ერთ ეპიზოდთან დაკავშირებით მიიჩნევდა, რომ იგი მშვენიერ თემას წარმოადგენდა ლექსისთვის. ზემოაღნიშნული თხზულების გარდა, კავაფისისთვის ცნობილი ყოფილა ფრანგი ისტორიკოსის – შარლ დილის, ბერძენი ისტორიკოსის – კონსტანტინოს პაპარილოპულოსისა და სხვათა ნაწარმოებებიც, რომლებშიც ანა ძალაუფლებისთვის მებრძოლ, ამბიციურ ქალად არის წარმოდგენილი [2, 4]. აღსანიშნავია, რომ კონსტანტინე კავაფისი ზემოაღნიშნულ წყაროებს მიყვება და სამსტროფიან ლექსში ანა კომნენოსს *ძალაუფლების-მოყვარე* და *ამპარტავან* ქალად წარმოაჩენს, მაშინ როდესაც „ალექსიადაში“ დედოფალი გულჩვილ, სათნო ადამიანადაა წარმოჩენილი.

უდავოდ მნიშვნელოვან და საინტერესო ფიგურად წარმოგვიდგება იტალიური წარმოშობის ფრანგი მწერალი ქალი კრისტინა დე პიზანი (*Christine de Pizan* – 1364-1430), რომლის ლიტერატურულ მემკვიდრეობას სხვადასხვა თემაზე შექმნილი ოცდაათამდე ნაშრომი და ორასზე მეტი ხელნაწერი შეადგენს. კრისტინა დე პიზანის ცხოვრებისა და შემოქმედების მკვლევარი, ოქსფორდის უნივერსიტეტის ფრანგული ენის სპეციალისტი შარლოტა კუპერ-დევისი თავის ნაშრომებში ყურადღებას ამახვილებს, თუ როგორ ჩამოყალიბდა პიზანის მსოფლმხედველობა იმ გარემოში, რომელშიც იგი ცხოვრობდა და შესაბამისად, როგორ აისახა იგი მის მთავარ ტექსტებში – „ქალბატონთა ქალაქის შესახებ“ და „ქალბატონთა ქალაქის საგანძური“. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთ მათგანში – „ქალბატონთა ქალაქის შესახებ“ (*Le Livre de la Cité des Dames* -1404-1405 წწ.) – რომელშიც გადმოცემულია ცნობილი ქალების ისტორიები (ისინი ცხოვრობენ მათ მიერ აგე-

ბულ მეტაფორულ ქალაქში), პერსონაჟად გვევლინება კოლხეთის მეფის, აიეტის ასული მედეა. წიგნის პერსონაჟი სხვა ქალების მსგავსად, მედეაც პიზანის კონცეფციას ახმოვანებს (რომ ქალები არაფრით ჩამოუვარდებიან მამაკაცებს) და მიუთითებს საზოგადოებაში ქალის როლზე. საყურადღებოა, რომ კრისტიანა დე პიზანის მედეა წარმოგვიდგება განათლებულ, მეცნიერული ცოდნით აღჭურვილ ქალად, რომელიც ერთგულებით და სიყვარულის უნარით გამოირჩევა (ცხადია, ეს წინააღმდეგობაში მოდის მისოგენისტ ევრიპიდეს ვერსიასთან) [11, 170-181]. ზოგადად, კრისტიანა დე პიზანის ქალი პერსონაჟების რიტორიკა მიმართულია ქალთა შევიწროების კრიტიკის, მამაკაც მწერალთა ვულგარული, მისოგენური დამოკიდებულების წინააღმდეგ. კრისტიანა დე პიზანი ქალებს მოუწოდებს, განავითარონ თავიანთი უნარები იმისათვის, რომ ცხოვრება გაიუმჯობესონ.

ქალური ლიტერატურის ისტორიაში ახალ ეტაპად მოიაზრება ინგლისელი ჯეინ ოსტინის შემოქმედება (1775-1817). ორი საუკუნის მიჯნაზე მოღვაწე მწერალი ქალის რომანები – „გრძნობა და გონება“ (1811), „სიამაყე და მცდარი აზრი“ (1813), „მენსფილდ-პარკი“ (1814 წ.), „ემა“ (1816), „ნორთენგერის სააბატო“ (1817) და სხვ. – დღემდე ინარჩუნებენ პოპულარობას და არაერთი მათგანის ეკრანიზაცია არის განხორციელებული. ბრიტანულ ლიტერატურაში ჯეინ ოსტინი რეალიზმის წინამორბედად არის მიჩნეული და მისი რომანები დღესაც არ კარგავენ აქტუალობას. მწერლის პერსონაჟთა გაღერვა საკმაოდ მრავალფეროვანია; მკითხველს დღესაც იზიდავს ელიზაბეთ ბენეტის პრინციპულობა, ქეთრინ მორლენდის წარმოსახვის უსაზღვრო ნიჭი, ჰენრი ტილნის გონებამახვილური სარკაზმი და სხვ. ჯეინ ოსტინი იმ პერიოდში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, როდესაც ინგლისური საზოგადოება ქალისაგან მხოლოდ ცოლობასა და დედობას მოითხოვდა. წინააღმდეგ ამისა, მწერალმა ქალმა, სიუჟეტური თვალსაზრისით, თავისი რომანები ე.წ. „კონკიას მოდელზე“ ააგო და სიყვარულის ისტორიები გადმოგვცა, რომლებიც, ამავდროულად, მისი თანადროული ინგლისური საზოგადოების ცხოვრებასა და აზროვნებას ზედმიწევნით გადმოგვცემდნენ. ოსტინის რომანებში არაფერია ყალბი, ხელოვნური და გადაჭარბებული; პირიქით, აშკარად იგრძნობა ბუნებრიობა და საინტერესოდ იკითხება. კანადელი პოეტის, მწერლისა და ესეისტის, მარგარეტ ეტვუდის აზრით, ოსტინის პერსონაჟები გაცილებით მეტს სთავაზობენ მკითხველს, ვიდრე რომანტიკოსები.

რომანტიზმის ეპოქის მოღვაწეა მერი შელი (1797-1851) – ცნობილი გოთიკური რომანის, „ფრანკენშტაინის“ (1818) ავტორი (პირველ გამოცემაში წიგნის სრული სათაური იყო „ფრანკენშტაინი ანუ თანამედროვე პრომეთე“ – “Frankenstein; or, The Modern Prometheus”). აღსანიშნავია, რომ მერი შელი ინგლისელი მწერლისა და ესეისტის, მერი უოლსტონკრაფტის შვილია, რომელმაც მისი შემოქმედებით საზოგადოებრივი ყურადღების ცენტრში მოაქცია ქალთა უფლებებისა და სქესთა თანასწორობის პრობლემები. იგი აღნიშნავდა, რომ მწერლის მოვალეობას მკითხველისთვის მხოლოდ სიამოვნების მინიჭება კი არ წარმოადგენს, არამედ *უნდა გააგებინო ქალური ბუნების რეალურობა*. უოლსტონკრაფტის ნაშრომებიდან განსაკუთრებულად აღნიშვნის ღირსია „ქალთა უფლებების დაცვა“. რაც შეეხება მერი შელის „ფრანკენშტაინს“, ავტორმა იგი პირველად ოცი წლის ასაკში გამოაქვეყნა ანონიმურად (1818), ხოლო 1821 წელს, პარიზის გამოცემაში სრულად მიუთითა თავისი სახელი. ნაწარმოებში რომანტიზმისთვის დამახასიათებელი ყველა ნიშანდობლივი კონცეპტი გვხვდება: დიდებისაკენ სწრაფვა, ადამიან-

ნის დაცემა, მარტობა, „მეს“ ფილოსოფიური განჭვრეტა და ა.შ.¹⁰ ცხადია, მერი შელი-ზე გავლენა იქონია ვილა *დიოდატში* გამართულმა ინტელექტუალურმა საუბრებმა, რომელშიც მის მომავალ მეუღლესთან – პერსი ბიში შელისთან და მისი მეგობართან – ჯორჯ გორდონ ბაირონთან ერთად თავადაც იყო ჩართული. სიკვდილ-სიცოცხლის მარადიულმა პრობლემამ და მასთან მიმართებით გამოთქმულმა ერასმუს დარვინისა და ლუიჯი გალვანის იდეებმა, ასევე, შოტლანდიელი ექიმის – ჯეიმზ ლინდის ექსპერიმენტებმა, გარკვეულწილად, ასახვა პოვა რომანში. ავტორი განიმსჭვალა ადამიანის შესაძლებლობების უსაზღვროების იდეებითა და რომანის ძირითადი სიუჟეტური ხაზი *შექმნილისა* და *ქმნილების* დაპირისპირებაზე აავგო. აღსანიშნავია, რომ მერი შელის „ფრანკეშტაინისგან“ იღებს სათავეს დღესდღეობით ესოდენ პოპულარული *საშინელებათა ჟანრი*.

ვიქტორიანული ეპოქის ქალთა მწერლობის განვითარებაში უდავოა შარლოტა ემილი და ენ ბრონტეების წვლილი, რომლებიც სამწუხაროდ, ახალგაზრდა ასაკში გარდაიცვალნენ ტუბერკულოზისგან. დები ბრონტეების ლიტერატურული დებიუტი თითქმის ერთდროულად შედგა; 1847 წელს გამოიცა შარლოტა ბრონტეს „ჯეინ ეარი“, ემილი ბრონტეს „ქარიშხლიანი უღებეხილი“ და ენ ბრონტეს „აგნეს გრეი“. ყველაზე წარმატებული უფროსი დის – შარლოტას – დებიუტი გამოდგა, რომელმაც, თავის მხრივ, გააღვივა ინგლისური საზოგადოების ინტერესი მისი დების რომანების მიმართაც. შარლოტა ბრონტეს (1816-1855) თითქმის 180 წლის წინ შექმნილი ნაწარმოებები დღესაც ინტერესით იკითხება და პოპულარობით სარგებლობს.¹¹ მწერალმა დამაჯერებლად გადმოგვცა საკუთარი მოსაზრებები ისეთ ზოგადსაკაცობრიო და მარადიულ თემებზე, როგორცაა სიყვარული, მეგობრობა, თანაგრძნობა, საზოგადოების როლი ადამიანის ცხოვრებაში. მწერლის თანადროული ეპოქის სოციალურ პრობლემებზე ყურადღების გამახვილებით მისმა ოთხივე რომანმა რომანტიკულთან ერთად, რეალისტური ხასიათი შეიძინა. „ჯეინ ეარი“ ავტორი შეეხო და ღიად გააკრიტიკა ვიქტორიანულ ეპოქაში დამკვიდრებული გენდერული და სოციალური საკითხები; საზოგადოებრივი მისგომები, როდესაც ჩვეულებრივ მოვლენად აღიქმებოდა ქალებისა და მამაკაცების მდგომარეობის, სტატუსისა და უფლებების არათანაბარი აღქმა; ქალებს არ ჰქონდათ არც ხმის უფლება, არც საზოგადოებრივი აქტივობის გამოხატვის საშუალება და სამოქმედო არეალი; ქალების ცხოვრება მხოლოდ ოჯახს უკავშირდებოდა. ზემოაღნიშნული დამოკიდებულების პირადი გამოცდილება თავად მწერალ ქალს ჰქონდა; ცნობი-

¹⁰ საინტერესოა რომანის შექმნის ისტორია: მერი შელიმ 18 წლის ასაკში, 1816 წლის ზაფხულში დაიწყო მასზე მუშაობა, როდესაც მომავალ მეუღლესთან, ცნობილ ინგლისელ რომანტიკოს პოეტთან – პერსი ბიში შელისთან ერთად მოგზაურობდა გერმანიასა და შვეიცარიაში. იმ პერიოდში უულკან ტამბორას ამოფრქვევას მკვეთრი კლიმატური ცვლილებები მოყვა (შემდგომში მას უწოდეს *წელი ზაფხულის გარეშე*) და, ფაქტობრივად, ენაზეაში, ვილა *დიოდატში* მყოფ ახალგაზრდა ინგლისელ ინტელექტუალებს (მათ შორის, ჯორჯ გორდონ ბაირონს), უამინდობის გამო, გარეთ გასვლის შესაძლებლობა არ ჰქონდათ და მთელ დღეებს ბუხართან საუბრებში ატარებდნენ. გერმანულ საშინელებათა ზღაპრების კრებულის – *ფანტასმაგორიანას* (1812) – შთაბეჭდილების ქვეშ მყოფ ახალგაზრდებს სწორედ ბაირონმა შესთავაზა შეჯიბრი, თუ ვინ დაწერდა დათქმულ მოკლე ვადებში ყველაზე საშიშ ისტორიას. თავად ბაირონმა დაწერა მთხრობა, რომელიც ჯონ პოლიდორის *ვაშპირს* (1819) დაედო საფუძვლად, ხოლო მერი შელიმ დაწერა ტრაგიკული ისტორია ახალგაზრდა მეცნიერ ვიქტორ ფრანკენშტაინისა და მის მიერ შექმნილ ურჩხულზე. წიგნი ქართულ ენაზე 2018 წელს გამოიცა.

¹¹ ქართული მკითხველისთვის მწერლის ოთხი რომანიდან ორია ცნობილი: სავიზიტო „ჯეინ ეარი“ (ითარგმნა 1964 წელს) და „მასწავლებელი“ (ითარგმნა 2020 წელს).

ლია, როდესაც მან თავისი ლირიკული ლექსები გაუგზავნა *რობერტ საუთის* (1774-1843), ამ უკანასკნელმა შემოუთვალა, რომ *ლიტერატურა არ არის ქალის საქმე, რადგანაც იგი ხელს უშლის ქალს ოჯახური მოვალეობების შესრულებასა და ბავშვის აღზრდაში*. შესაძლოა, ამ ფაქტმა (და იმანაც, რომ მის მიერ გაგზავნილი პირველი რომანი, „მასწავლებელი“, ყველა გამომცემლობამ უკან დაუბრუნა) იქონია გავლენა მწერალი ქალის გადაწყვეტილებაზე, თავისი მომდევნო რომანი – „ჯეინ ეარი“ – გამოეკვეყნებინა მამაკაცის ფსევდონიმით – *კერერ ბელი*.

ცხადია საზოგადოებაში, რომელშიც დამკვიდრებული აზრის თანახმად, ქალებს მხოლოდ ბავშვები უნდა გაეჩინათ, წინდები დაეკემსათ, პუდინგები ეკეთებინათ და, საუკეთესო შემთხვევაში, ფორტეპიანოზე დაეკრათ, აშკარა გამოწვევად აღიქმებოდა ჯეინ ეარის დამოკიდებულება დამკვიდრებულ სტერეოტიპებთან მიმართებით. შარლოტა ბრონტემ ჯეინის პერსონაჟს ათქმევინა იმ დროისათვის მიუღებელი მოსაზრებები, რომ *ქალები, რატომღაც, მშვიდად ეგუებიან უმოქმედო მდგომარეობას; არადა, მათაც ხომ იგივე განცდები ეუფლებათ, რაც მამაკაცებს; მათაც ხომ უნდათ თავიანთი შესაძლებლობების რეალიზება, როგორც მათ ძმებს, მამებს, ქმრებს; რატომ უნდა დაიტანჯონ ქალები ზედმეტი შეზღუდვებით* (ბრონტეს რომანში სწორედ *წითელი ოთახი* წარმოადგენს შეზღუდვების ალეგორიას). ამგვარად, რომანის წარმატება განსაზღვრა ჯეინის მებრძოლმა, მეამბოხე სულმა; მისმა მისწრაფებამ, თავად ემართა საკუთარი ბედი; მიედლო საფუძვლიანი განათლება და დარჩენილიყო დამოუკიდებელ, თავისუფალ პიროვნებად.

რაც შეეხება მწერლის რომანს „მასწავლებელი“ (1857), რომელიც „ჯეინ ეარამდე“ დაიწერა, იგი ავტორის გარდაცვალების შემდეგ გამოიცა და კრიტიკა მას ცუდად არ შეხვედრია. რომანში ახალგაზრდა ავტორის სულიერი მდგომარეობა, შეხედულებები და, გარკვეულწილად, ცხოვრებისეული გამოცდილება აღიბეჭდა. ნაწარმოების მთავარ პერსონაჟზე სიმპათიური ნამდვილად არ ითქმის; მწერალი ამით ხაზს უსვამს, რომ ცხოვრებაში ადამიანი მხოლოდ გარეგნობით კი არ შეაფასო, არამედ, უწინარეს ყოვლისა, სულიერებას მიაქციო სათანადო ყურადღება. რომანი პირველ პირშია დაწერილი; ნარატორი/მთავარი პერსონაჟი ახალგაზრდა ინგლისელი უილიამ ქრიმსვორთია, რომელიც ოცი-ოცდაერთი წლის ასაკში იძულებული ხდება, ფინანსურ პრობლემებთან დაკავშირებით, მისთვის უინტერესო საქმიანობით დაკავდეს და თანამშრომლებისგან უტაქტობა და დამცირება აიტანოს. როდესაც მისი მოთმინების ფიალა ამოიწურება, უილიამი გაემგზავრება ბელგიაში და უცხო ენის მასწავლებლად დაიწევს მუშაობას ჯერ ვაჟთა პანსიონში, შემდეგ კი – ქალთაში. მთავარი პერსონაჟის პროფესიიდან გამომდინარე, გარკვეული წარმოდგენა გვექმნება იმ პერიოდის პანსიონებში არსებულ სიტუაციაზე, მართვის სისტემაზე, ბავშვების აღზრდით დაკავებულ პირებზე. გოგონათა სკოლის დირექტორის სახით ავტორი ისეთ ქალს წარმოაჩენს, რომელიც საკუთარ ცხოვრებას ანგარებაზე აგებს; მისი ანტიპოდია ფრენსის ანრი, რომელიც დაუღალავი შრომით აღწევს წარმატებას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რომანში გარკვეულწილად, შარლოტა ბრონტეს ცხოვრებისეული გამოცდილებაც აღიბეჭდა; ვგულისხმობთ იმას, რომ პანსიონის დამთავრების შემდეგ მან იორკში, მდიდარი ფაბრიკანტის ოჯახში დაიწყო აღმზრდელად მუშაობა. ცხოვრების ამ პერიოდში მან არაერთი დამცირება გადაიტანა და საბოლოოდ მოახერხა, დაეტოვებინა იორკი და ბრიუსელში გადასულიყო, სადაც ერთ-ერთ პანსი-

ონში ინგლისური ენის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. როგორც ვხედავთ, უილიამ კრიმსვორთის ცხოვრებისეული გზა რომანის ავტორისას ემთხვევა, რაც უფრო დამაჯერებელსა და ბუნებრივს ხდის მის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს განათლების სისტემასა და მასწავლებლის როლთან დაკავშირებით.

ემილი ბრონტემ (1818-1848 წწ.) – შარლოტას შუათანა დამ – ინგლისურენოვან სალიტერატურო სივრცეში საკულტო რომანით – „ქარიშხლიანი უღელტეხილი“ – დაიმკვიდრა თავი. ლიტერატურათმცოდნეებს დღემდე ვერ აუხსნით, თუ როგორ მოახერხა ახალგაზრდა ქალმა, რომელიც პრაქტიკულად, საკუთარ სახლს არასოდეს ტოვებდა, შეექმნა ევროპული ლიტერატურის ყველაზე სასტიკი და უცნაური რომანი. აქსიომაა, რომ სიძულვილი დიდი სიყვარულიდან ჩნდება; რომანშიც ორი ოჯახის ისტორიაა გადმოცემული, რომელსაც არაერთი განსაცდელი დაატყდება თავს გაუზიარებელი სიყვარულის გამო (ცხადია, იმდროინდელი ლიტერატურული კანონის თანახმად, რომანის მთავარი გმირები სხვადასხვა სოციალურ ფენებს განეკუთვნებიან). რომანში აღწერილია ვნებათა ძალამ, მთავარი გმირის – ჰიტკლიფის არაორდინალურმა, სასტიკმა, ბოლომდე გაუგებარმა ხასიათმა მეტი ინტრიგა შესძინა ნაწარმოებს და იგი მე-19 საუკუნეშივე გადაიქცა რომანტიზმის ტრადიციის ერთ-ერთ ეტალონად.

აღსანიშნავია, რომ ემილი ბრონტე სიცოცხლეში არ უღიარებიათ დიდ მწერლად; მისი ლექსები შეუმჩნეველი დარჩა მკითხველისთვის, ხოლო გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე გამოცემული ზემოაღნიშნული რომანი, რომელიც წინააღმდეგობრივი ინტერესის საგანი გახდა, საკუთარი დის რომანის წარმატებამ გადაფარა. მხოლოდ ემილის გარდაცვალების შემდგომ დაფასდა მისი ტალანტი და „ქარიშხლიანი უღელტეხილი“ ლიტერატურულ შედეგად აღიარეს. რაც შეეხება მის პოეზიას, იგი ინგლისური პოეზიის ანთოლოგიაშია შესული ბაირონის, შელის, კიტსისა თუ ბლეიქის გვერდით. ისიც აღსანიშნავია, რომ ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსი – ჟორჟ ბატაი – ემილი ბრონტეს „ქარიშხლიან უღელტეხილს“ განიხილავს იმ ავტორთა შემოქმედების ჭრილში (ბოდლერი, პრუსტი, კაფკა...), რომლებიც წარმოაჩენენ ლიტერატურისა და ბოროტების ურთიერთმიმართების პრობლემას; 1957 წელს (რომანის პირველი გამოცემიდან 110 წლის შემდეგ) ბატაი წერდა, რომ „*ქარიშხლიანი უღელტეხილის*“ კონცეფცია წარმოადგენს აშკარა გამოწვევას მიღებული საზოგადოებრივი მორალის მიმართ, რომლის საფუძველს ზეეთიკურობა წარმოადგენს.

შევნიშნავთ, რომ დები ბრონტეების შემოქმედებაში ყველაზე სკანდალურ რომანად ენ ბრონტეს „უცნობი ქალი უაილდჰელ-ჰოლიდან“ ითვლება. მას, ლამის პირველ ფემინისტურ რომანად მიიჩნევენ, რომელიც ვიქტორიანული მორალის წინააღმდეგ ილაშქრებს. შარლოტა ბრონტეს (რომელიც 38 წლის ასაკში გარდაიცვალა), არაერთხელ მოუწია დების სიკვდილის შემდეგ თავის მართლება კრიტიკოსების წინაშე; მაგ., ემილის გარდაცვალების შემდეგ (იგი 30 წლისა გარდაიცვალა) არწმუნებდა საზოგადოებას, რომ ჰიტკლიფის დემონურმა არსმა არ უნდა გადაფაროს რომანის სხვა პერსონაჟები, რომლებიც ადამიანური სიკეთის, სინაზის და სხვა დადებითი თვისებების მატარებლები არიან. რაც შეეხება ენ ბრონტეს „უცნობი ქალი უაილდჰელ-ჰოლიდან“, დის სიკვდილის შემდეგ (იგი 29 წლისა გარდაიცვალა) შარლოტამ აკრძალა მისი ხელახლა გამოცემა. დასასრულს, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ დები ბრონტეების უდავო წვლილს ქალური ლიტერატურის განვითარების საქმეში და იმასაც შევნიშნავთ, რომ თუ მერი შელის სახელს *საშინელებათა ქანრი* უკავშირდება, ბრონტეების სახელს უკავშირდუ-

ბა *ფენტეზის* *ქანრი*, რომელიც ოფიციალურ საწყისს მე-20 საუკუნეში იღებს, თუმცა მასთან ბრონტეების შემოქმედების კავშირს არაერთი ლიტერატორი აღიარებს.

ინგლისურ ქალურ ლიტერატურაზე მსჯელობა შეუძლებელია მოდერნისტული ლიტერატურის გამორჩეული წარმომადგენლის, მწერლისა და ესეისტის, *ვირჯინია ვულფის* (1882-1941 წწ.) შემოქმედებისთვის გვერდის ავლით. მისი მოღვაწეობა იმ დროს დაემთხვა, როდესაც მსოფლიოში უდიდესი სოციალური და პოლიტიკური ძვრები მიმდინარეობდა. ბუნებრივია, შესაბამისად იცვლებოდა ადამიანის შინაგანი სამყარო და ეს ცვლილებები ხელოვნებასა და ლიტერატურაში აისახებოდა. ფემინიზმის პირველი ტალღის მთავარი საზრუნავი ქალებისათვის თანაბარი უფლებების მოპოვება იყო. ვულფი აქტიურად ჩაერთო ამ ბრძოლაში: იგი ლექციებს ატარებდა და შემდეგ ესეების სახით აქვეყნებდა პირად მოსაზრებებს. „*საკუთარი ოთახი*“ (1929), „*პროფესია ქალებისათვის*“ (1930), „*სამი გინეა*“ (1938) ფემინისტური ტექსტებია, რომლებშიც ავტორმა დიდი ოსტატობით მოახერხა ქალის შინაგანი ბუნების ასახვა და მისი თვალთ დანახული სამყაროს გადმოცემა. მან ყურადღება გაამახვილა ქალური შემოქმედებითობის ეკონომიკურ, სოციალურ და ისტორიულ პირობებზე. ვირჯინია ვულფი პირველია, ვინც ქალთა ლიტერატურის ისტორია დაწერა. გაიატრი სპივაკის თანახმად,¹² ვულფმა კომპლექსურ პრობლემათა არსებობა ხილული გახადა. იგი ბევრს ფიქრობდა ეპოქის სატიკვარზე, მაგრამ მის ნაშრომებში ბევრი რამ მაინც წინააღმდეგობრივია. მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ის ფაქტი, რომ ვულფი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა მისთვის ფემინისტის სახელის წოდებას. მას მიუღებლად მიაჩნდა ისეთი სახელის გამოყენება, როგორც არის „ქალთა ემანსიპაცია“, თუმცა „სამ გინეაში“ ვულფი პარტიკულარულ საზოგადოებას ებრძვის, რადგან ის ფაშიზმის სათავეა. იგი კატეგორიულად წერს, რომ სიტყვა ფემინიზმი უნდა მოისპოს, რადგან მას დაპირისპირების მეტი არაფერი მოაქვს ("the word feminist should be destroyed") [4, 5].

მწერლის შემოქმედებაში მსგავსი წინააღმდეგობრივი გამონათქვამები მრავლად გვხვდება, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მისი პოზიცია ამ თემასთან დაკავშირებით ბუნდოვანი და სათუთაა. ესეში „პროფესიები ქალებისათვის“ იგი წერს, რომ თავად – დასაქმებული ქალია, თუმცა მისი პროფესია ლიტერატურაა და მასში ქალები იმაზე ნაკლებ გამოცდილნი არიან, ვიდრე სხვა რომელიმე პროფესიაში. მან ლიტერატურაში გზა მრავალი წლის წინ გაიკაფა და ამაში დიდი წვლილი მიუძღვის ფენი ბერნის, ჰარიეტ მარტინუს, ჯეინ ოსტინს, ჯორჯ ელიოტს: „მივიწყებულმა ქალებმა, რომლებიც ჩემამდე ცხოვრობდნენ, გზა გამისწორეს და ნაბიჯების სიმწვობრე მასწავლეს. ამგვარად, როცა წერა დავიწყე, ძალზე მცირე წინააღმდეგობას წავაწყდი“ [6, 140]. ვულფი მსჯელობს, რომ როდესაც მამაკაცის მიერ დაწერილ წიგნზე სურს მოსაზრების გამოთქმა, მისი ანგელოზი ყურში ჩასწურჩულებს: „ჩემო ძვირფასო, შენ ახალგაზრდა ქალი ხარ... იყავი ნაზი, პირფერი, ცრუ, გამოიყენე ჩვენი სქესის ყველა ხელოვნება და ეშმაკობა. არასოდეს დაუშვა, გამოიცნონ, რომ საკუთარი აზრი გაგაჩნია, და რაც მთავარია, უმანკო იყავი“ [6, 143]. ამ ნარატივით კონტრასტული აზრები იკვეთება; რომ მწერლობის გზაზე წი-

¹² გაიატრი ჩაკრავორტი სპივაკი (Gayatri Chakravorty Spivak, დაბ. 1942 წ.) – ინდოელი ლიტერატურის თეორეტიკოსი, ფემინისტი, მარქსისტი, პოსტკოლონიური კრიტიკოსი, თარჯიმანი და დეკონსტრუქტივისტი. მისი ყველაზე ცნობილი ნაშრომებია: „შეუძლია სუბალტერნს ლაპარაკი?“, „პოსტკოლონიური გონების კრიტიკა“ და სხვ.

ნაადმდეგობები გხვდება, რომ საკუთარი მოსაზრებების დამალვა და ვუალირება გიწვევს თავის გადასარჩენად.

ვირჯინია ვულფის თანახმად, პატრიარქალური საზოგადოების წესები თავად კაცებმა შექმნეს და, რა თქმა უნდა, ლიტერატურაც ამ წესებზე აიგო. ქალებს არც არავინ ეკითხებოდა, იყო თუ არა მათთვის მისაღები არსებული წერის მანერა ან დადგენილი ღირებულებები. ესეში „საკუთარი ოთახი“ ვულფი მის მიერ გამოგონილი პერსონაჟის *მერი კარმაიკლის* თხრობის მანერას ასე ახასიათებს: *იგი მკითხველს ეთამაშება, ხან წინადადებას დაშლის, ხან თანმიმდევრობას აურევს*. გამოდის, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში მწერალი მოდერნისტული წერის მანერას ახასიათებს, რომელმაც საყოველთაოდ დადგენილი, კონვენციური რომანის არქიტექტონიკა დაარღვია [4, 3].

ვულფი მსჯელობს იმის შესახებ, რომ მე-18 საუკუნემდე ქალები ინგლისური ლიტერატურის ისტორიაში არ არსებობდნენ; ამიტომ იგი ცდილობს შეთხზას ფიქტიური ამბები შექსპირის დის შესახებ, რომელიც ძმის მსგავსად, დიდი ნიჭით იყო დაჯილდოებული, თუმცა სახლში გამოკეტეს. საბოლოოდ, ქალმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. აქვე ავტორი ახსენებს მივიწყებულ ქალ-ავტორებს: ანა ფინჩს (Anne Finch), ფრა ბენის (Aphra Behn), ფანი ბარნეის (Fanny Burney), მარგარეტ ქვედნიშს (Margaret Cavendish), ილაიზა კარტერს (Eliza Carter); აღნიშნავს, რომ მათ მაღალი ლიტერატურული ტექსტები არ შეუქმნიათ, მაგრამ ქალთა რომანების შექმნას ბიძგი მისცეს: „შედევრი თავისით არ წარმოიქმნება, იგი შედგება მრავალწლიანი საზოგადოებრივი აზროვნებისა; მასის გამოცდილება თავმოყრილია ერთ ხმაში“ [7, 189]. ვულფი უბადლოდ ახერხებდა თანამედროვე არამყარი, ფრაგმენტირებული სამყაროს, ადამიანის წამიერი განცდების, ემოციების აღწერას. თამამად შეგვიძლია ამას *ცნობიერების ნაკადის* ტექნიკა ვუწოდოთ, ანუ ისეთი ნარატივის ტექნიკა, რომელიც გონების შთაბეჭდილებას ქმნის.

ლიტერატურის ისტორიაში განსაკუთრებული ინტერესი ვულფის მიმართ გამოწვეულია იმითაც, რომ მისი აღსასრული თეატრალურ სცენაზე დადგმულ იდუმალ, ამოუცნობ სპექტაკლს ჰგავდა; დეპრესიით გატანჯულმა მწერალმა პალტოს ჯიბეში ქვები ჩაიწყო და სახლთან ახლოს, მდინარეში დაიხრჩო თავი. ვირჯინია ვულფი პირველი ქალია, რომელმაც ქალთა ლიტერატურის ისტორიის დაწერა ითავა. ამავე დროს, იგი გამოირჩევა გაბედულებითა და რადიკალიზმით; ესეისტი საკუთარ თავს ჯერ ქალურ ტრადიციაში მოაქცევს და შემდეგ იწვებს მის რეკონსტრუქციას. ავტორი მკითხველს მარტივ მოსაზრებას უზიარებს, რომ *ქალს უნდა ჰქონდეს ფული და საკუთარი ოთახი, თუკი ის მხატვრული ლიტერატურის შექმნას აპირებს* [7, 124]. როგორც ვხედავთ, ვულფის ოთახი სიმბოლურად პირად სივრცეს მოიაზრებს; ფული კი, ქალს თავდაჯერებულობას ჰმატებს; ასეთ დროს იგი არასოდეს იქნება სხვაზე დამოკიდებული. დღეს მსოფლიოში სხვა რეალობაა. ქალებმა თითქოს, თავი დაადწიეს მეორე სქესის მფარველობას, თუმცა გამონაკლისი შემთხვევებიც არსებობს. ქალს, რომელსაც ეს ორი კომპონენტი აქვს, ადვილად შეძლებს წარმატების მიღწევას. ყველა ქალს სჭირდება სივრცე, ნავსაყუდელი საკუთარი თავის შესაცნობად. სრულიად გასაზიარებელია პროფესორ როსტომ ჩხეიძის მოსაზრება ვირჯინია ვულფთან მიმართებით: „გზა მხატვრული, საერთოდ სულიერი სამყაროსაკენ, სწორედ საკუთარ ოთახზე გადის. და ვიდრე საკუთარი ოთახი არ მოგეპოვება, ნურც იოცნებებ დახშული სივრცის გარღვევაზე და თუკი ეს

ნავსაყუდელი რეალობად გადაქცეულა, თამამად შევიძლია ინავარდო აწმყოდან წარსულსა და მომავალში“ [9, 5].

ინგლისელ მწერალ-ქალებზე საუბრისას მნიშვნელოვნად გვეჩვენება, შევეხოთ ამერიკელი ავტორების – *სანდრა გილბერტისა* და *სუზან გუბარის* – წიგნს „შეშლილი ქალი სხვენზე – ქალი მწერალი და მე-19 საუკუნის წარმოსახვა“ [Gilbert and Gubar, 1979], რომელშიც ვიქტორიანული ლიტერატურის ანალიზია მოცემული. სათაურიდან გამომდინარე, ადვილი მისახვედრია, რომ ტექსტი ეფუძნება შარლოტა ბრონტეს „ჯეინ ეარის“ სიუჟეტს. ცნობილია, რომ მისტერ როჩესტერს მისი მეუღლე – ბერტა სხვენზე ჰყავდა გამოკეტილი. ამერიკელი ავტორები პატრიარქალურ სამყაროში შეშლილი ქალის სურათის წარმოჩენით ახერხებდნენ პროტესტის გამოხატვას. მართალია, ს. გილბერტი და ს. გუბარი წიგნში მე-19 საუკუნის მწერლებზე ამახვილებენ ყურადღებას, მაგრამ მისი დაწერის პერიოდში, მე-20 საუკუნეშიც, აქტუალური იყო იგივე პრობლემები. ავტორთა თანახმად, *ვიქტორიანული ეპოქის მწერლები: მერი შელი, ჯეინ ოსტინი, დები ბრონტეები ცდილობდნენ, ლიტერატურულ ტრადიციებში შეედწიათ, რომელსაც კაცები განაგებდნენ; ისინი ხშირად პოზიციებს თმობდნენ, მაგრამ ბრაზს შეშლილი ქალის სახით გამოხატავდნენ* [10, 17]. მონოგრაფიაში აღნიშნულია, რომ ქალური ლიტერატურა პატრიარქალურ სამყაროში განსხვავებულია; სუსტი სქესის წარმომადგენლებმა „მცირე“ ჟანრები მოირგეს; ზოგი – კაცის ფსევდონიმს ამოეფარა.¹³ ქალმა-მწერლებმა თავიანთი სქესის სევდა, ტკივილი, წუხილი, შინაარსის საბურველში მოაქციეს, რაც დაკვირვებული თვალისთვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა. სანდრა გილბერტი და სუზან გუბარი ასევე აღნიშნავენ, რომ *მე-19 საუკუნის ქალთა ნაწარმოებებში სახლი, ოთახი, სამზარეულო – ის ჩაკეტილი სივრცეა, რომელიც მეტაფორულად ქალთა მომწვედველის ადგილია, ხოლო ჩაკეტილი სივრციდან გაქცევა – საკუთარი მდგომარეობის წინააღმდეგ ამბოხის გამოხატულებაა* [10, 84-85].

ცხადია, სტატიის ფორმატისა და ჩვენი კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ლიტერატურის ისტორიაში პირველ ქალ-ავტორებთან ერთად, ჩვენ შემოვიფარგლეთ მხოლოდ ინგლისელი ქალი-ავტორებით; თუმცა, განხილული მასალაც გვაძლევს შესაძლებლობას, გამოვყოთ ქალთა შემოქმედების ძირითადი თემები, პრობლემები, კონცეპტები:

- ქალი ავტორები მითოლოგიური და ისტორიული ტექსტებისადმი დიდ ინტერესს იჩენდნენ (ენხედუანა, საფო, ანა კომნენე); მათ ნაწარმოებებში აშკარად იგრძნობა ქალური ბუნება, რაც სხვადასხვა საკითხისადმი მგრძობელობაში გამოსჭვივის; ეს უკანასკნელი გამოკვეთილად იჩენს თავს ზოგადსაკაცობრიო თემებთან (მაგ., სიყვარული) მიმართებით (მურასაკი შიკიბუ);
- ანტიკურ და შუასაუკუნეების სინამდვილეში ქალი ავტორების პერსონაჟების რიტორიკა მიმართულია ქალთა შევიწროების კრიტიკის, მამაკაც მწერალთა ვულგარული, მისოგენური დამოკიდებულების წინააღმდეგ; ამდენად, ავტორები ქალებს მოუწოდებენ, განავითარონ თავიანთი უნარები იმისათვის, რომ ცხოვრება გაიუმჯობესონ;
- ქალი ავტორები ეწინააღმდეგებიან საზოგადოების სტერეოტიპულ აზროვნებას, დაშტამპულ დოგმებს; თუმცა, ეს ხდება არა ძალადობაზე საუბრით, არამედ ორ-

¹³ იგულისხმებიან დები ბრონტეები, ლუიზა მეი ოსკოტი და სხვ.

შრიანი ტექსტებით; გარეგნულად მათი ნაწარმოებები პატრიარქალური საზოგადოების გემოვნებას შეესაბამება, მაგრამ ქვეტექსტებით – კრიტიკულად საუბრობენ პრობლემებზე (ჯეინ ოსტინი, ემილი და შარლოტა ბრონტები...);

- ფემინისტური მიმართულებით გამოირჩევა ქალ ავტორთა ერთი ჯგუფი (მაგალითად, ვირჯინია ვულფი), რაც შესაბამისად აისახება მათ ნააზრევში (ესეების დასათაურებაც კი, ამის მანიშნებელია); ქალი ავტორები ზოგჯერ, დუმილს ამჯობინებენ, მაგრამ ამას თან ერთვის სხვა პერსონაჟი ქალების ხმები, რომლებიც ბევრ რამეზე მიგვანიშნებენ; დუმილი მეტყველებად გადაიქცევა და ეს არის ერთგვარი ხერხი, მკითხველთა საკუთარი აზრების თანაზიარად ქცევისა.

ლიტერატურა:

1. აკუტაგავა რ., დიალოგი წყვილიაღში, თბ., „განათლება“, 1987.
2. გამრეკელი თ., ბიზანტიელ ქალთა სახეები კონსტანტინოს კავაფისის ლექსების - „ანა კომნენეს“ და „ანა დალასინის“ მიხედვით. *წელიწდეული ელინოლოგიასა და ლათინისტიკაში*, №8, თბ., „ლოგოსი“, 2022.
3. გამყრელიძე თ., შუმერული პოეზია (მთარგმნელი ნინო სამსონია), თბ., „უნივერსალი“, 2012.
4. გელაშვილი მ., ვირჯინია ვულფი და ფემინიზმი. *ქ. „ენა და კულტურა“*, ქუთაისი, 2023.
5. გორდუზიანი რ., ტონია ნ., ანტიკური ლიტერატურა (მეორე გამოცემა), თბ., „ლოგოსი“, 2007.
6. ვულფი ვ., ხელოვნების ბეწვის ხიდი. რჩეულთა ბიბლიოთეკა 42, ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება, თბ., „ჩვენი მწერლობა“, 2023.
7. ვულფი ვ., საკუთარი ოთახი. ფემინისტური ბიბლიოთეკა, თბ., „ფონდი ტასო“, 2007.
8. ყაუხჩიშვილი ს., ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტომი VI, თბ., „მეცნიერება“, 1966.
9. ჩხეიძე რ., ოთახი ზვირთებში. *ქ. „ჩვენი მწერლობა“*, №5 (83), თბ., 2009.
10. Gilbert Sandra M. and Susan Gubar. 2000 [1979]. *The Madwoman in the Attic – The Woman Writer and the Nineteenth-Century Literary Imagination*. Yale UP.
11. Gordeziani R., For the Universality of the Image of Medea in Euripides. *Proceedings of the International Conference "Medea in World Artistic Culture"*. Tbilisi, "Logos", p.p. 170-181. 2018.

Khatuna Burchuladze

From the history of the development of Women's literature:

topics, problems, concepts

Summary

The article discusses some issues of women's literature: its origins, first authors, themes and problems of works, etc. The first female authors (Enheduanna, Sappho, Anna Comnena) showed great interest in mythological and historical texts; In their works, the feminine nature is clearly felt, which is expressed in sensitivity to various issues; The above is clearly manifested in

relation to such universal human themes as, for example, love (Murasaki Shikibu). The rhetoric of the characters of female authors of antiquity and the Middle Ages is directed against criticism of the oppression of women, the vulgar, misogynistic attitude of male writers; thus, the authors encourage women to develop their skills to improve their lives.

Female authors speak out against the stereotypical thinking of society and stamped dogmas; however, this is done not through conversations about violence, but through double-layered texts. Outwardly, the works of women authors correspond to the taste of a patriarchal society, but with subtext – they critically talk about problems (Jane Austen, Emily and Charlotte Bronte...). One group of women authors stands out as feminist (eg Virginia Woolf), which is reflected in their thinking (even the titles of the essays indicate this). Female authors sometimes choose to remain silent, but this is accompanied by the voices of other female characters, which hint at many things; silence becomes speech and this is a way to get readers to share their thoughts.

Хатуна Бурчуладзе

Из истории развития женской литературы: темы, проблемы, концепты

Резюме

В статье рассматриваются некоторые вопросы женской литературы: ее истоки, первые авторы, тематика и проблематика произведений и т.д. Большой интерес к мифологическим и историческим текстам проявляли первые женщины-авторы (Энхедуанна, Сафо, Анна Комнина). В их произведениях явно чувствуется женская природа, которая выражается в чувствительности к различным вопросам. Вышеупомянутое отчетливо проявляется по отношению к таким общечеловеческим темам, как например, любовь (Мурасаки Сикибу). Риторика персонажей женщин-авторов античности и средневековья направлена против критики угнетения женщин, вульгарного, женоненавистнического отношения писателей-мужчин; таким образом, авторы призывают женщин развивать свои навыки, чтобы улучшить свою жизнь. Авторы-женщины выступают против стереотипного мышления общества, штампованных догм; однако это делается не через разговоры о насилии, а через двухслойные тексты.

Внешне произведения женщин-авторов соответствуют вкусу патриархального общества, но с подтекстом – они критически говорят о проблемах (Джейн Остин, Эмили и Шарлотта Бронте...). Одна группа женщин-авторов выделяется феминистским направлением (напр., Вирджиния Вульф), что отражается в их мышлении (на это указывают даже названия эссе). Авторы-женщины иногда предпочитают молчать, но это сопровождается голосами других женских персонажей, намекающих на многое; молчание превращается в речь, и это является способом заставить читателей поделиться своими мыслями.

დავით მამაიაშვილი
(საქართველო)

სიტყვა (ნასმსობა) „დატუსტვის“ ანალიზი

წინამდებარე სტატია არაა ცალსახად სამეცნიერო კვლევა მისი სრულყოფილი გაგებით, იგი უფრო სამეცნიერო მიდგომით გადმოცემული სამოტივაციო, საბაზისო წინასახეა. აღსანიშნავია, რომ სიტყვა „დატუსტვის“ გარჩევა სხვა მრავალ შესაბამის ნასესხობათა კრებითი სახეა, მათი მიმდებლობის მოტივაციის თვალსაზრისით, სადაც რამდენიმე ფაქტორი იკვეთება. ესენია: ტექნოლოგიური ნახტომი „სენსორულობის“ თვალსაზრისით (მისი ციფრული პერსპექტივითურთ), „გაიოლების ტენდენციის“ ადამიანური – ანთროპოლოგიური, კულტურული დაკვეთის ეპოქალური მოვლენა და დიდი რეგიონული მაშტაბის ფაქტორი – ზოგადი სიახლის მოლოდინი პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებისათვის (კერძოდ, საქართველოსთვის). შედეგადი კი მათით განპირობებული, კერძოდ და საზოგადოებრივი სახის კომპლექსური ფსიქოლოგიური მოტივაცია – კონკრეტული და მსგავს ნასესხობათა შესაბამისი დაინტერესებისა და მიმდებლობის თვალსაზრისით.

დატუსტვა (ტესტირება) – გასინჯვა, გამოცდა, შემოწმება
(იგულისხმება „მანქანური“, ტექნიკური საგნის)

ფაქტობრივი მაგალითისათვის: „რამდენიმე თვის წინ უნდა შემეძინა „მეორადი ხარისხის“ კომპიუტერი. საგარანტიო ფურცლის ნაცვლად თავად მემუშავებინა გადაბმულად 24 საათის განმავლობაში და ასე შემემოწმებინა მისი საგარანტიო ვარგისიანობა. შუამავალმაც ასე მითხრა: მე უკვე წავიდე და დატუსტე, შენც გირჩევ წაიდე სახლში და დატუსტეო“.

ეს ადამიანი საშუალო ფენას არ ეკუთვნის, უფრო დაბალ სოციალურ საფეხურზე დგას. როგორც ჩანს, მისთვის ეს სიტყვა უკვე საკმაოდ ორგანული და ყოფითია. ეს ადამიანი არაა მიწათმოქმედი, გლეხი რეგიონიდან, სოფლიდან. ტიპური ქალაქის მაცხოვრებელია, ურბანიზაციის პროდუქტი. მაგრამ იქაც, რეგიონებსა და სოფლებში, ასეთი „ხელოსანი“ სპეციალისტები: სატრანსპორტო მანქანის, კომპიუტერის, უსადენო ტელეფონის, ტელევიზორის, სხვა სახის მექანიკური და ციფრული მოწყობილობის მუშაკთა 50% მაინც იმავე სიტყვას იხმარს ასეთი პროფესიული ინტერესის საგნისადმი შემოწმების, საგარანტიო გამოცდის მნიშვნელობით.

2017 წლის დასაწყისია. ჩამოთვლილ სპეციფიკურ წრეებში (და „გარეშე“ პირებისთვისაც) ეს სიტყვა უკვე ნახევარ წელზე მეტია, რაც საკმაოდ აქტიურ მიმოქცევაშია და მათი ე.წ. „ოთხმოცი პროცენტისათვის“ (რვა მეათედისათვის) მაინც, იგი უკვე საკმაოდ ორგანულია. „გარეშე პირებში“ ვგულისხმობ ადამიანებს, ვისაც არაპროფესიული, მაგრამ ხშირი ან არახშირი კავშირი და შეხება აქვს კომპიუტერულ საგნებთან, მანქანებთან და მსგავსი სახის მოწყობილობასთან; ასევე – მოყვარულ ოპერატორებს, მემონტაჟეებს (მაგ.: ქორწილის, საჯარო სკოლათა „ბოლო ზარების“ და სხვ.), კრეატიულ ხელოვანებს, ხელოსნებს, ე. წ. ჩხირკედლებს;

მახსოვს, ზემოთ აღნიშნულ თარიღამდე 20-25 წლის წინ ამ სიტყვის ეტიმოლოგიური წინაპარი, შინაარსობრივი ფუძე შემოვიდა ფსიქოლოგიური ტესტის (კითხვარი) ჩაბარების მნიშვნელობით (ე.წ. 90-იან წლებში. თუმცა მაშინ იხმარებოდა სიტყვა – ტესტი. სამეცნიერო წრეებისათვის ორგანული ფუნქციური დანიშნულების გარდა, აღნიშნული სიტყვა ხალხში გაჩნდა/მომრავლდა, ძირითადად, ფსიქოლოგიური (მათ შორის გასართობი, მოღურის ხასიათის) და სხვა მსგავსი სახის ცნების მნიშვნელობით).

ითქმებოდა:

- ტესტი ჩავუტარე, ტესტი გაიარა.
- ტექნიკურ საგანთან დაკავშირებით კი: გაიარა ტესტირება.
- ამჟამად იმავე მნიშვნელობით გვხვდება: დაგტესტე (დატესტე, დასატესტია, დატესტილი...).

მოსაკვლევეია, რამდენად პოპულარულია იგი (რამდენადაა ხმარებაში) და აქედან რამდენად ორგანულია – სამეცნიერო-ტექნიკურ წრეებში (მაგ.: სამედიცინო ან საინჟინერო წრეებში. ტექნიკური ჩარხის, დანადგარის, მოწყობილობის – გამოცდის, შემოწმების თვალსაზრისით მოსახმარად).

* * *

მიმაჩნია, რომ ფუნქციური სიტყვა „დატესტეს“ არსებული სამომხმარებლო მანქანებით დამკვიდრება აღნიშნული ტიპის სიახლეებისადმი ჩვენი ხასიათის, არა პირდაპირი გაგებით სნობური, არამედ მიმდობი და გულუხვი კარდიაობის შედეგია. ეს გახლავთ ეთნილოგიური ფაქტორი და ამავე სპექტრში იგი არაა ექსკლუზივი. თუმცა, უპირველესად, იგი ფსიქოლოგიური ფენომენის – „სამყაროსთან გაიოლებული, მეტისმეტად გამარტივებულ ურთიერთობათა მიდრეკილება“ ინდივიდიუალური და საზოგადოებრივი თვალსაზრისით. უკანასკნელი აღნიშნული შეფასება კი საერთაშორისო, თანამედროვე, მეტ-ნაკლებად საერთო საკაცობრიო ტენდენციაა. ეს გახლავთ ანტროპოლოგიური/კულტურული ფაქტორი.¹⁴

თავის მხრივ, იგი განაპირობა ტექნოლოგიურმა ნახტომმა მომსახურებისა და მოხმარების თვალსაზრისით, სადაც გამოირჩევა ე.წ. „სენსორული სერვისი“ (სადაც სენსორული ეკრანი, მონიტორი - მასზე თითის ზედაპირული ფაქიზი შეხებით ანდა ხელის შეუხებლად, ასევე ვერბალური მონაცემებით, ანდა უესტიკულაციის მეშვეობით გთავაზობთ მოწყობლობის სრულ ფუნქციურ გამოყენებას, ანუ ასრულებს სამუშაოს).

ტესტირება – მისი სპეციფიკური დანიშნულებითი შინაარსის არსებული სახით აღმნიშვნელის შემოსვლისას და ამჟამადაც საჭიროა მექანიკური ტიპის და სენსორული საგნის, მოწყობილობასთან დაკავშირებით. მრავალ სხვა საგანთან დაკავშირებით ამ სიტყვის გამოყენება კი, ისევე გამაღიზიანებელია, როგორც მაგალითად, ამგვარი სი-

¹⁴ ცხადია „გაიოლების, იოლი ურთიერთობის ტენდენციაში“ უფრო ხისტი და ექსპრესიული გამონათქვამით: „გაიოლების ცდუნებაში“ – არ იგულისხმება კეთილგონივრული *სიმარტივის* სასარგებლო აუცილებლობის მოცემულობა და მისდამი სწრაფვის გამართლებული მცდელობები, არამედ ის შემთხვევა(ები), როდესაც ადამიანი ზოგადი თუ სიტუაციური მყოფობისა და კონკრეტული შედეგებისათვის საჭირო კონკრეტული, ფიზიკური/ბიოლოგიური და სხვა უნარებისა და ძალისხმევის კომპენსაციას ახდენს იმგვარი იოლი საშუალებითა და ფორმებით, რის გამოც შესაძლოა არასაკმარისად გამოიყენოს ადამიანის შესაფერისი პოტენცია და არასასურველად იმოქმედოს ადამიანის ზოგადი თუ შესაბამისი კონკრეტული განვითარება/დახვეწისა და შესაბამისი შედეგების სრულყოფის თვალსაზრისითაც პერსპექტივაში.

ტუაციის შემთხვევაში: წარმოვიდგინოთ, რომ მსურს მეორადი ავეჯის შექმნა, საძინებლის კომპლექსის შექმნა საწოლითურთ. იგი შედარებით ძვირადღირებულია ჩვენი ყოფისათვის და პატრონებმა, ამის გათვალისწინებით, მომცეს წინასწარ მისი შემოწმების უფლება და ამ მიზნით მითხრას: წაიღე და დატესტეო. ანუ, მომავალში რომ დაიტესტოს ავეჯი, ლოგინი, ტანსაცმელი. თუმცა, თუ ეს მოხდება, ალბათ ამის რეალური მიზეზი იქნება იგივე, რაც ამჟამინდელი „დატესტეს“ გარკვეულწილად დამკვიდრების მიზეზია. ესაა ადამიანთა ბუნებით, ყოფით ცხოვრებაში მომრავლება და საკმაოდ უშუალო ურთიერთობაში შემოსვლა სენსორულ მოხმარებაზე (პერსპექტივაში მაინც) გათვლილი საგან-მოწყობილობებისა და მათი შესაძლებლობათა გამოყენებისა, როგორცაა: პირველ რიგში, კომპიუტერი და მაღალტექნოლოგიური კომპიუტერული თამაშები (ეს უკანასკნელი, ჩემი აზრით, განსაკუთრებით „ხვეწავს“ ადამიანის სამყაროსთან სენსორული ურთიერთობის სურვილსა და უნარებს). პლუს მობილური ტელეფონები, „პლანშეტები“, დისტანციური მართვის პულტები, სათვალთვალო კამერები, საჯარო სივრცის საინფორმაციო დაფები, საგადასახადო ბანკომატები, დისტანციურად მართვადი ძრავები და სხვა ტექნიკურ-სენსორული მანქანები, ასევე მსგავსი გამოყენების საოჯახო საყოფაცხოვრებო საგნები: მაღალფუნქციური სარეცხი მანქანები, წვეწარსაწურები, ტორშერები, გათბობისა თუ გაგრილების კონდენციონერები, ელექტრონული თვითნამრთველები და გამომრთველები, საგანგაშო დამცავი სასიგნალო პულტები, სენსორული პირველადი მოხმარების საგნები, ე. წ. „ჰკვიანი ელექტრო-მექანიკური ყოფითი მოხმარების ნივთები“ და სხვა მსგავსი ტექნიკურ-სენსორულ მოწყობილობები და მექანიზმები, რომლებიც, როგორც ვთქვით, მჭიდრო და, თითქმის, უშუალო კავშირში არსებობენ ადამიანთა საყოფაცხოვრებო ყოველდღიურობაში, ადმინისტრაციულ დისციპლინაში, სამედიცინო, სამხედრო, საგანმანათლებლო, საჯარო და სხვა სფეროებში და სადაც ადგილის დამკვიდრებას, ასევე, აპირებს ჰოლოგრამული პროექციის ტიპის ახალი ეპოქალური მოდელირებული შეთავაზების სერვისი. ხოლო თავად სენსორული ბაზარი – როგორც მოვლენა, ამ შემთხვევაში როგორც ადამიანის ურთიერთობის სურვილის, ქცევითი უნარისა და მიდგომის სახეცვლილი, ფორმირებული თავისებურება, ჩვენი ეპოქის ანთროპოლოგიური სახის დაკვეთა მისი აღწერილი პრაქტიკული გამოხატულებით: წერტილოვანი (ან ტალღური) ზედაპირული შეხებით (ან შეუხებლად) ორმხრივი საპასუხო (ჯაჭვური) რეაქციის პროცესი, ინდივიდის დანარჩენ სამყაროსთან ურთიერთობის ამგვარი საშუალება – როგორც ზევით აღვნიშნეთ, წარმოადგენს ადამიანში განვითარებულ, ეპოქალურად ახალ თვისებას და იგი მიდრეკილია გაიოლებული და მიმდინარეობს ურთიერთობისაკენ! მიდრეკილება – ურთიერთობათა საშუალებებსა და ფორმებზე ექსკლუზივის ფლობის ამბიციის მქონე ახალ და ახალ უცნობ ტექნიკურ/ტექნოლოგიურ სიახლეებისადმი, და თავად ამ უშუალოდ სენსორულ პროცესებთან – გახდა გაცილებით უფრო ახლო და „შინაურული“. ძალიან ახლოს მოვიდა აქამდე არსებული, თავისი შედარებით დისტანციური მდგომარეობიდან ადამიანთა ყოველდღიურ ყოფითობასთან და მის შინაგან ორგანულობასთანაც. შეგახსენებთ, რომ აღწერილი ტექნიკური ფორმა არ გულისხმობს მხოლოდ ტექნიკურ სერვისთან წვდომის საშუალებას: იგი ადამიანებს შორის ურთიერთობის ფორმა/საშუალებაცაა, მაგალითად, დისტანციური სივრცის ანულირების თვალსაზრისით, იოლი სენსორული მანიპულაციით ტრანსპორტირებას გავუკეთებთ არათუ საგანს, არამედ შედეგად გადაადგილდება თვით ადამიანიც. მთლიანობაში, სენსორული და მისგან გრადაციული თუ

მოდულიკაციური ციფრული რეალობა უფრო მეტად ანაცვლებს გარე სამყაროსთან ურთიერთობის აქამდე არსებულ საშუალებებს.

საგანთან ადამიანის ურთიერთობა ხდება სხვადასხვა კუთხითა და მეტ-ნაკლები ინტერესით, გამომდინარე მისი საჭიროების, ფუნქციის, კონკრეტული სიტუაციისა და სხვა გარემოებათა მიხედვით. ურთიერთობის პროცესში საგნისადმი დაინტერესება გარკვეული პირობებითაა განპირობებული.

10. Heejung S. K., Smaranda I. L., Culture and Motivation. In: Dohen and Kitayama: *Handbook of Cultural Psychology*. The Guilford Press, New York. 2019, pp. 268-291.
file:///C:/Users/bartalorsolya/Downloads/KimLawrie2019.pdf
11. Hidasi J., Interkulturális kommunikáció. Scolar kiadó, Budapest, 2004, pp. 167.
12. Higgins E. T., Beyond pleasure and pain. *American Psychologist*, 52, 1997, pp. 1280-1300.
13. Higgins E. T., Promotion and prevention Regulatory focus as a motivational principle. In: M. P. Zanna (Ed): *Advances in experimental social psychology* (Vol. 30). Academic Press, New York, 1998, pp.1-46.
14. Hofstede G., Culture's consequences: International differences in work-related values. Sage, Beverly Hills, CA, 1980, pp. 476.
15. Hofstede G., Cultures and Organizations: Software of the Mind. HarperCollins Publisher, London, 1994, pp. 279.
16. Hofstede G. and Michael H. Bond, Hofstede's Culture Dimensions: An Independent Validation Using Rokeach's Value Survey. *Journal of Cross-Cultural Psychology* 15.4, 1984, pp. 417-433.
17. Hoppe F., Erfolg and Misserfolg. *Psychologische Forschung*, 14, 1930, pp. 1-62.
18. Ильин Е. П., Мотивация и мотивы. СПб., Питер, 2002, 512 с.

19. Kenrick D. T., Griskevicius V., Neuberg S. L. & Schaller M., Renovating the pyramid of needs: Contemporary extensions built upon ancient foundations. *Perspectives on Psychological Science*, 5(3), 2010, pp. 292-314.
20. Kukorelli K., *Kommunikációs készségfejlesztés 1.* Dunakavics, DUF PRESS, Dunaujváros, 2015, pp. 89.
21. Lewin K., *Field theory in social science: Selected theoretical papers.* NY: Harper, New York, 1951. In: Bányai É. & Varga K., *Affektív pszichológia – az emberi késztetések és érzelmek világa.* Budapest, 2014, pp. 640.
22. Maslow A. H., A theory of human motivation, *Psychological Review* 1943/50. évf. 4. szám o., 1943, pp. 370-396.
23. Maslow A. H., *Motivation and personality.* Harper & Row, New York, 1970, pp. 394.
24. McClelland D. C., *The Achieving Society.* The Macmillen Company: Free Press, New York, 1961, 512.
25. Мак-Клелланд Д., *Мотивация человека /Д.Мак-Клелланд. Изд-во СПб, Питер, 2007, 667 с.*
26. Мюррей Г., *Исследование личности.* Логос, М., 2001, 234 с.
27. Попкова Т. Д., *Культурологический компонент учебного процесса в обучении китайских студентов / Т. Д. Попкова // Филология в XXI веке №1(13), 2024, 76-85 с.*
28. Рамендик М. Д., *Тренинг личностного роста: Учебное пособие.* Форум ИНФРА-М, Москва, 2007, 176 с.
29. Scheller D. S., Neighborhood hierarchy of needs. *Journal of Urban Affairs*, 38 (3), 2016, pp. 429-449.
30. Tang T. L. P. & West W. B., The importance of human needs during peacetime, retrospective peacetime, and the Persian Gulf War. *International Journal of Stress Management*, 4 (1), 1997, pp. 47-62.
31. Tesser A., Toward a self-evaluation maintenance model of social behavior. In: L. Berkowitz (Ed.): *Advances in experimental social psychology (Vol.21).* Academic Press, New York, 1988, pp.181-227
32. Triandis H. C., Bontempo R., Villareal M. J., Asai M. & Lucca N., Individualism and collectivism: Cross-cultural perspectives on self-ingroup relationships. *Journal of Personality and Social Psychology*, 54, 1988, pp. 323-338.
33. Trompenaars F., Hampden-Turner Ch., *Riding the Waves of Culture: Understanding Diversity in Global Business*, 2nd ed., McGraw Hill, New York, 1998, pp.274.
34. Wahba M. A. & Bridwell L. G., Maslow reconsidered: A review of research on the need hierarchy theory. *Organizational Behavior and Human Performance*, 15(2), 1976, pp. 212-240.
35. Zalenski R. J. & Raspa R., Maslow's hierarchy of needs: A framework for achieving human potential in hospice. *Journal of Palliative Medicine* 9(5), 2006, pp.1120-1127.
36. Yamagishi T., The structure of trust. An evolutionary game of mind and society. *Hokkaido Behavioral Science Report*, NO, SP-13, 2002, pp. 157.

research test

NEED FOR ACHIEVEMENT SCALE / RATING SCALE OF NEEDS IN ACHIEVEMENT

Dear Student,

I am Katalin Kukorelli a lecturer at the University of Dunaújváros and I am asking you to support communication research. The purpose of this test is to determine your level of need for achievement. There are two possible answers to the statements: "yes" or "no." Don't think too long about the statements, the first thing that comes to mind is probably your actual reaction.

The questionnaire is anonymous and takes 15-20 minutes.

Thank you in advance!

Before you take the test, enter, please, your four demographic characteristics:

Your nationality: _____

Your age: _____

Your gender: _____

Your major and study year: _____

Judgments

- | | | |
|--|-----|----|
| 1. I think that success in life depends more on chance than on calculation. | yes | no |
| 2. If I lose my favorite activity, life will lose meaning. | yes | no |
| 3. For me, what is more important in any task is not its execution, but the result. | yes | no |
| 4. I think that people suffer more from failures at work than from bad relationships with loved ones. | yes | no |
| 5. In my opinion, most people live with distant goals, not with near ones. | yes | no |
| 6. In my life, I have had more successes than failures. | | |
| 7. I like emotional people more than active ones. | yes | no |
| 8. Even in ordinary work, I try to improve some elements of it. | yes | no |
| 9. Absorbed in thoughts of success, I can forget about precautions. | yes | no |
| 10. My loved ones think I'm lazy. | yes | no |
| 11. I think that circumstances rather than myself are to blame for my failures. | yes | no |
| 12. I have more patience than abilities. | yes | no |
| 13. My parents controlled me too strictly. | yes | no |
| 14. Laziness, and no doubt about success, force me too often to refuse my intentions. | yes | no |
| 15. I think that I am a confident person. | yes | no |
| 16. I can take risks for success, even if the chances are slim. | yes | no |
| 17. I am a diligent person. | yes | no |
| 18. When everything goes smoothly, my energy increases. | yes | no |
| 19. If I were a journalist, I would rather write about original inventions of people than about incidents. | yes | no |
| 20. My loved ones usually do not share my plans. | yes | no |
| 21. The level of my requirements for life is lower than those of my comrades. | yes | no |

22. It seems to me that I have more persistence than abilities.

yes no

When calculating the result, the initial sum is considered equal to 0. For each answer that matches the key, 1 point is added to the sum.

Key:

- answer yes to questions 2, 6, 7, 8, 10, 14, 16, 18, 19, 21, 22.
- answer no to questions 1, 3, 4, 5, 9, 11, 12, 13, 15, 17, 20.

Unlike other questionnaire tests, the scale of needs for achievement has norms, so a specific result can be assessed using the following table:

	Level of achievement motivation		
	short	average	high
Total points	2-9, 10, 11	12, 13, 14, 15	16, 17, 18, 19

**კატალინ კუკორელი, ტატიანა პოპკოვა, ორსოლია ბარტალი, შანდორ ციფრა
უნგრელი და ჩინელი სტუდენტების წარმატების მიღწევის დონე
(გარე და შიდა მოტივაცია)
რუზიუმე**

ადამიანის მოთხოვნილებების იდეა მომდინარეობს ფ. პოპკოდან (1930). მისი თეორიის თანახმად, უნდა გვესმოდეს, რომ ადამიანის მისწრაფება, მიაღწიოს მაღალ შედეგებს, განპირობებულია თვითშემეცნების მაღალი ხარისხით, ხოლო ადამიანის საქმიანობის წარმატება დამოკიდებულია პიროვნების მიზნების მიღწევის მოტივებზე, თვითშეფასებასა და თვითშემეცნებაზე. რა თქმა უნდა, ადამიანი აცნობიერებს თავის ფასეულობებს, საჭიროებებსა და მაჩვენებლებს, რადგან მას მუდმივად აფასებენ მისი მაჩვენებლებით; მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ისიც განსჯის სხვებს მათი მაჩვენებლების მიხედვით.

ეს ფაქტორი დიდწილად განსაზღვრავს ადამიანის დამოკიდებულებას წარმატებისა და წარუმატებლობის მიმართ. ამრიგად, ადამიანი მოქმედებს გარკვეული მიზნის მისაღწევად და მის ყველა მოქმედებას ამოძრავებს მოტივაცია, წახალისება და მიზანსწრაფვა (Barkóczy-Putnoky). მეტი წარმატების სურვილი და მისი მიღწევის მოტივაცია დიდწილად ფორმირდება გარემოსა და სოციალური ფონით და არის მისი გავლენის ქვეშ. სტატიაში ავტორები იკვლევენ, არის თუ არა რაიმე განსხვავება სქესებს შორის ამ მოტივაციასთან დაკავშირებით და მეორეც, არის თუ არა რაიმე განსხვავება ერებს შორის მოტივაციის ფაქტორთან მიმართებით, მაგალითად, გავლენას ახდენს თუ არა კულტურა მოტივაციაზე.

Каталин Кукорелли, Татьяна Попкова, Орсоля Бартал, Шандор Цифра
Уровень успеваемости венгерских и китайских студентов
(внешняя и внутренняя мотивация)

Резюме

Идея человеческих потребностей исходит от Ф. Хоппе (1930). Согласно его теории, мы должны понимать, что стремление человека к большим результатам обусловлено высокой степенью самосознания, а успешность деятельности человека зависит от мотивов достижения целей, от самооценки и самопознания личности. Конечно, человек осознает свои ценности, потребности и показатели, поскольку его постоянно оценивают по его показателям, но нельзя забывать, что он также судит других по их результатам.

Этот фактор во многом определяет отношение человека к успеху и неудаче. Таким образом, человек действует, чтобы достичь какой-то цели, и все его действия обусловлены мотивацией, поощрением и стремлением (Barkóczy-Putnoky). Желание большего успеха и мотивация его достижения в значительной степени формируются и находятся под влиянием окружающей среды и социального происхождения. В статье авторы исследуют, существуют ли какие-либо различия между полами относительно этой мотивации и, во-вторых, есть ли какие-либо различия между нациями относительно фактора мотивации, например, влияет ли культура на мотивацию.

გელა ცაავა
(საქართველო)

ქალის სტატუსის ისტორიული ასპექტები აფხაზურ საზოგადოებაში

ეფიქრობთ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ როგორ შეიცვალა ქალების სოციალური მდგომარეობა აფხაზეთში სხვადასხვა ისტორიულ ეტაპებზე, რაც შესაძლებელს გახდის უკეთ გავიგოთ აფხაზური საზოგადოების სოციო-კულტურული ტრანსფორმაციის დინამიკა.

აფხაზთა ტრადიციულ კულტურაში, ისევე როგორც კავკასიის სხვა მრავალი ხალხის მსგავსად, უძველესი დროიდან ქალებს, განსაკუთრებით დედებს დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ. ყველაზე ავტორიტეტულ ქალებს ჰქონდათ ხმის მიცემის უფლება არა მხოლოდ ოჯახში, არამედ საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც: კერძოდ, ისინი საუბრობდნენ ხალხმრავალ ეროვნულ შეხვედრებზე.

საგულისხმოა, რომ აფხაზურ საზოგადოებაში ქალის შეურაცხყოფა სისხლის შეურაცხყოფას უდრიდა. ქალის თანდასწრებით უხამსი გამონათქვამები, ან ჩხუბი აბსოლუტურად დაუშვებელი იყო და ამავედროულად, მამაკაცის მხრიდან ქალზე შურისძიება უღირსად ითვლებოდა.

აფხაზეთში მეომარი მხარეების შერიგებაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა ქალს, რომელსაც თავისი ბუნებრივი და სოციალური სტატუსის გამოყენებით შეეძლო ჩარეულიყო კონფლიქტში და წვლილი შეეტანა მის მოგვარებაში¹⁵.

საგულისხმოა, რომ აფხაზეთში არსებობდა ქორწინების მიზნით გოგონების გატაცების პრაქტიკა. პატარძლის იძულებით გატაცების შემთხვევაში გამტაცებელი ჯერ საგულდაგულოდ მაღავედა მის ადგილსამყოფელს (გოგონას სადმე ტყეში გადამალვით, მოგვიანებით კი – სპეციალურად ამ მიზნით აშენებულ ქოხში მოთავსებით).

უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური, ასაკობრივი და სხვა განსხვავებები აფხაზ ქალთა საზოგადოებაში არსებობდა და ნაწილობრივ კვლავაც არსებობს. დღემდე, ზოგიერთ ოჯახში, რომლებიც იცავენ ქვევის ტრადიციულ ნორმებს, რძალს არ აქვს უფლება ისაუბროს ასაკით უფროს წევრებთან, განსაკუთრებით მამასთან. მათი თანდასწრებით, იგი უნდა მოიქცეს ფრთხილად და მშვიდად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, უნდა ვაღიაროთ, რომ არ არსებობს საფუძველი ცალსახად იმის მტკიცებისა, რომ აფხაზეთში ქალს ამცირებდნენ. აფხაზურ ფოლკლორსა და ლიტერატურაში ქალს ხშირად აღწერენ, როგორც ერთგვარ იდეალს.

აფხაზური „აფსუარას“¹⁶ ქვევის მორალური და ეთიკური ნორმების ერთობლიობა, რომელიც ჩამოყალიბდა ეთნოსის განვითარების ხანგრძლივი ისტორიული პროცესის

¹⁵ სხვა კავკასიური საზოგადოებისგან განსხვავებით, აფხაზი ქალი ყოველთვის თავისუფალი იყო ცხოვრების პარტნიორის არჩევაში. მშობლებსა თუ ნათესავებს, როგორც წესი, არ შეეძლოთ და არც ცდილობდნენ აეშულებინათ იგი არასასურველი ქორწინებისთვის.

¹⁶ აფხაზური ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების კრებული, რომელიც რამდენიმე საუკუნის წინ შეიქმნა, რომლის შესახებ ცნობებს გვაწვდის ცნობილი აფხაზი ეთნოლოგი შალვა ინალ-ივა.

გამო, გულისხმობს ქალისადმი პატივისცემის დამოკიდებულებას. თუმცა, პატრიარქალური ტრადიციები, რამაც გამოიწვია ყველანაირი ტაბუ და შეზღუდვა, გარკვეულწილად თრგუნავდა ქალის პიროვნებას, ზღუდავდა მის ინიციატივას.¹⁷

საგულისხმოა, რომ წარსულში აფხაზი ქალი მიწას მემკვიდრეობით ვერ იღებდა და მის პირად საკუთრებად ითვლებოდა მხოლოდ ის, რასაც მზითვად იღებდა. მიუხედავად ყველა პრივილეგიისა, „ხანდაზმულ“ ქალსაც კი არ შეეძლო, ქმრის თანხმობის გარეშე, რაიმე გაეყიდა ან ეყიდა. ეს უდავოდ ადასტურებს გენდერულ უთანასწორობას ტრადიციულ აფხაზურ წეს-ჩვეულებაში.

აღსანიშნავია, რომ აფხაზურ საზოგადოებაში, გოგონას ადრეული ასაკიდანვე ასწავლიან, რომ უნდა იყოს ჩუმი და მორჩილად, აკეთოს საოჯახო საქმეები და ემსახუროს საყვარელ ადამიანებს. აფხაზები მიდრეკილნი არიან აღზარდონ კარგი დიასახლისები და დახელოვნებული ქალები.

აქვე უნდა განვაცხადოთ, რომ აფხაზეთი, დამახასიათებელი თავისებური და ზოგჯერ არქაული ტრადიციებით, საკმაოდ ინტერესს იწვევს ისტორიკოსების, კულტუროლოგებისა და ეთნოლოგებისთვის. შემთხვევითი არ არის, რომ გამოჩენილმა რუსმა მწერალმა კონსტანტინე პაუსტოვსკიმ „გასაოცარი“ უწოდა რთულ და მრავალფეროვან აფხაზურ ცხოვრებას, რომელიც ნაწილობრივ არის შემონახული დღემდე.

როგორც აფხაზური ცხოვრების ბევრმა ექსპერტმა ხაზგასმით აღნიშნა, აფხაზ ქალს შეეძლო ემოქმედა სასამართლოში, დაეცვა საკუთარი ან ახლობლების ინტერესები. განსაკუთრებით მაღალი სტატუსი ჰქონდათ პრივილეგირებული კლასების აფხაზ ქალებს: ისინი კაცებთან ერთად მონაწილეობდნენ საზოგადოებრივ საქმეებში, ზოგჯერ შეიარაღებული რაზმების ხელმძღვანელობითაც კი, მონაწილეობდნენ სამარ მოქმედებებში.

ქართველი ისტორიკოსი კონსტანტინე მაჭავარიანი აღნიშნავს, რომ აფხაზი ქალები გახლდათ „სამაგალითო მხედრები, როგორც მათი ქმრები – ისინი, გარკვეულწილად, უშიშარი და მამაცი ამორძალები იყვნენ“.¹⁸

როგორც სხვა მკვლევარები აღნიშნავენ, გამოცდილებითა და სიბრძნით განთქმული ყველაზე ავტორიტეტული ქალები მონაწილეობდნენ სახალხო შეკრებებში, სოფლისა და ქალაქის შეხვედრებში, სასამართლო განხილვებში და ყოველთვის ჰქონდათ ამ ღონისძიებებზე ხმის მიცემის უფლება.

გამოჩენილი აფხაზი ისტორიკოსი, ეთნოლოგი და ლიტერატურათმცოდნე შალვა ინალ-იფა თავის ნაშრომებში დიდ ყურადღებას აქცევდა ქალის პოზიციას აფხაზურ საზოგადოებაში. მან აღნიშნა, რომ ქალი საკმაოდ მაღალი პრესტიჟითა და პატივისცემით სარგებლობდა; იგი დაცული იყო მძიმე ფიზიკური შრომისა და ზედმეტი მუშაობისგან. გარდა ამისა, დაქვრივებულ ქალს ან ოჯახს, რომელშიც ზრდასრული მამაკაცი არ იყო, მეზობლები ეხმარებოდნენ, სანამ ბავშვები არ გაიზრდებოდნენ.¹⁹

¹⁷ მიუხედავად ქალისადმი პატივისცემისა, ის მაინც, უპირველეს ყოვლისა, სახლში დედად ითვლებოდა.

¹⁸ ასევე ცნობილია, რომ 1931 წელს აფხაზთა ისტორიულ დურიფშთა ეროვნულ შეკრებაზე, სამასი ქალიდან, ექვსს მიეცა გამოსვლის საშუალება.

¹⁹ ბევრ ისტორიულ და ფოლკლორულ ეპიზოდში აფხაზი ქალი მოქმედებს არა მხოლოდ როგორც კერის მცველი და თავისი საგარეულოს გამგრძელებელი, არამედ როგორც სამშობლოს დამცველი და მომრიგებელი სხვადასხვა კონფლიქტებში.

ცნობილი აფხაზი ეთნოლოგი მარინა ბარციცი ასახელებს სამ ძირითად პრინციპს, რომლებსაც აფხაზური კულტურა ემყარება – უფროსებისადმი პატივისცემა, ქალის პატივისცემა და სტუმართმოყვარეობა ოჯახში.

ბარციცი აქვე დარწმუნებულია, რომ ქალები არ იყვნენ უძლური (უმწეო) არსებები და მათი ქმრები იშვიათად მიმართავდნენ ძალადობას ან გინებას. ის, ვინც ძალადობას იყენებდა ან თავს უფლებას აძლევდა ქალისადმი უპატივცემულობა გამოეხატა, საჯარო დაგმობას ექვემდებარებოდა.

აფხაზეთში ქორწინება განიხილებოდა არა მხოლოდ როგორც ორი ცალკეული პიროვნების დამაკავშირებელი აქტი, არამედ როგორც ორი ოჯახის დაკავშირება და, შესაბამისად, არ განიხილებოდა მეუღლეების ექსკლუზიურად პირადი ცხოვრება [1, 732]

ზოგიერთ მოგზაურს, ქალის პატივისცემის მტკიცებულების მაგალითად მოჰყავს აფხაზური ანდაზა: „კარგი ძალი ქალს არ დაუყვებს“. ტრადიციის თანახმად, თუ ქმრები ცემასა და ღანძლვას მიმართავდნენ, ეს ეწინააღმდეგებოდა „აფსუარას“ მორალურ და ეთიკურ კოდებს და იგი დასაგმობი გახდებოდა.

აფხაზი ეთნოლოგის ვალერი ბიგუას თქმით, რძალს განსაკუთრებული ადგილი ეკავა ტრადიციულ აფხაზურ ოჯახში. მას გარკვეული სიფრთხილითა და უფრო დიდი ტაქტით ეპყრობოდნენ, განსაკუთრებით უმცროსს, როგორც ოჯახის ახალ წევრს, რომელმაც ჯერ ვერ მოახერხა უჩვეულო ცხოვრების წესთან შეგუება.²⁰

აფხაზი ისტორიკოსი ლარისა სმირი აღნიშნავს, რომ მძიმე ეკონომიკური ტვირთის მიუხედავად, აფხაზები ცდილობდნენ ქალის დაცვას ზედმეტი შრომისგან. აფხაზურ კულტურაში აშკარა იყო საქმიანობის სქესის (როლის) მიხედვით დაყოფა. სახლში უფროსი, ჩვეულებრივ, ოჯახის მამა, „საგარეო პოლიტიკის“ საქმეებს ხელმძღვანელობდა, ერთ-ერთი ვაჟი მიწის დამუშავებას აწარმოებდა, მეორე მესაქონლეობას ეწეოდა, მესამე კი სამხედრო სპორტულ საქმიანობას ახორციელებდა.

აფხაზი ეთნოლოგის მარინა ბარციცის თქმით, მამაკაცურობა და მებრძოლობა ტრადიციული აფხაზური კულტურისა და ყოველდღიური ცხოვრების ძირითადი კომპონენტებია. მისივე განცხადებით, შემთხვევითი არ არის, რომ ბიჭის დაბადება, როგორც წესი, აფხაზებს ბევრად უფრო ახარებდათ, ვიდრე გოგოსი. ეს ნაწილობრივ იმიტომაც არის განპირობებული, რომ ქალიშვილს მშობლები ოჯახის დროებით წევრად თვლიდნენ, სანამ არ გათხოვდებოდა და ქმართან გადავიდოდა.²¹

აფხაზებს ახასიათებდათ პატრიარქალური სტრუქტურა გენდერული როლის ფუნქციების მკაფიო იდენტიფიკაციით. ამრიგად, მამაკაცი წარმოადგენდა ოჯახის ინტერესებს სოციალურ დონეზე, ევალუბოდა მას ურთიერთობა სხვა სოციალურ ჯგუფებთან, ხოლო ქალების აქტიური მოღვაწეობის სფერო შეზღუდული იყო ოჯახური პასუხისმგებლობებით. მიუხედავად ამისა, ტრადიციული აფხაზური საზოგადოება ხასიათდებოდა ქალის მიმართ პატივისცემის ნორმების არსებობით [4].

მე-20 საუკუნის 30-იან წლებში, როდესაც სსრკ-ში ინტენსიურად მიმდინარეობდა კოლექტივიზაციის პროცესი, აფხაზეთის ქალებმა დაიწყეს მუშაობა ჩაისა და თამბა-

²⁰ ქმრის ახლობლები რძალთან მიმართებაში თავისუფლები არ იყვნენ, მაგრამ ქალი, თავის მხრივ, თავაზიანი და დამხმარე უნდა ყოფილიყო მათთვის და განსაკუთრებით ოჯახის უფროსი წევრების მიმართ.

²¹ ამას მოწმობს აფხაზური გამონათქვამი „სახლში ქალიშვილი სტუმარია“. ოჯახის მემკვიდრედ ვაჟი ითვლებოდა. ეს ყველაფერი მოწმობს პატრიარქალური ტრადიციების სტაბილურობას როგორც აფხაზეთში, ისე მთლიანად კავკასიაში.

ქოს პლანტაციებზე. თანდათან კოლმეურნეობებში ძირითადი სამუშაო ძალა სუსტი სქესის წარმომადგენლები ხდებოდნენ. ისინი ხშირად ხდებოდნენ აგრონომები, ბრიგადირები და და სხვ. გარდა ამისა, ბევრმა ქალმა დაიწყო მუშაობა ქარხნებში. ქალების მუშაობა განსაკუთრებით მოთხოვნადი იყო დიდი სამამულო ომის დროს (1941-45 წ.წ.), როდესაც ბევრი მამაკაცი წავიდა ფრონტზე.

პარალელურად ქალები აგრძელებდნენ ოჯახური მოვალეობების შესრულებას – შვილების აღზრდას, სახლის დალაგებას, საჭმლის მომზადებას და სხვ. ამ ყველაფერმა გაართულა ქალების ცხოვრება და განაპირობა ის, რომ ზოგიერთი ოჯახის ტრადიცია არც ისე მკაცრად იყო დაცული²².

აფხაზი ისტორიკოსის ალექსანდრე საბეკიას განცხადებით, შეიცვალა პასუხისმგებლობების განაწილების პროცესი დედამთილსა და რძალს შორის, ზოგ შემთხვევაში – ცოლ-ქმარს შორის. მაგალითად, სეზონზე ქალები მუშაობენ სანატორიუმებში და ა. შ. [5, 201-207] რუსი ეთნოლოგის, ლიუბოვ სოლოვიოვას განცხადებით, აფხაზეთის სოფლად, ოჯახში ყველაზე თანმიმდევრულად ვლინდება ტრადიციული საფუძვლები [6].

საბჭოთა პერიოდში ქალებს კარიერის გაკეთების ცოტა მეტი შესაძლებლობა ჰქონდათ. საბჭოთა აფხაზეთში ყოველთვის პრესტიჟულად ითვლებოდა გოგოს უმაღლესი განათლების მიღება. ნაწილობრივ, ეს ითვლებოდა წარმატებული ქორწინების წინაპირობად. პოტენციურ პატარძლებს შორის განსაკუთრებით პოპულარული იყო ექიმებისა და მასწავლებლების დიპლომები.

ამის გამო საბჭოთა პერიოდში, ისევე როგორც დღემდე, ბევრი ქალია, რომელსაც ტრადიციულად უმაღლესი განათლება აქვს აფხაზეთში – საერთო რაოდენობის დაახლოებით ნახევარი. ბევრმა ქალმა დაამთავრა საშუალო სპეციალური და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები. აფხაზეთის უნივერსიტეტების სტუდენტებს შორის, როგორც საბჭოთა პერიოდში, ისე დღემდე, დაახლოებით ნახევარი გოგონაა, რომელთა ნაწილი მოგვიანებით ხდება კანდიდატი და მეცნიერებათა დოქტორი.²³

საბჭოთა პერიოდში სულ უფრო მეტი ქალი ხდებოდა მასწავლებელი, ჟურნალისტი, ექიმი, იურისტი და ა. შ. ეს საშუალებას აძლევდა ქალებს წარმოეჩინათ საკუთარი თავი და მიეღწიათ გარკვეული წარმატებებისთვის იმ სფეროებში, სადაც მამაკაცები განსაკუთრებით არ ცდილობდნენ დამკვიდრებას – სოფლის მეურნეობის სექტორში, ტექსტილში, ტანსაცმელში, კვების მრეწველობაში, განათლებაში, მედიცინაში და ა. შ.

როგორც ცნობილია სსრკ-ში, არსებობდა არაოფიციალური კვოტირების სისტემა, რის გამოც ქალები წარმოდგენილნი იყვნენ საკანონმდებლო შტოში და ზოგჯერ მინისტრის პოსტებს იკავებდნენ. საბჭოთა წლებში აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დაახლოებით 30-40% ქალი იყო. ესენი იყვნენ ძირითადად ჩაისა და თამბაქოს მწარმოებლები, მუშები და ინტელიგენციის წარმომადგენლები.²⁴

²² თუ რძალს სამსახურში წასვლა სჭირდებოდა, შვილებს დედამთილი, რძალი ან სხვა ქალები უვლიდნენ.

²³ ამასთან, არც ერთი ქალი რექტორი ან სამეცნიერო კვლევის ინსტიტუტის დირექტორი არ ყოფილა და არც არის.

²⁴ საბჭოთა აფხაზეთის ისტორიაში არაერთმა ავტორიტეტულმა და განათლებულმა ქალმა დატოვა თავისი ნათელი კვალი. მაგალითად, სარია ლაკობა, რომელსაც ფაზილ ისკანდერი ახასიათებდა, როგორც აფხაზეთის უდიდეს ქალს, იყო გამორჩენილი აფხაზი პოლიტიკური მოღვაწის ნესტორ ლაკობას ცოლი და თანამოაზრე.

„აფხაზეთის განვითარების ცენტრის“ თანამშრომელი ასიდა ადღეიბა აღნიშნავს, რომ აფხაზეთში ქალები საკმაოდ აქტიურები არიან. თუმცა, როდესაც დგება საკითხი ძალაუფლებაში წინსვლის შესახებ, ისინი თავს იკავებენ. ეს, მისი თქმით, შესაძლოა იმიტომ ხდება, რომ „რესპუბლიკაში პოლიტიკური ბრძოლა ძალიან ინტენსიურია და ქალებს არ სურთ მასში ჩართვა“ [2]. „აფხაზეთის ქალთა ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარეს“, აფხაზ საზოგადო მოღვაწეს ნათელა აკაბას მიანიცხვება, რომ აფხაზეთში ჯერ კიდევ ჭარბობს გენდერული სტერეოტიპები და პატრიარქალური ტრადიციები. მისივე თქმით, ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის არის, რომ აფხაზეთი ჯერ კიდევ იზოლირებული და ნაწილობრივ აღიარებული „ქვეყანაა“. შესაბამისად, იგი საჭიროდ არ მიიჩნევს გენდერული თანასწორობის სფეროში საერთაშორისო სტანდარტების დაცვას, რაც მისივე მოსაზრებით, გარკვეულ პრობლემებს ქმნის [3].

დაბოლოს, შეიძლება ითქვას, რომ აფხაზეთში ძალაუფლების სტრუქტურებში ქალთა წარმომადგენლობის დაბალი დონის მიუხედავად, ქალებს შესაძინევი გავლენა აქვთ ე. წ. საჯარო სფეროში, სადაც მათი ხმა ყველაზე მეტად ისმის. აღნიშნულმა ფაქტორმა გარკვეულწილად შეიძლება გავლენა იქონიოს გადაწყვეტილების მიღების პროცესზე, ე. წ. სახელმწიფო და პოლიტიკურ დონეზე.

ლიტერატურა:

1. Агуажба Р. Х., Ачугба Т. А., Абхазия и Абхазы в российской периодике (XIX – нач. XX вв.). Книга II. Сухум, 2008.
2. Гогорян А., Что решают женщины в Абхазии? Февраль 28, 2020. ხელმისაწვდომია: <https://www.ekhokavkaza.com/a/30460415.html>
3. Гогорян А., Акаба Нателла: «В Абхазии понятие «гендер» люди абсолютно не так понимают». Март 08, 2021. ხელმისაწვდომია: <https://www.ekhokavkaza.com/a/31140168.html>
4. Глушаченко С. Б., Багапш М. А. «Правовое положение абхазской женщины в брачно-семейных отношениях по нормам обычного права». Северо-Западный институт управления РАНХиГС, Санкт-Петербург, Российская Федерация. Российский государственный педагогический университет имени А. И. Герцена, Санкт-Петербург, Российская Федерация. 2023. ხელმისაწვდომია: <https://cyberleninka.ru/article/n/pravovoe-polozhenie-abhazskoy-zhenschiny-v-brachno-semeynyh-otnosheniyah-po-normam-obychnogo-prava/viewer>
5. Сабекия А. Ю., Матющенко Л. Г., Традиции и обычаи России и Абхазии // Человеческий капитал как фактор инновационного развития общества. Сборник статей Международной научно-практической конференции. Уфа, 2022.
6. Соловьева Л. Т., «Семейные и фамильные традиции в современной Абхазии» // Соловьева Л.Т. Современная сельская Абхазия. Сб. статей. М., 2006.

Gela Tsaava
Historical Aspects of Women's Status in Abkhazian Society
Summary

It is particularly important to determine how the social status of women in Abkhazia has changed at different stages, which will make it possible to better understand the dynamics of the sociocultural transformation of Abkhazian society.

The issue will make it possible to better understand the dynamics of the sociocultural transformation of Abkhazian society. In the traditional culture of the Abkhazians, as well as many other peoples of the Caucasus, women, and especially mothers, have been treated with great respect since ancient times.

The most authoritative women had the right to vote not only in the family, but also in public life. Unlike other Caucasian societies, Abkhaz women have always been free to choose their life partner. It should be noted that social, age, and other differences existed and partially still exist in Abkhazian women's society. There are quite a few female leaders among civil society activists, whose voices are listened to by both government and public representatives.

Гела Цаава
Исторические аспекты положения женщины в абхазском обществе
Резюме

Социальный статус женщин Абхазии менялся на разных этапах. Вопросы, затронутые в статье, позволят лучше понять динамику социокультурной трансформации абхазского общества. В традиционной культуре абхазов, как и многих других народов Кавказа, к женщине и особенно матерям издревле относились с большим уважением.

Следует отметить, что социальные, возрастные и другие различия существовали в абхазском женском обществе и частично существуют до сих пор. В целом, в абхазском обществе девочек с раннего возраста приучали быть тихими и послушными, заниматься домашними делами и служить близким.

Самые авторитетные женщины имели право голоса не только в семье, но и в общественной жизни. В отличие от других кавказских обществ, абхазские женщины всегда были свободны в выборе спутника жизни.

Как подчеркивали многие знатоки абхазской жизни, абхазская женщина могла выступать в суде, защищать свои интересы или интересы своих родственников. Среди гражданских активисток довольно много женщин-лидеров, к голосу которых прислушиваются как власти, так и представители общественности.

ასმათ გუგავა
(საქართველო)

**მხარდაჭერის მიმღები პირის ინსტიტუტის რეპულირება სამოქალაქო
კანონმდებლობის მიხედვით**

სამართალი, როგორც ცნობიერების ერთ-ერთი ძირითადი ფორმა, დინამიკურია და განვითარებადი. იგი იცვლება ყოფიერების ცვლილების კვალობაზე და დროის მოთხოვნათა შესაბამისად, საჭიროებს კოლერაცია-დახვეწას. მნიშვნელოვნად გაფართოვდა საქართველოში პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის შესახებ ევროპული კონვენციების მოქმედების ფარგლები და სახელმწიფოს დააკისრა განსაზღვრული ვალდებულებები, აღნიშნულის შესრულებასთან დაკავშირებით, რაც გულისხმობს საქართველოს კანონმდებლობის და კანონგამოყენებითი პრაქტიკის ევროსაბჭოს სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას.

მხედველობაში გვაქვს სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი – პირთა სამართალსუბიექტობა. კერძოდ, ქმედუნარიანობასთან დაკავშირებული მოდელი. პირთა სამართალსუბიექტობა ანუ უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები ყოველთვის წარმოადგენს იურისტების განსჯისა და კვლევის საგანს. ქმედუნარიანობა პირის სამოქალაქო უფლება-მოვალეობების შექმნისა და განხორციელების მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს, რამდენადაც სწორედ მასზეა დამოკიდებული ადამიანის სამოქალაქო უფლებების დაცვა და მისი განხორციელების შესაძლებლობა.

საქართველოში სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებისთანავე არსებობდა ქმედუნარიანობის მოდელი, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირის ნების სრული ჩანაცვლება მეურვით და ქმედუნაროდ აღიარება ართმევდა პირს შესაძლებლობას, თავისი შეხედულებისამებრ განეხორციელებინა სამოქალაქო უფლება ან მოვალეობა.

ჩვენს ქვეყანაში არსებული ქმედუნარიანობის სისტემა არ იყო შესაბამისობაში საერთაშორისო სამართლის ნორმებთან და მას, რა თქმა უნდა, არაფერი ჰქონდა საერთო, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციასთან“, რომელიც საქართველოს მიერ რატიფიცირებული იქნა 2013 წლის 26 დეკემბერს.

2012 წლის 27 ივნისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელით მოთხოვნილ იქნა პირის ქმედუნაროდ აღიარების და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობა. საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილებულ იქნა და არაკონსტიტუციურად აღიარდა სამართლის ის ნორმები, რომლებიც არეგულირებდა პირის ქმედუნაროდ აღიარების პროცედურას და მის თანმდევ სამართლებრივ შედეგებს.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, საქართველოს პარლამენტმა ქმედუნარიანობის მიმართულებით კანონმდებლობაში განახორცი-

ელა მასშტაბური ცვლილებები, რომლებიც ჩვენი აზრით, უდავოდ, პოზიტიურია და მორგებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებზე. ცვლილებების შესაბამისად, აღარ არსებობს ქმედუნარობის ცნება და იგი ჩანაცვლებულია ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირის ცნებით (შემდგომ – მხარდაჭერის მიმღები). მნიშვნელოვანი მონაპოვარია ისიც, რომ ასეთი სტატუსის მქონე პირები კანონმდებლობით ქმედუნარიანად იქნენ აღიარებული.

მიღებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა კიდევ უფრო მეტი აქტუალობა შესძინა ქმედუნარიანობას და მასთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებს. ცვლილებები შეეხო არა მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსს, არამედ, მასთან ერთად, სხვა საკანონმდებლო აქტებსაც, რომლებიც არეგულირებდა შშმ პირებთან მიმართებით, ამა თუ იმ სამართლებრივ საკითხებს. არც თუ ისე მარტივი აღმოჩნდა წლების განმავლობაში არსებული ქმედუნარობის მოდელის ჩანაცვლება და კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების პრაქტიკაში დანერგვა. გარდამავალ პერიოდში გამოიკვეთა მხარდაჭერის ინსტიტუტთან არსებული უამრავი საკანონმდებლო თუ პრაქტიკული ხარვეზი, რისი განხილვა და გამოვლენაც წარმოადგენს ჩვენს მიზანს.

2015 წელს კოდექსში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, სიახლეს წარმოადგენს ის, რომ ნორმა ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირს აღიარებს ქმედუნარიანად. ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი ანუ პირი, რომელსაც აქვს ფსიქიკური, გონებრივი ან/და ინტელექტუალური დარღვევები, სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში მიიჩნევა ქმედუნარიანად, ანუ სუბიექტად, რომელსაც შეუძლია თავისი ნებითა და მოქმედებით განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები.

სამოქალაქო კანონმდებლობაში ქმედუნარიანობის მიმართულებით განხორციელებულმა მასშტაბურმა ცვლილებებმა დატოვა მხოლოდ ერთადერთი შემთხვევა პირის ქმედუნარობასთან მიმართებით და აღნიშნული დაუკავშირა პირის ასაკს, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, 7 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი (მცირეწლოვანი) ქმედუნაროდ ითვლება. მაშასადამე, რეფორმირებული მოდელი აღარ ითვალისწინებს პირის ფსიქიკური, გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევების გამო მის ქმედუნარობას ან ქმედუნარიანობის შეზღუდვას.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს აქვს სრული სამართალუნარიანობა. თუმცა შშმ პირთა ჯგუფი დღემდე რჩება იმ ჯგუფად, რომელთანაც სამართალუნარიანობა ყველაზე მეტად არის უარყოფილი. სამართლის წინაშე თანასწორად აღიარების უფლება გულისხმობს, რომ სამართალუნარიანობა არის პირის თანდაყოლილი უნივერსალური უფლება და შშმ პირების უნივერსალური თანდაყოლილი მონაცემები უნდა იქნეს დაცული სხვებთან თანასწორ პირობებში, ამას ერთი მარტივი მიზეზი აქვს – ისინი არიან ადამიანები. სამართალუნარიანობის გარეშე შეუძლებელი იქნება სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების განხორციელება. შშმ პირთა მიერ ამ უფლებებით სარგებლობის აუცილებლობა დგება მაშინ, როდესაც საკითხი ეხება მათ ჯანმრთელობას, განათლებასა თუ სამსახურს. ამ პირთა მიმართ სამართალუნარიანობის უფლების უარყოფამ გამოიწვია მათთვის ფუნდამენტური უფლებების ჩამორთმევა.

2015 წელს სამოქალაქო კოდექსში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი აღიარებულია ქმედუნარიან პირად. ტერმინი „ფსი-

ქოსოციალური საჭიროების მქონე პირი“ მოიაზრებს სამ ძირითად კომპონენტს, რომელთაგან ერთ-ერთის არსებობა გამორიცხავს პირის ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირად (მხარდაჭერის მიმღებად) აღიარებას.

კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად განისაზღვრა არა მხოლოდ განცხადების შეტანაზე უფლებამოსილი, არამედ განცხადების შეტანაზე ვალდებულ პირთა წრე.

„ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია მიმართოს სასამართლოს პაციენტის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის და მისთვის მხარდაჭერის დაწესების მოთხოვნით, თუ ექიმ-ფსიქიატრთა კომისია მიიჩნევს, რომ პაციენტს აქვს მყარი ფსიქიკური, გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევები, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში.

მნიშვნელოვანად მიგვაჩნია ის სამართლებრივი გარემოება, რომ კანონმდებელმა განცხადების შეტანის უფლებამოსილება მიანიჭა, აგრეთვე, სპეციალიზირებულ დაწესებულებებს, რომლებიც ხშირ შემთხვევაში, არიან სათემო დაწესებულებები, სადაც ცხოვრების დიდ ნაწილს ატარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და იქ მომუშავე სპეციალისტების საშუალებით, ფაქტობრივად, ყოველდღიურად ახორციელებენ შშმ პირების მეთვალყურეობას, მზრუნველობასა და მხარდაჭერას.

სამოქალაქო კოდექსის 1283-ე მუხლის მიხედვით განისაზღვრა, თუ ვინ უნდა დაინიშნოს მხარდამჭერად და უნდა დაერთოს დოკუმენტები, რომლითაც დასტურდება, რომ განმცხადებელი არის სრულწლოვანი, არ არის მხარდაჭერის მიმღებად ცნობილი, არ აქვს მშობლის უფლება ჩამორთმეული ან შეზღუდული და არ არის მხარდამჭერის მოვალეობისაგან განთავისუფლებული მისი არაჯეროვანი შესრულების გამო. ასევე, ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, იგივე ფორმა N100. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ საჭიროა როგორც მხარდაჭერის მიმღებად საცნობი პირის, ასევე მხარდამჭერის მოვალეობის შესრულების შემთხვევაშიც. ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობაში გარკვევით უნდა ეწეროს მხარდაჭერის მიმღებად საცნობი პირის დიაგნოზი. ასევე, საჭიროა მხარდამჭერი პირის ნარკოლოგიური, ფსიქოლოგიური და ნასამართლეობის ცნობა.

დაცვა სახელმწიფოს ხარჯზე, ანუ სავალდებულო დაცვის განხორციელება. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363-19-ე მუხლის შესაბამისად, „პირს, რომლის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საკითხიც განიხილება, უნდა ყავდეს ადვოკატი“, რომელსაც ახორციელებენ სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები სამოქალაქო-ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით. გამომდინარე იქედან, რომ მხარდაჭერის მიმღებ პირს შესაძლოა ჰქონდეს მყარი ფსიქიკური, გონებრივი ან ინტელექტუალური დარღვევები, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მისი მხარდაჭერა განახორციელოს კეთილსინდისიერმა პირმა, რომლის მთავარი მიზანი იქნება პირის უფლებების დაცვა და არა პირადი ინტერესების შესაბამისი ქმედების განხორციელება“. იმისთვის, რომ შერჩეული იქნეს სათანადო მხარდამჭერი და საქმის განხილვის მიმდინარეობისას დაცული იყოს მხარდაჭერის მიმღებად საცნობი პირის საპროცესო უფლება-მოვალეობები, 2015 წლის შემდგომ სახელმწიფომ გაითვალისწინა მათი სავალდებულო დაცვა, რაც უდავოდ პოზიტიური ცვლილებაა.

მხარდამჭერის პასუხისმგებლობა მხარდაჭერის განხორციელების პროცესში.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვა და ამ პროცესში მათთვის მხარდაჭერა მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობის საკითხია. ამ მიმართულებით კანონმდებელმა მხარდამჭერს განუსაზღვრა არაერთი ვალდებულება, ხოლო მისი დარღვევის შემთხვევაში, გაითვალისწინა გარკვეული სახის სანქციებიც.

საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით განმარტა, რომ არ შეიძლება პირის ქმედუნარიანობასთან დაკავშირებით მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება იყოს სამუდამო და არ ექვემდებარებოდეს გადასინჯვას. „მხარდამჭერი ვალდებულია სასამართლოს დაუყოვნებლივ მიმართოს შუამდგომლობით მხარდაჭერის ფარგლების შეცვლის/მხარდაჭერის გაუქმების შესახებ, თუ აღარ არსებობს ან შეიცვალა ის საფუძველი, რომლის გამოც მხარდაჭერის მიმღებს მხარდაჭერა დაუწესდა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მხარდაჭერის მიმღებმა ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ უკვე მიმართა სასამართლოს“.

საარჩევნო უფლებებიდან გამომდინარე, მხარდაჭერის ინსტიტუტთან მიმართებით, განსხვავებული მიდგომებია დამკვიდრებული საარჩევნო პრაქტიკაში და კანონმდებლობაში.

ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმამდე მოქმედი კანონმდებლობა გამორიცხავდა ქმედუნარო პირების მხრიდან აქტიური თუ პასიური საარჩევნო უფლების განხორციელების შესაძლებლობას, რაც პირდაპირ ქმედუნარობის სტატუსს უკავშირდებოდა და საარჩევნო უფლების ბლანკეტურ შეზღუდვას წარმოადგენდა. სისტემის გარდაქმნის შემდეგ შეიცვალა მიდგომა საარჩევნო უფლების რეალიზაციის თვალსაზრისით, რამდენადაც გაუქმდა არჩევნებში მონაწილეობის სტატუსზე დაფუძნებული შეზღუდვა, გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის 29-ე მუხლი, რომელიც ეხება შშმ პირთა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლებას, განსაზღვრავს, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოლიტიკური უფლებები და ამ უფლებებით სარგებლობის თანაბარი შესაძლებლობები.

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, თანაბარი სამართალსუბიექტურობის უფლების აღიარებით, სახელმწიფოს აკისრებს ყველასთვის ხელმისაწვდომი საარჩევნო გარემოს შექმნის ვალდებულებას. სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა განსხვავებულად აწესრიგებს ქმედუნარიანობასთან დაკავშირებით საარჩევნო უფლების რეალიზების საკითხებს. კონვენციის წევრი ქვეყნების მიერ ამგვარი არჩევანის გაკეთება უკავშირდება მათ მიერ ქმედუნარიანობის ინსტიტუტის რეგულირების მოქმედ მოდელს ან მისი გადახედვის პროცესს. არსებობს სამი ძირითადი მიდგომა: პირველი გულისხმობს პოლიტიკური მონაწილეობის სრულ და ბლანკეტურ აკრძალვას; მეორე გულისხმობს პოლიტიკური მონაწილეობის ნაწილობრივ შეზღუდვას, პირის ინდივიდუალური შეფასებიდან გამომდინარე; მესამე მიდგომა კი უშვებს პოლიტიკური მონაწილეობის უფლების სრულფასოვან რეალიზებას. ამ უკანასკნელის მაგალითები ავსტრია, ფინეთი, ჰოლანდია, ესპანეთი, შვედეთი, დიდი ბრიტანეთი, ირლანდია, საფრანგეთი და იტალიაა. აღნიშნულ ქვეყნებში კონსტიტუციურ დონეზეა განმტკიცებული ყველა პირისათვის სრული პოლიტიკური მონაწილეობის უფლება.

საქართველოში კი, დღეს მოქმედი საარჩევნო კოდექსი არჩევნებში, რეფერენდუმსა და პლემბისციტში მონაწილეობას უზღუდავს მხარდაჭერის მიმღებ პირს, რომელიც მოთავსებულია სტაციონარულ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში. თავის მხრივ საქართველოს საარჩევნო კოდექსი ასეთი შეზღუდვის საფუძვლად მიუთითებს „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომელიც ეხება მხარდაჭერის მიმღებ პირებს იმ კუთხით, როცა მათი მოთავსება ხდება სტაციონალურ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში.

ქორწინების და მშობლის უფლება. ინსტიტუტის რეფორმამდე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1120-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, პირს ჩამორთმეული ჰქონდა ქორწინების უფლება. კანონი არ უშვებდა არანაირ გამოწვევას შემთხვევას. ქმედუნაროდ აღიარებული პირის ქორწინებაში შეცდომით გატარების შემთხვევაში კი, ასეთი ქორწინება აუცილებლად ბათილი იყო. შშმ პირთა ქორწინება აღიარებული და დაცულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებათა კონვენციით, რომლის 23-ე მუხლი განამტკიცებს მათ უფლებას და ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, რათა აღმოფხვრან შშმ პირთა დისკრიმინაცია ქორწინებასთან, ოჯახურ ცხოვრებასთან, მშობლის ფუნქციებთან და პირად ურთიერთობებთან დაკავშირებულ საკითხებში; ასევე, ქორწინების ასაკში მყოფი შშმ პირთა უფლებას დაქორწინდნენ და შექმნან საკუთარი ოჯახი ორივე მეუღლის თავისუფალი ნების გამოვლენის საფუძველზე.

რეფორმის შედეგად მიღებული მოდელი აუქმებს ქორწინების აკრძალვას და მხარდაჭერის მიმღებად ცნობილი პირების ქორწინებას, სპეციფიკურ სამართლებრივ რეგულაციას უქვემდებარებს და განსხვავებულად აწესრიგებს ამგვარი გარიგების თანმდევ შედეგებს. ქორწინების, როგორც უფლების განხორციელების შესაძლებლობა დამოკიდებულია სამოქალაქო ხელშეკრულების – საქორწინო კონტრაქტის დადებაზე, რომელიც იძლევა შესაძლებლობას, მეუღლეებმა კანონისაგან განსხვავებულად მოაწესრიგონ ქორწინების პერიოდში ან ქორწინებამდე შეძენილი ქონების განკარგვის, ასევე მისი განაწილების და სხვა საკითხები“.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1172-ე მუხლის მიხედვით, „საქორწინო ხელშეკრულება ქორწინების რეგისტრაციამდე უნდა დაიდოს, თუ ერთ-ერთი მეუღლე მხარდაჭერის მიმღებია. საქორწინო ხელშეკრულების დადების პროცესში აუცილებელია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, აგრეთვე, მხარდამჭერის ჩაბმა იმ ნაწილში, რომელიც განსაზღვრულია სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებით. მხარდაჭერის მიმღებთან დადებული საქორწინო ხელშეკრულების შესრულებისას მხარდამჭერის მიერ თავისი მოვალეობების განხორციელებაზე ზედამხედველობისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს. ხოლო თუ საქორწინო ხელშეკრულება მხარდამჭერსა და მხარდაჭერის მიმღებს შორის იდება, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო მხარდაჭერის მიმღებს მისი დადების პროცესში დროებით მხარდამჭერად მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლებამოსილ პირს უნიშნავს.

გარდა ქორწინებისა, ქმედუნარიანობის ინსტიტუტის რეფორმამდელი მოდელით, სასამართლოს გადაწყვეტილება პირის ქმედუნაროდ ცნობასთან დაკავშირებით ავტომატურად იწვევდა მისი, როგორც მშობლის ყველა უფლებების და მოვალეობების

ჩამორთმევას, მეტიც, პირის ქმედუუნაროდ ცნობა მისი შვილებისთვის მეურვედ დანიშნვის პირდაპირ სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა.

ქმედუუნაროდ აღიარებული პირების პირადი და ოჯახური ცხოვრების მარეგულირებელი ნორმები ვერ უზრუნველყოფდა მათი მინიმალური რეალიზების გარანტიებსაც კი. პირისათვის სასამართლოს მიერ ქმედუუნარობის სტატუსის მინიჭება, ავტომატურად იწვევდა მის გამორიცხვას ქორწინების უფლების განხორციელებისა და მშობლის უფლების რეალიზების შესაძლებლობისაგან. არსებული კანონმდებლობა მშობლის ქმედუუნაროდ ცნობას პირდაპირ უკავშირებდა შვილის გაშვილებისა და მინდობით აღზრდის პროცედურის დაწყებას.

ევროპის ქვეყნების უმეტესობა ქმედუუნარო პირის ქორწინებისთვის არ ადგენს არანაირ დამაბრკოლებელ ღონისძიებებს, იშვიათად კი მეურვის (მხარდამჭერის) თანხმობას საკმარისად მიიჩნევს. ქართულ საკანონმდებლო სივრცეში მხარდაჭერის მიმდების მიერ დაქორწინებისას ქორწინების ხელშეკრულების დადების იმპერატიული მოთხოვნით კანონმდებელმა მაქსიმალურად დაიცვა მხარდაჭერის მიმდების ინტერესები, თუმცა, ჩვეუნი აზრით, მხარდამჭერის თანხმობა მხარდაჭერის მიმდების ქორწინებაზე არაფრის მომცემი ნოვაციაა საქორწინო ხელშეკრულების არსებობის ფონზე.

ქმედუუნარიანობის ინსტიტუტის რეფორმამდე არსებული მოდელი გამორიცხავდა ქმედუუნაროდ ცნობილი პირის მიერ სამოქალაქო გარიგებების, მათ შორის, წვრილმანი საყოფაცხოვრებო გარიგებების დადების შესაძლებლობას. რეფორმამდელი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 58-ე მუხლის თანახმად, „ქმედუუნარო პირები კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებში არ მონაწილეობენ. მათ მიერ დადებული ნებისმიერი გარიგება, ასევე მათ მიერ ან მათ მიმართ გამოვლენილი ნება უცილოდ ბათილია“.

სამოქალაქო სამართალი არ იცავდა იმ პირებს, რომლებმაც დადეს ხელშეკრულება ქმედუუნარო პირთან. აქედან გამომდინარე, ქმედუუნარო პირთან დადებული გარიგება უცილოდ ბათილ გარიგებას განეკუთვნება და იგი დადების მომენტიდან ბათილია. მაშასადამე, ქმედუუნარო პირთან დადებული გარიგება არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს“.

არსებული კანონმდებლობით, სასამართლოს მიერ მხარდაჭერის საჭიროების დადგენის შემთხვევაში, გარიგების დადებისათვის აუცილებელია პირს გაეწიოს მხარდაჭერა, რომელიც გულისხმობს გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას მხარდაჭერის მიმდებისათვის გასაგები საკომუნიკაციო ფორმით. სამოქალაქო კანონმდებლობას, გარიგებებთან კავშირში, შემოაქვს ორი სპეციფიკური რეგულაცია.

მოქმედი კანონმდებლობით, მხარდამჭერი ვალდებულია, მხარდაჭერის მიმდების მიერ გარიგების დადებისას, დაეხმაროს მას გარიგების პირობების და სამართლებრივი შედეგების სრულყოფილად აღქმაში თუ ეს სასამართლოს გადაწყვეტილებით არის განსაზღვრული.

რეფორმამდე არსებული მოდელისაგან განსხვავებით, მოქმედი კოდექსით, მხარდაჭერის მიმდები პირის მიერ დადებული გარიგება იმთავითვე აღარ არის ბათილი. იგი საცილო გარიგებების კატეგორიას მიეკუთვნება, ამასთან, მხარდაჭერის გარეშე დადებული გარიგების ნამდვილობა დამოკიდებული ხდება მხარდამჭერის მოწონებაზე ან თანხმობაზე. ასევე, ასეთი გარიგება ნამდვილია, თუ იგი სარგებლის მომტანია მხარისათვის. გარდა ამისა, მოქმედმა სამოქალაქო კოდექსმა მხარდაჭერის მიმდები პირების

მიერ წერილობით დადებული გარიგებების ნამდვილობის მიმართ ახალი დამატებითი პირობა – მხარდამჭერის ხელმოწერა გაითვალისწინა, რაც თავის მხრივ, ხელშეკრულების მხარდაჭერის მონაწილეობით დადებისა და ორივე მხარისათვის მისი ნამდვილობის გარანტიაა“.

მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უფლება განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციით, რომლის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს“.

მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უფლება ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისათვის კონვენციით გარანტირებულ უფლებას წარმოადგენს განურჩევლად პირის სტატუსისა. შშმ პირთა უფლებების კონვენციის მე-13 მუხლი განსაზღვრავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უფლებას; კონვენციის თანახმად, წვერი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის მართლმსაჯულების ეფექტურ ხელმისაწვდომობას, სხვებთან თანაბარ პირობებში, ყველა სამართალწარმოებაში, გამოძიებასა და სხვა წინასწარი სტადიის ჩათვლით, მათ შორის, მათი მოწმის სტატუსით მონაწილეობას.

ქმედუნარიანობის ინსტიტუტის რეფორმამდელი მოდელი დაუშვებლად მიიჩნევა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას. სასამართლოსადმი მიმართვის უფლების შელახვით, ასევე, ილახებოდა მათი სხვა ფუნდამენტური უფლებები, რომელთა დაცვა და აღდგენა სასამართლოს პრეროგატივაა. ქმედუნარო პირებისათვის მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა მთლიანად დამოკიდებული იყო სხვა პირის ნებაზე.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „ვინაიდან ქმედუნაროდ აღიარებულ პირს არ გააჩნია ქმედუნარიანობის აღდგენის მოთხოვნით სასამართლოსათვის მიმართვის უფლება, იგი ხდება სრული მოცულობით დამოკიდებული დაინტერესებული პირების ნებაზე, რომელიც შეიძლება იყოს მეურვე ან ოჯახის წევრი, ან შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების წარმომადგენელი.“

ინსტიტუტის რეფორმის შემდეგ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შეტანილ იქნა ცვლილება და კოდექსს დაემატა შემდეგი შინაარსის 451 მუხლი, რომელიც სასამართლოს მიერ ქმედუნაროდ ცნობილ პირს, მის ინდივიდუალურ შეფასებამდე არ უზღუდავს სასამართლოსათვის მიმართვის უფლებას. სასამართლოს მიერ ქმედუნაროდ ცნობილი პირი ითვლება ქმედუნარო პირად მის ინდივიდუალურ შეფასებამდე. „რეფორმის ფარგლებში, მხარდაჭერის მოდელის კანონმდებლობაში ასახვით შეიცვალა სასამართლოსათვის მიმართვის უფლების მოწესრიგება. მისი განხორციელება მთლიანად დაეფუძნა პირის ინდივიდუალური უნარებისა და შესაძლებლობების შეფასების ხედვას და შესაბამისი მხარდაჭერითი მექანიზმის დანერგვით დამოუკიდებლად განხორციელების იდეას. გარდა ამისა, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობამ, გარკვეული ხარვეზებით, თუმცა, მაინც გაითვალისწინა პირის მონაწილეობის შესაძლებლობა სასამართლო პროცესში, რომელიც მისი მხარდაჭერის საჭიროების განსაზღვრას შეეხება“.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები რჩებიან იმ კატეგორიად, რომელთა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უფლება ყველაზე ხშირად არის უარყოფი-

ლი, რაც მათ უფლებებს ორმაგად არღვევს, ერთი მხრივ, მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უფლების განხორციელების შეზღუდვა არღვევს თვითონ ამ უფლებას და, მეორე მხრივ, ყველა იმ უფლებას, რომელთა აღდგენის მიზნით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს სასამართლოსთვის უნდა მიემართა. „სამართალუნარიანობა“ არის ყველა პირის თანდაყოლილი უნივერსალური უფლება და როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ შშმ პირთა უფლებების დაცვაზე, პირველ რიგში, მათ ამ უფლებების დაცვის და აღდგენის გზა არ უნდა წავართვათ, რაც, უდავოდ, მნიშვნელოვანი ჩანაწერია გარდამავალ პერიოდში შშმ პირთა უფლებების შეზღუდვის დასაცავად.

მხარდამჭერის ინსტიტუტის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება სასამართლო გადაწყვეტილებებს, რადგან სწორედ იგი ქმნის ერთგვაროვან პრაქტიკას და აყალიბებს საკითხისადმი (ინსტიტუტისადმი) მიდგომას. ერთია საკანონმდებლო რეფორმა, ხოლო მის შემდგომ, უფრო მნიშვნელოვან ეტაპს იმპლემენტაცია წარმოადგენს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, სრულიად ახალი ინსტიტუტის შექმნამ გამოიწვია საზოგადოებაში და, ასევე, სახელმწიფო ინსტიტუტებში განსხვავებული მიდგომის ჩამოყალიბება. სწორედ ამ დროს საერთო სასამართლოების პასუხისმგებლობის საკითხს წარმოადგენდა და წარმოადგენს ქმედუნარიანობის სისტემასთან დაკავშირებით სწორი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბება. პრაქტიკის, რომელიც უპასუხებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებათა კონვენციას, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილების მოთხოვნებს.

2015 წლის აპრილში ქმედუნარიანობის მიმართულებით საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული მასშტაბური ცვლილებები პოზიტიურად უნდა შეფასდეს, რამეთუ იგი მნიშვნელოვნად აუმჯობესებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებრივ მდგომარეობას. თუმცა, ვფიქრობთ, ამ მიმართულებით კანონმდებლობაში დღესაც არსებობს ხარვეზები, რომლებიც გამოსწორებას საჭიროებს.

1. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ დღეს მოქმედი რედაქციით, პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საქმისწარმოება არ არის უდავოდ წარმოება. იგი დამოუკიდებელი არასასარჩელო წარმოების სახეა, რომელმაც გაითვალისწინა მხარდაჭერის მიმღებად საცნობი პირის პროცესში სავალდებულო მონაწილეობისა და სავალდებულო დაცვის გარანტიები. მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით, საქმისწარმოება იწყება მხარდაჭერის მიმღებად საცნობი პირის, მისი ოჯახის წევრის, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, კანონიერი წარმომადგენლის ან ფსიქიატრიული სპეციალიზირებული დაწესებულების განცხადების საფუძველზე. მართალია, ტექნიკურად, პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობა აღარ მიეკუთვნება უდავოდ წარმოების წესით განსახილველ საქმეებს, თუმცა იგი არასასარჩელო წარმოების წესების დაცვით მიმდინარეობს და ვერ უზრუნველყოფს მხარდაჭერის მიმღებად საცნობი პირის სრულყოფილი მონაწილეობის შესაძლებლობას, რამდენადაც არ ითვალისწინებს სასარჩელო წარმოების წესით საქმის განხილვის შესაძლებლობას, ამგვარი საჭიროების შემთხვევაში.

2. კანონმდებლობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სამართლებრივი ხარვეზი ეხება განცხადების შეტანაზე და დროებითი მხარდაჭერის განხორციელებაზე უფლებამოსილ პირებს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 36314-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შესახებ განცხადება

სასამართლოში შეიძლება შეიტანოს ამ პირმა, მისმა ოჯახის წევრმა, მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა, მეურვეობის და მზრუნველობის ორგანომ, ფსიქიატრიულმა ან სპეციალიზებულმა დაწესებულებამ“. ამავე კოდექსის 36317-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „დროებითი მხარდამჭერი შეიძლება იყოს პირის ოჯახის წევრი, ნათესავი, ახლობელი ან სპეციალისტი“. მაშასადამე, კანონმდებელმა გაითვალისწინა ის გარემოება, რომ დროებითი მხარდაჭერა შესაძლოა განახორციელოს მხარდაჭერის მიმღებელ საცნობი პირის ახლობელმა, მაშინ როდესაც ახლობელს არ მიანიჭა ასეთი განცხადების სასამართლოში შეტანის უფლებამოსილება. კანონის ამგვარი ფორმულირება ქმნის პრაქტიკაში სერიოზულ პრობლემებს, რამეთუ შშმ პირებს ზოგ შემთხვევაში არ ყავთ არავინ გარდა ახლობლებისა, რომელთაც სურთ განახორციელონ მისი დროებითი მხარდაჭერა, მაგრამ ვერ ახერხებენ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზიდან გამომდინარე.

ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმის შემდეგ კანონმდებელმა გაითვალისწინა სფეროები, რომლებშიც პირს შეიძლება დაენიშნოს მხარდამჭერი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 36315-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, „პირს მხარდაჭერა შეიძლება დაენიშნოს შრომითი საქმიანობის, წვრილმანი გარიგების დადების, სამეწარმეო საქმიანობის, უძრავი ქონების მართვის/განკარგვის, საცხოვრებელი ადგილის განსახლების, მკურნალობაზე თანხმობის გამოხატვის, მისთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით და სხვა უფლებებისა და მოვალეობების განსახორციელებლად, რომლებსაც სასამართლო ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე განსაზღვრავს“.

ამდენად, კანონმდებელმა გაითვალისწინა სფეროები, რომლებშიც პირს მხარდაჭერა შეიძლება დაუწესდეს, ხოლო არ გაითვალისწინა და რეგულირების გარეშე დატოვა სფეროები, რომლებშიც არ შეიძლება მხარდამჭერის დანიშვნა. საერთო სასამართლოების მიერ მიღებულმა ცალკეულმა გადაწყვეტილებებმა აჩვენა, რომ პირს ზოგჯერ მხარდაჭერა უწესდება გამოხატვისა და რწმენის თავისუფლებაში. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ აღნიშნულ უფლებებში მისი ხასიათიდან გამომდინარე ჩარევა რაიმე ფორმით დაუშვებელია. შესაბამისად, პრაქტიკა ცხადყოფს, რომ საჭიროა აღნიშნული საკითხის საკანონმდებლო დონეზე გაწერა და დარეგულირება.

ლიტერატურა:

ნორმატიული მასალა

1. საქართველოს კონსტიტუცია.
2. საქართველოს ორგანული კანონი „შრომის კოდექსი“.
3. საქართველოს ორგანული კანონი „საარჩევნო კოდექსი“.
4. საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“.
5. საქართველოს „სამოქალაქო კოდექსი“.
6. საქართველოს „სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“.
7. საქართველოს კანონი „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“.
8. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“.
10. საქართველოს კანონი „ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების შესახებ“.

11. გაეროს „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია“ (მიღებულია 2006 წლის 13 დეკემბერს, ძალაშია 2008 წლის 3 მაისიდან), მ. 13.

სამეცნიერო ლიტერატურა

1. შენგელია რ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, თბ., 2000.
2. ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011.
3. ზოიძე ბ., კორძია თ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბ., 2017.
4. გვიშიანი ლ., ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმისა და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი. EMC თბ., 2016.
5. ეუაშვილი ლ., სადისერტაციო ნაშრომი „მხარდაჭერის მიმღები პირის ინსტიტუტი“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2017.
6. საქართველოს სახალხო დამცველი, კვლევის ანგარიში, ქმედუნარიანობა – საკანონმდებლო რეფორმა იმპლემენტაციის გარეშე, თბ., 2016.
7. კუპატაძე თ., თსუ – კონფერენცია „ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირის ქმედუნარიანობა – კანონმდებლობისა და პრაქტიკის ევროპეიზაცია“, N1, სპეციალური გამოცემა, 2016.

სასამართლო პრაქტიკა

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმეზე N 2/4/532,533 - საქართველოს მოქალაქეები ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ. 12, 13, 23.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 05 აპრილის N 2ბ/6773-16 განჩინება.
3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 28 ნოემბრის N 2/14112-15 გადაწყვეტილება.

Asmat Gugava

Institution of Dependent and its Legal Regulation, According to Civil Legislation Summary

The presented thesis concerns the institution of support in Georgian legislation and its importance in light of the challenges that came with the reform of the institution of legal subjectivity in national legislation. In particular, in the case of persons considered incapacitated, who were recognized as above-mentioned by the court due to mental illness, the term "mentally ill" was replaced by the concept of support, which subsequently resulted changes in both – terms of terminology and content.

The topic includes a comparison of the pre-reform model of the institution of incapacity with the institution of the recipient of support. Therefore, compliance of the decision of the Constitutional Court of Georgia with the Convention on the Rights of Persons with Disabilities. The procedures related to recognition of a person as a recipient of support and the appointment of a supporter are discussed.

The article talks about individual rights and the possibilities of their implementation by persons receiving support. The institution of incapacity and, in this direction, how these relationships are regulated by legislation in various European countries are discussed. The paper also provides the flaws that the introduction of the institution of support and its use in practice revealed, which were especially evident in the consideration of matters and the decision of cases in general courts.

When analyzing the work, in the final part of the article, we make a kind of summary of the above-mentioned concerns and describe the ways of solving the current issues.

Аснат Гугава

Положение об институте лица, получающего гражданскую поддержку согласно закону

Резюме

В статье говорится об институте поддержки. О реформе, проведенной в отношении указанного учреждения, ее значении, положительных и отрицательных результатах, о замене терминов «психически больной» и «слабоумный» термином «поддержка». Предыдущая модель сравнима с действующим сегодня институтом поддерживаемого лица.

Обсуждается соответствие решений Конституционного суда Грузии Конвенции о защите прав инвалидов.

Речь идет о том, как быть признанным получателем поддержки и какие процедуры проходят для назначения поддержки. Речь идет о правах людей, получающих поддержку, и возможностях их реализации.

В статье рассматривается вопрос правового регулирования института недееспособности в странах Европы, какие общие и отличительные черты существуют в этом направлении в нашем правовом регулировании и правовом регулировании европейских стран. Обсуждаются положительные и отрицательные результаты реформы.

Наконец, в статье дан анализ практики решений судов и отношения судов к делам получателя поддержки.

**ეკონომიკა და ბიზნესი –
ECONOMICS AND BUSINESS – ЭКОНОМИКА И БИЗНЕС**

მაია ჭანია
(საქართველო)

**საქართველოს მაკროეკონომიკური პარამეტრები,
ბაზოუზი და პერსპექტივა**

შესავალი. როდესაც ვსაუბრობთ საქართველოს მაკროეკონომიკის მნიშვნელოვან პარამეტრებზე, მათ გამოწვევებზე, პრობლემებზე, აუცილებელია ის გლობალურ კონტექსტში განვიხილოთ და გავითვალისწინოთ, რომ ბოლო რამდენიმე წელია, რაც მსოფლიო ეკონომიკა არნახული გამოწვევების წინაშე დგას. კერძოდ, 2020 წლიდან მსოფლიოში განვითარდა კოვიდ-19-ის გლობალური პანდემია, ხოლო მისი დასრულებისას, კერძოდ კი, 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთი თავს დაესხა უკრაინას და დაიწყო ფართომასშტაბიანი ომი.

რუსეთის ომმა უკრაინაში და დასავლეთის მიერ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული ეკონომიკური სანქციებმა ხელი შეუწყო იმ პროცესებს, რომლებსაც დასავლეთში „ნავთობის ომად“ და „სასურსათო ომად“ მოიხსენიებენ. რუსეთი აქტიურად იყენებს თავის ენერგეტიკულ და სასურსათო რესურსებს სანქციის დამწესებლების წინააღმდეგ. შედეგად ხდება მსოფლიო ეკონომიკის ფრაგმენტაცია, რაც გლობალიზაციის კონფრონტაციულ ხასიათში ვლინდება [2].

მთლიანად, საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად, 2012 წელთან შედარებით, 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი 3-ჯერაა გაზრდილი, რამაც შესაძლებელი გახადა მოსახლეობისთვის ჯანდაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობის გაფართოება; არსებითად იზრდება მასწავლებლების ხელფასები, პენსიები, სხვადასხვა სახეობის სოციალური გასაცემები.

დასახელებული ადგილობრივი და საერთაშორისო ფაქტორები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ საქართველოს ეკონომიკაზე. ამიტომ მათი შეფასება მოგვცემს საშუალებას, მოვახდინოთ მიმდინარე გამოწვევების იდენტიფიცირება და ხელი შევუწყოთ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ზრდას. არსებული შესაძლებლობების გამოვლენა კი დაგვეხმარება, უფრო მეტად მოვახდინოთ კონცენტრირება ქვეყნისათვის საჭირო ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაზე და გავზარდოთ საჯარო პოლიტიკის ეფექტიანობა, რათა დავძლიოთ ქვეყანაში არსებული ეკონომიკური გამოწვევები [1, 4].

მიზანი. ნაშრომის მიზანია არსებული კვლევების მონაცემთა საფუძველზე გაანალიზოს საქართველოს ეკონომიკის წინაშე თანამედროვე პირობებში ძირითადი გამოწვევები. ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს ეკონომიკის თანამედროვე გამოწვევების ისეთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო და ადგილობრივი ფაქტორები, როგორებიცაა: საქართველოს უარყოფითი საგადასახდლო ბალანსი და იმპორტდამოკიდებულება, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ფულადი გზავნილები, დასაქმება და ხელფასები, კვალიფიციური სამუშაო ძალის არსებობა, საფინანსო-საბანკო სისტემა.

დასაბუთებულია ქართულ ეკონომიკაში არსებული გამოწვევების დაძლევის შესაძლებლობა და შემოთავაზებულია სათანადო რეკომენდაციები.

მასალები და მეთოდები. ნაშრომში ვეყრდნობით ქართველი და უცხოელი მეცნიერების კვლევებს ეკონომიკური გამოწვევების სფეროში. აღნიშნულთან ერთად წარმოდგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების ანალიზი. ნაშრომში გამოყენებულია ანალიზის, შედარების, ფორმალური ლოგიკის მეთოდები.

შედეგები და დისკუსია. კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოს ეკონომიკის გამოწვევების საგრძნობ საერთაშორისო ფაქტორად გამოდის მისი უარყოფითი სავადასახდელო ბალანსი და იმპორტდამოკიდებულება.

საგულისხმოა, რომ საქართველოს მიერ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან, ჩვენთვის, ტრადიციულად, რუსეთი სიდიდით ყოველთვის იყო რიგით პირველი ან მეორე (ამ შემთხვევაში, პირველ ადგილზე იყო თურქეთი) სავაჭრო პარტნიორი ქვეყანა.

კვლევამ აჩვენა, რომ უცვლელია საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების სია, თუმცა შეიცვალა ამ ქვეყნების წილი ვაჭრობაში. 2022 და 2023 წლებში ჯამურად წინა წელთან 7 პროცენტული პუნქტით შემცირდა ევროკავშირის ქვეყნების წილი ექსპორტში. ამავე პერიოდში, ჩინეთის წილი ექსპორტში გაიზარდა ჯამურად წინა წელთან +11 პროცენტული პუნქტით. საგარეო ვაჭრობაში საქართველოს რუსეთზე დამოკიდებულება გაიზარდა, 2023 წლის მდგომარეობით რუსეთთან ექსპორტი წინა წელთან +38%-ით და იმპორტი წინა წელთან +15%-ით გაიზარდა და წილმა ჯამურ ექსპორტსა და იმპორტში 14% და 10% შეადგინა აღნიშნულ პერიოდში, შესაბამისად [1, 7].

საყურადღებოა, რომ საქართველოს ექსპორტის წილი ევროკავშირში მცირდება 2015 წლიდან, თუმცა იზრდება ექსპორტის წილი რუსეთსა და ჩინეთში, 2015 წლიდან და 2019 წლიდან, შესაბამისად. საერთო ჯამში, საქართველოს საექსპორტო ბაზრის დივერსიფიცირების მაჩვენებელი, ბაზრის კონცენტრაციის ინდექსის მიხედვით მნიშვნელოვნად არ იცვლება უკანასკნელ წლებში. თუმცა, რუსეთზე უფრო მაღალი დამოკიდებულებით, იზრდება საფრთხეები, რომ შესაძლო ემბარგოს პირობებში ექსპორტიორები აღმოჩნდებიან გარკვეული სირთულეების წინაშე.

საქართველოს ექსპორტი სასოფლო-სამეურნეო საქონელსა და ბუნებრივ რესურსებზეა მნიშვნელოვნად დამოკიდებული. თუმცა, ტოპ საექსპორტო საქონელში ბოლო წლებში გამოჩნდა ტექსტილიც. 2023 წლის მდგომარეობით, გაიზარდა ადგილობრივი წარმოების საქონლის ექსპორტი და შეადგინა 2.2 მლრდ აშშ დოლარი. მათ შორის, გაიზარდა სასმელების ექსპორტი – შაქრის შემცველი გაზიანი სასმელები (+88%), მინერალური წყალი (+28%), ღვინო (+16%), სპირტიანი სასმელები (+18%). ასევე გაზრდილია მაისურებისა (+70%) და თხილის (+40%) ექსპორტი.

თანამედროვე „სასურსათო ომის“ პირობებში გარკვეულად ძნელია, და ალბათ, შეუძლებელიც კი, რუსული ხორბლის იმპორტი ჩაანაცვლო სხვა ქვეყნიდან ხორბლის იმპორტით. ამ სიტუაციაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მარცვლეულის ადგილობრივი წარმოების გადიდებას და მის სახელმწიფოებრივ მხარდაჭერას [2].

არანაკლებ მნიშვნელოვანია საგარეო ვაჭრობის პარტნიორი ქვეყნების რიცხვის გადიდება, ანუ საგარეო ვაჭრობის დივერსიფიკაცია, რაც დიდწილად შეამცირებს რისკებს და აამაღლებს ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების დონეს.

საქართველოს ეკონომიკის გამოწვევების მნიშვნელოვან საერთაშორისო ფაქტორად, ასევე, გამოდის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ფულადი გზავნილები.

კვლევამ დაადგინა, რომ ბოლო ოთხი წლის განმავლობაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მკვეთრად არის შემცირებული და ბიზნესის განწყობის ინდექსი გაუარესებულია წინა წლებთან შედარებით. ასე, მაგალითად, 2023 წლის მდგომარეობით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წინა წელთან 11%-ით შემცირდა და 366 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც თითქმის განახევრებული მაჩვენებელია პანდემიამდელ პერიოდთან შედარებით.

რაც შეეხება ქვეყნის ეკონომიკით დაინტერესებას უცხოელი ინვესტორების მხრიდან, ეს მარტო საგადასახადო შეღავათებით, ან ბიზნესის დაწყების სიმარტივით, ან სხვა მსგავსი ფაქტორებით დიდად ვერ გაიზრდება. არანაკლები მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ომში ჩართვის რისკებს, ოკუპირებული ტერიტორიების არსებობას, პოლიტიკურ სტაბილურობას თუ არასტაბილურობას.

2023 წლის მდგომარეობით, გაიზარდა ფულადი გზავნილების მოცულობა და 1.5 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა (+10% წწ.). წინა წელთან გზავნილების მოცულობა გაზრდილია ყაზახეთიდან (+174%), აზერბაიჯანიდან (+57%), აშშ-დან (+19%) და ევროკავშირიდან (13%). მნიშვნელოვნად შემცირდა გზავნილები თურქეთიდან (-44% წინა წელთან) და მცირედით რუსეთიდან (-2% წინა წელთან). 2023 წლის მიხედვით, ფულადი გზავნილების 43% ევროკავშირის ქვეყნებიდან შემოედინება, ასევე მაღალი წილი აქვთ რუსეთსა და აშშ-ს, 15% და 13% შესაბამისად.

ერთ ემიგრანტზე ფულადი გზავნილების მოცულობით ლიდერობს ისრაელი (16,864 აშშ დოლარი). ასევე, მაღალია გზავნილები საშუალოდ ერთ ემიგრანტზე აშშ-დან და ევროკავშირის ქვეყნებიდან და შეადგენდა 8,056 აშშ დოლარს და 4,358 აშშ დოლარს, შესაბამისად. ამ მხრივ ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს რუსეთს (633 აშშ დოლარი), ეს მაჩვენებელი აშშ-ის მაჩვენებელს 13-ჯერ, ხოლო ევროკავშირის მაჩვენებელს 7-ჯერ ჩამოუვარდება.

საქართველოს ეკონომიკის გამოწვევების მნიშვნელოვან ადგილობრივ ფაქტორად რჩება დასაქმება და ხელფასები.

საყურადღებოა, რომ სამუშაო ძალის რაოდენობა 2023 წელს 2%-ით შემცირდა და შეადგენს დაახლოებით 1.5 მლნ ადამიანს. სამუშაო ძალის 78% დასაქმებულია, მათ შორის, 58% – დაქირავებული, ხოლო 24% – თვითდასაქმებული. 2023 წელს უმუშევრობა გაიზარდა და შეადგენს 22%-ს, რაც 2020 წლის მაჩვენებელზე 3.7 პროცენტული პუნქტით მაღალია. განსაკუთრებით მაღალია უმუშევრობა მამაკაცებში (24%). ამავე პერიოდში შემცირდა დაქირავებით დასაქმებულთა და თვითდასაქმებულთა რაოდენობა, წინა წელთან -7%-ით და -5%-ით, შესაბამისად.

2015 წლიდან ნომინალური ხელფასი საშუალოდ წლიურად 6%-ით, ხოლო რეალური ხელფასი 2%-ით იზრდება. ინფლაციის გათვალისწინებით, 2015 წელთან შედარებით, ლარის მსყიდველუნარიანობა 40%-ით შემცირდა 2020 წელს და მოსალოდნელია 50%-მდე შემცირდეს 2024 წელს.

დასაქმებული მოსახლეობის 64% 1,200 ლარზე ნაკლები ყოველთვიური ანაზღაურება აქვს 2023 წლის მდგომარეობით. ხოლო 2,400 ლარზე მაღალი ყოველთვიური ანაზღაურება დასაქმებულთა მხოლოდ 13%-ს აქვს. 2015 წლიდან ყოველწლიურად მცირდება

ბა 1,200 ლარზე ნაკლები საშუალო თვიური შემოსავლის მქონე დასაქმებულთა წილი, თუმცა, აღნიშნული მაჩვენებელი მაინც მაღალია და უნდა აღინიშნოს, რომ 2023 წელს ლარის მსყიდველუნარიანობა 40%-ით შემცირდა 2015 წელთან შედარებით.

საქართველოს ეკონომიკის სერიოზული გამოწვევა არის კვალიფიციური სამუშაო ძალის არსებობა, რაც უკავშირდება პროფესიული განათლების სისტემის არსებით გაუმჯობესებას. ამ მიმართულებით საკმაოდ აქტიურად მუშაობს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, თუმცა ჯერ კიდევ ბევრი პრობლემა არის გადასაჭრელი.

ის ფაქტი, რომ ქვეყნიდან გადის ახალგაზრდობა, ფრიად ანგარიშგასაწევია, თუმცა, ჩვენი აზრით, ამაზე ბევრად უფრო მნიშვნელოვანი ის არის, თუ მათგან რამდენი ბრუნდება უკან სამშობლოში. ამასთან დაკავშირებით, უნდა გავისხენოთ ის ფაქტი, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან უკეთესი სამუშაოს საძებნელად ადამიანთა მნიშვნელოვანი რაოდენობა გადიოდა და ახლაც გადის დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში.

თანამედროვე პირობებში დიდი შემოსავლების მომტანი არის სამედიცინო ფიზიკა, ხელოვნური ინტელექტის შექმნის მიმართულებები, ფარმაცოლოგია, ბიოტექნოლოგიები. ამ დარგებზე აქცენტის გადატანის შემთხვევაში, მაღალკვალიფიციურ ქართველ ახალგაზრდებს ექნებათ სამშობლოში დასაქმების ადეკვატური პირობები. პოსტსაბჭოთა სივრცეში ამ მხრივ სამაგალითო არის ესტონეთის გამოცდილება, რაც აუცილებლად არის გასათვალისწინებელი და გასახიარებელი.

და ბოლოს, საქართველოს ეკონომიკის გამოწვევების მნიშვნელოვან ადგილობრივ ფაქტორს წარმოადგენს საფინანსო-საბანკო სისტემა.

კვლევამ აჩვენა, რომ 2022 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების წილი მშპ-სთან მიმართებით 33%-ს შეადგენდა და 4%-ით გაიზარდა 2021 წელთან შედარებით. ეკონომიკური რეცესიის პირობებში ბიუჯეტის დანახარჯების ზრდა მოსალოდნელი იყო და სხვა ქვეყნების მსგავსად წარიმართა. თუმცა, აღნიშნული გადასახდელების დიდი ნაწილი დაფინანსებული იყო საგარეო ვალის ზრდის ხარჯზე.

საგარეო ვალი მშპ-ს 60%-ს აჭარბებს. 2022-2023 წლებში მკვეთრად გაიზარდა სახელმწიფო ვალის თანაფარდობა მშპ-სთან. 2023 წლის მდგომარეობით, აღნიშნული მაჩვენებელი 62%-ია. განვითარებადი ქვეყნებისთვის რეკომენდებულია, ვალისა და მშპ-ს თანაფარდობა არ აღემატებოდეს 40%-ს, ხოლო განვითარებული ქვეყნებისთვის – 60%-ს [6]. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ, რომ კურსის გაუფასურების პირობებში აღნიშნული თანაფარდობა შეიძლება კიდევ უფრო გაიზარდოს, რაც გაზრდის ქვეყნის გადახდისუნარიანობის რისკს და საბიუჯეტო დანახარჯების ზრდას გამოიწვევს. 2023 წლის მდგომარეობით, სახელმწიფო ვალი 30.4 მლრდ ლარს შეადგენს. მათ შორის 56% არის საერთაშორისო ორგანიზაციებისგან აღებული ვალი, ხოლო 18% – საშინაო ვალი.

საინტერესოა ისიც, რომ დოლარიზაციის მაჩვენებელი შემცირებას განაგრძობს და 2023 წლის მდგომარეობით, სესხების დოლარიზაცია 51%. გაცვლითი კურსის გამყარება დოლარიზაციის შემცირებას უწყობს ხელს. ლარის აშშ დოლარის მიმართ გაცვლითი კურსის გაუფასურების ეფექტის გამოკლებით, დოლარიზაცია 37%-იან ნიშნულზე იქნებოდა. შინამეურნეობებისა და ბიზნეს სესხების დოლარიზაციის მაჩვენებელი

ბელმა 2023 წელს 35% და 67% შეადგინა, შესაბამისად. შინამეურნეობების სესხების დოლარიზაცია, ბიზნეს სესხებთან შედარებით, სწრაფად იკლებს. 2017 წლიდან დღემდე შინამეურნეობების სესხების დოლარიზაცია 19 პროცენტული პუნქტით შემცირდა, მაშინ როდესაც, ბიზნეს სესხების დოლარიზაცია მხოლოდ 9 პროცენტული პუნქტით არის შემცირებული.

საზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საბანკო სისტემა ჯეროვნადაა გამართული და კრიზისულ ვითარებაშიც კი საკმაოდ მდგრადობას ინარჩუნებს. თუმცა, საქართველოში საკრედიტო რესურსი საკმაოდ ძვირია. ამის უმთავრესო მიზეზი ჩვენს ეკონომიკაშია და იმაში მდგომარეობს, რომ, განვითარების შედარებით დაბალი დონის გამო, ქვეყნის ეროვნულ შემოსავალში დაგროვების დონე განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით ბევრად დაბალია.

კვლევამ გამოავლინა ის საგანგაშო ფაქტი, რომ ქვეყნის წამყვანი ბანკების მოგებაში დიდი ხვედრი წილი უკავია საკომისიოებიდან, საურავებიდან, ჯარიმებიდან მიღებულ შემოსავლებს. ვფიქრობთ, ამ კუთხით აუცილებელია საქართველოს მთავარი საბანკო მარეგულირებლის – საქართველოს ეროვნული ბანკის გააქტიურება ისე, რომ საბანკო სისტემა არ დაზიანდეს.

დასკვნა. ჩატარებული კვლევა შესაძლებლობას გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები:

1. მნიშვნელოვანია ყურადღებით მოვეკიდოთ რუსეთისათვის დასავლეთის მიერ დაწესებულ ეკონომიკურ სანქციებს ჩვენს ქვეყნის ეროვნული ინტერესების შესაბამისად.

2. სასურველია ხელი შეეწყოთ საქსპორტო ბაზრების დივერსიფიცირებას და საქსპორტო საქონლის ხარისხის ზრდას, რომ შემცირდეს დამოკიდებულება დაბალი მსყიდველუნარიანობის მქონე და მაღალი პოლიტიკური რისკ-ჯგუფის ქვეყნებზე (მაგალითად, რუსეთი) და ექსპორტიორებმა შეძლონ აითვისონ მაღალი მსყიდველუნარიანობის მქონე ბაზრები.

3. აუცილებელია ქვეყანამ დააჩქაროს ევროკავშირთან ინტეგრაცია და გადადგას ქმედითი ნაბიჯები საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისათვის, ეკონომიკური გამოწვევების საპასუხოდ.

4. მიზანშეწონილია გრძელვადიანი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება, რომელიც მიზნად დაისახავს ადამიანური კაპიტალის სპეციალიზაციას და კვალიფიკაციის ამაღლებას სტრატეგიულ მიმართულებებზე (ინფორმაციული ტექნოლოგიები, პროფესიული სასწავლებლები და სხვა).

5. რთული და სათუთი საბანკო სფერო აუცილებლად უნდა მოექცეს სახელმწიფოს მხრიდან სათანადო ზედამხედველობის ქვეშ. ჩვენი აზრით, ნებისმიერი საკრედიტო საქმიანობა უნდა რეგულირდებოდეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე.

ლიტერატურა:

1. ადგიშვილი გ., საღარეიშვილი მ., პეტრიაშვილი ნ., საქართველოს ეკონომიკური გამოწვევები რუსეთზე დაწესებული საერთაშორისო სანქციების ფონზე/ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი.

[//https://idfi.ge/ge/challenges-of-the-georgian-economy-against-background-of-international-sanctions-against-russia](https://idfi.ge/ge/challenges-of-the-georgian-economy-against-background-of-international-sanctions-against-russia).

2. ბენდელიანი კ., საქართველოს ეკონომიკის გამოწვევების საერთაშორისო და ადგილობრივი ფაქტორები/„ინტერპრესნიუსი“.
<https://www.interpressnews.ge/ka/article/785330-sakartvelos-ekonomikis-gamocvevebis-saertashoriso-da-adgilobrivi-paktorebi/>
3. რა გამოწვევები აქვს დღეს საქართველოს ეკონომიკას – PMCG-ს კვლევა.
[//https://commerciant.ge/news/economic/ra-gamotsvevebi-aqvs-dghes-saqartvelos-ekonomikas-pmcg-s-kvleva](https://commerciant.ge/news/economic/ra-gamotsvevebi-aqvs-dghes-saqartvelos-ekonomikas-pmcg-s-kvleva).
4. საქართველო. მაკრო მიმოხილვა. გამოცემა 5, ნომბერი, 2023.
[//https://pmcresearch.org/publications-file/e7cf654c9debab65a.pdf](https://pmcresearch.org/publications-file/e7cf654c9debab65a.pdf)
5. ხარშილაძე გ., საქართველოს ეკონომიკის ძირითადი გამოწვევები, პერსპექტივა და ზეგავლენის ზოგიერთი გამოვლინებანი ევროპის „მწვანე შეთანხმების“ პირობებში.
[//https://doi.org/10.51895/VSS3/Kharshiladze](https://doi.org/10.51895/VSS3/Kharshiladze).
6. Forward-looking Macroeconomic Policies – Re-examining Inflation and Debt Limits.
[//https://www.unescap.org/sites/default/files/pb14.pdf](https://www.unescap.org/sites/default/files/pb14.pdf).

Maia Chania

Georgia's Macroeconomic Parameters, Challenges and Prospects

Summary

The aim of the paper is to analyze the main challenges facing the Georgian economy in Modern conditions based on existing research data. The paper analyzes such important international and local factors of the modern challenges of the Georgian economy as: Georgia's negative balance of payments and import dependence, foreign direct investments and remittances, employment and wages, the availability of a qualified workforce, and the financial and banking system. The possibility of overcoming the challenges in the Georgian economy is substantiated and appropriate recommendations are proposed. Domestic and international factors have a significant impact on the Georgian economy. Therefore, assessing them will allow us to identify current challenges and contribute to increasing access to information. Identifying existing opportunities will help us focus more on developing economic policies needed for the country and increase the effectiveness of public policies in order to overcome the economic challenges facing the country. It is desirable to promote the diversification of export markets and increase the quality of export goods, to reduce dependence on countries with low purchasing power and high political risk group (for example, Russia) and enable exporters to seize markets with high purchasing power. It is advisable to develop a long-term economic policy aimed at the specialization of human capital and the improvement of qualifications in strategic areas such as information technologies, vocational schools, etc.

Майя Чания
Макроэкономические параметры Грузии, проблемы и перспективы
Резюме

Цель работы – на основе данных существующих исследований проанализировать основные проблемы, стоящие перед экономикой Грузии в современных условиях. В статье анализируются такие важные международные и местные факторы современных вызовов грузинской экономики, как: отрицательный платежный баланс Грузии и зависимость от импорта, прямые иностранные инвестиции и денежные переводы, занятость и заработная плата, наличие квалифицированной рабочей силы, финансовой и банковской системы. Обоснована возможность преодоления вызовов в экономике Грузии и предложены соответствующие рекомендации. Местные и международные факторы оказывают значительное влияние на экономику Грузии. Поэтому их оценка позволит выявить текущие проблемы и способствовать росту доступности информации. Раскрытие существующих возможностей поможет нам больше сосредоточиться на разработке необходимой стране экономической политики и повысить эффективность государственной политики в целях преодоления экономических вызовов в стране. Необходимо способствовать диверсификации экспортных рынков и повышению качества экспортных товаров, также важно снизить зависимость от стран с низкой покупательной способностью и высокой группой политического риска (например, России) и дать возможность экспортерам захватить рынки с высокой покупательной способностью. Целесообразно разработать долгосрочную экономическую политику, направленную на специализацию человеческого капитала и повышение квалификации по стратегическим направлениям, таким как информационные технологии, профессиональные школы и другие.

Maia Chania
(Georgia)

GREEN ECONOMY AND PUBLIC WELL-BEING

Abstract

The main point of the modern economy is to ensure the system of public development, where the well-being of people is going to be reached by taking environmental protection into account, for the living standards to be improved while conserving the maximum amount of the environment. The aim of social-economic relations must be oriented toward people and the environment. The main task should be to determine the needs and demands of target groups, to ensure their satisfaction, and to keep and improve the well-being of the public. Such an attitude towards the economy and production process has led to the creation of a new concept, such as socio-ethical and green economy, the aim of which is to increase the well-being of all target groups involved in the production, distribution, and consumption. In this process Environmental issues should be brought to the fore. Among the problems of the modern economy the main ones are global environmental pollution, increase in population, natural resources, comprehensive inflation, harmful to health packaging, and products that are made of harmful impurities.

Introduction

Nowadays, the issues of green economy, public welfare, and sustainable development play an important role. The urgency of the problem stems from the essence of sustainable development, as it is fundamental in the matter of economic growth so that the interests of the next generation are protected. Green economy ensures human well-being and economic development, as well as the protection of the environment is taken into account. It provides an unconditional increase in living standards, including the welfare of the community and the rights of the next generation to be able to make most of our resources available in the environment without harming it. The main focus of the action is economic development, hence all attention is focused on the rational use of natural resources and the decrease of negative impacts on the environment.

The Main Principles of the Green Economy

The green economy is based primarily on sustainable development and also on knowledge of ecological economics. This is one of the economic models that refers to human health and the environment. The green economy is significantly different from other sectors, since it primarily analyzes natural capital that has economic value. Today no one disputes the fact that green development is necessary for our era, because developing the economy, without identifying the accompanying negative aspects and correcting them, harmful for any nation. In general, human well-being cannot include only material goodness. In this case we can claim that creating a healthy social and natural environment also plays an important role. People use a significant amount of water resources, and economic activities are often correlated negatively. Another reason is that too many enterprises dump waste, which pollutes drinking water as well as the organisms living in the water

consumed by humans. The fact that water is spilled while it's being extracted, which leads to losses and irrational use of the resources is also important.

People must react timely and take certain measures to stop the negative impact on the environment. We must look for an important foundation for this in the development of the green economy. It can be perceived as a lifeline that will save us and future generations.

Ecological production also known as green production is a process during which the needs of the society are met with the minimal negative impact on the environment. Eco-production means energy-saving technological processes; establishing control over the pollution of the environment; production of ecologically clean and safe products; production of environmentally friendly packaging [8]. The development of eco-market and eco-services is brought to the fore. Through their development production will become more and more interested in ecology, production of ecologically clean and quality products, reduction of eco-risks.

The green economy is based on three main pillars, particularly:

1. It is impossible to expand the spheres of influence in an infinitely limited space.
2. Resources on earth are limited. It is impossible to satisfy the ever-increasing needs.
3. What exists and happens on earth is closely related to each other [9].

The green economy is based on the following key principles:

1. Objectivity and justice must be maintained not only between the same generations but also between the representatives of different generations. Selfish attitudes misuse of resources on earth and appropriation are unacceptable. This is especially true for non-renewable resources. Indifference to the use of resources will leave future generations without any resources as well as endanger their lives. We are sacrificing future generations for the inevitable famine, as well as for the unknown illnesses. We have a great responsibility for the next generation and are obligated to keep the earth for them as it is or leave it for them in a much better condition than it was left for us by our previous generations;

2. Natural and social capital must be properly and adequately assessed;

3. The principles of the green economy should be aligned with the principles of sustainable development;

4. We must approach the social and natural environment rationally, since the main basis of the green economy is the development of an economy in which we ensure the integrity of the environment and its protection;

5. Effective measures must be taken and every effort must be made to use resources rationally. That is, to produce and consume them as efficiently as possible;

6. Creating "green" jobs, which in turn will also reduce poverty and increase competitiveness [12].

To summarize the abovementioned principles, it can be said that all of them imply the development of the economy in a direction that ensures the efficient use of the resources, which in turn ensures the minimization of losses and not only that, but it also takes in account nature and human welfare and economic development.

Sustainable Development – Transforming Our World

The principles of the green economy are more or less practiced in almost every country. Naturally, sustainable development is of utmost importance for most countries. The green economy is on a much higher level in developed countries, while in developing countries it is on an initial level. Green economy has developed in countries in the deserted areas of Africa. However, the most alarming situation in terms of green economy and sustainable development is observed in Africa and Asia. With the support of UNCCD, The Green Wall Initiative 2030 was created, which includes 100 million hectares in Africa and about 20 countries. The green cover should be planted in this area, which will help solve the problem of desertification. Successful countries and international organizations are actively assisting poorly developed countries in the process of introducing a green economy, both financially and through recommendations, sharing their experiences.

An important agreement was signed in September 2015, under which 193 UN member states reached an agreement on a Sustainable Development Agenda document "Transforming Our World: A 2030 Agenda for Sustainable Development". It includes 17 main goals, which in turn are divided into 169 tasks. Each of these goals is a part of the Sustainable Development Agenda, and all of them focus on three related key elements: social inclusion, economic growth, and the environment. Out of the goals that we have set we should distinguish some, such as:

1. Eliminate all forms of poverty. This goal is divided into the following sub-goals:
 - By 2030, extreme poverty, which is generally defined as people living on less than \$1.25 a day, must be eradicated worldwide;
 - At least what needs to be done by 2030 is to halve the number of people of all ages living in poverty;
 - An appropriate social protection system should be established for all to ensure the protection of minimum social rights by 2030 for the population in poverty and vulnerable groups;
 - By 2030, all women and men (especially those in poverty and vulnerability) should have equal access to economic resources and basic services, access to and ownership of land and other real estate;
